ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის ოქმი №37

ქ. თბილისი **2011 წლის 29 ივნისი**

სხდომას ესწრებოდა წარმომადგენლობითი საბჭოს 30 წევრი: 1. გაგნიძე ინეზა 2. თოდუა ნუგზარი 3. მექვაბიშვილი ელგუჯა 4. მესხორაძე გიორგი 5. ჩაბაკური გიორგი 6. გალდავა გიორგი 7. ფაღავა ზურაბი 8. ცინცაძე ნინო 9. თურქიაშვილი შორენა 10. მაცაბერიძე მალხაზი 11. შამიზლიშვილი მანანა 12. წერეთელი მარი 13. ნახუცრიშვილი კონსტანტინე 14. ჩოხელი ლევანი 15. ბარამიძე ცირა 16. ბახტაძე მიხეილი 17. ბრაჭული ირაკლი 18. გელოვანი ნანი 19. ლიჩელი ვახტანგი 20. ლორია კახაბერი 21. პაიჭაძე თამარი 22. ახლოური ბექა 23. ზივზივაძე ვახტანგი 24. ჯღამაძე უჩა 25. გეგეჭკორი არნოლდი 26. თუთბერიძე ბეჟანი 27. ომანაძე როლანდი 28. ხაჩიძე მანანა 29. გუბაძე ვასილი 30. ჭლიკაძე გივი (დანართი 1)

სხდომაზე დამსწრე აკადემიური საბჭოს წევრები: 1. ალექსანდრე კვიტაშვილი (რექტორი) 2. ნანი გაფრინდაშვილი 3. რამაზ ქურდაძე 4. ზურაბ დავითაშვილი 5. ალექსანდრე შენგელია 6. ელიზბარ ნადარაია 7. ნუგზარ სურგულაძე 8. რევაზ გველესიანი 9. ქეთევან მარშავა (დანართი 2)

დღის წესრიგი:

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების დამტკიცება.
2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების დამტკიცება.
3. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულების დამტკიცება.
4. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის დებულების დამტკიცება.

5. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულების დამტკიცება.
6. შპს „ფუდმასტერის" პარტნიორების მიერ წარმოდგენილი წინადადების განხილვა.
7. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღლივ (X) კორპუსში უძრავი ქონების ნაწილის (ფართის) იჯარის წესით, დროებით სარგებლობაში გაცემის საკითხი.
8. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ელეფთერ ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტში უძრავი ქონების ნაწილის 5 წლით, იჯარის წესით, დროებით სარგებლობაში გაცემის საკითხი.
9. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მე-11 სასწავლო კორპუსში ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილი ამორტიზირებული და გამოუყენებელი აქტივების ჩამოწერის საკითხი.
10. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინტერნეტ ტელევიზიის (თშ□თV) დირექტორის არჩევა.

დღის წესრიგი დამტკიცდა ერთხმად.

1. თსუ-ის რექტორის მრჩეველმა, ბატონმა ვასილ გონაშვილმა წარმომადგენლობით საბჭოს გააცნო თსუ-ის წესდებაში ცვლილებების პროექტი, რომელიც წარმოადგინა განსახილველად აკადემიურმა საბჭომ.

ბატონმა ვასილ გონაშვილმა აღნიშნა, რომ ცვლილებების პროექტი უკვე განიხილა და მოიწონა აკადემიურმა საბჭომ. თსუ-ის წესდების თანახმად, აუცილებელია წესდებაში ცვლილებები მიიღოს წარმომადგენლობითმა საბჭომ, რის შედეგაც იგი გადაეგზავნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს დასამტკიცებლად. ცვლილებების პროექტს თან ახლავს განმარტებითი ბარათი.

წარმომადგენლობით საბჭოზე წესდების ცვლილებების განხილვაში მონაწილეობას იღებდა აკადემიური საბჭო.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 30

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდებაში ცვლილებები, წარმოდგენილი სახით. (დანართი 3)

2. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის დეკანმა, ბატონმა რამაზ ბოჭორიშვილმა წარმოადგინა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების პროექტი.

ბატონმა რამაზ ბოჭორიშვილმა აღნიშნა, რომ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულება ჯერ 2009 წელს იქნა მიღებული, ხოლო 2010 წელს მასში განხორციელდა გარკვეული ცვლილებები. კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე, ფაკულტეტის საბჭომ შეიმუშავა დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების პროექტი, რომელიც გადაეგზავნა იურიდიულ დეპარტამენტს დასკვნისათვის, რის შემდეგაც ფაკულტეტის საბჭომ მიიღო იგი.

იურიდიული დეპარტამენტის უფროსმა, ბატონმა არჩილ კუკულავამ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ 2010 წლის დეკემბერში იურიდიულმა დეპარტამენტმა მიიღო ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტიდან წარმოდგენილი ცვლილებების პროექტი, რის შემდეგაც მას ჩაუტარდა სამართლებრივი ექსპერტიზა. წარმოდგენილი ცვლილებებისა და დამატებების პროექტი სრულ შესაბამისობაშია საქართველოს კანონმდებლობასთან.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 30

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა

ფაკულტეტის დებულებაში ცვლილებები და დამატებები, წარმოდგენილი სახით. (დანართი 4)

3. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა, ქალბატონმა დარეჯან თვალთვაძემ წარმოადგინა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულების პროექტი.

ქალბატონმა დარეჯან თვალთვაძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი დებულების პროექტზე საკმაოდ დიდი ხანია მიმდინარეობს მუშაობა, იგი შეთანხმებულია ფაკულტეტის ყველა მიმართულების პროფესურასთან და მაქსიმალურადაა გათვალისწინებული მათი ინტერესები.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა, ბატონმა ირაკლი ბრაჭულმა დასძინა, რომ ამ წლებში მიღებული გამოცდილება, ფაკულტეტზე მუშაობის დადებითი და უარყოფითი მხარეები გაანალიზებულია წარმოდგენილი დებულების პროექტში. თითოეულ პუნქტზე მიმდინარეობდა მსჯელობა.

იურიდიული დეპარტამენტის უფროსმა, ბატონმა არჩილ კუკულავამ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ დებულების შემუშავების პროცესში ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი აქტიურად თანამშრომლობდა იურიდიულ დეპარტამენტთან, შესაბამისად თითოეული საკითხი შეთანხმებული და განხილულია. დებულების პროექტს ჩაუტარდა სამართლებრივი ექსპერტიზა და იგი სრულ შესაბამისობაშია საქართველოს კანონმდებლობასთან.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი, ბატონი მალხაზ მაცაბერიძე დაინტერესდა, თუ რატომ აქვს სხვადასხვა ფაკულტეტს განსხვავებული სტრუქტურა, რატომ გამოიყენება სხვადასხვა სახელწოდება მსგავსი შინაარსის ინსტიტუციებთან დაკავშირებით.

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერმა, ბატონმა კახაბერ ლორიამ განაცხადა, რომ ფაკულტეტებს შორის განსხვავებები განპირობებულია თავად ამ ფაკულტეტთა სპეციფიკით და ამ მხრივ ეს არ წარმოადგენს პრობლემას. მაგალითისთვის, სკანდინავიის ქვეყნებში არაერთი უნივერსიტეტის ფაკულტეტებს ერთმანეთისაგან განსხვავებული შიდა სტრუქტურა გააჩნიათ.

ბატონმა არჩილ კუკულავამ განმარტა, რომ საქართველოს შემთხვევაში, კანონმდებლობა არჩევანის თავისუფლებას იძლევა და არ აწესებს დამატებით შეზღუდვებს ფაკულტეტის შიდა მოწყობასთან დაკავშირებით.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა, ბატონმა ბეჟან თუთბერიძემ განაცხადა, რომ ფაკულტეტების სპეციფიკიდან გამომდინარე განსხვავებების არსებობა სრულიად ლოგიკური და ბუნებრივია.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა, ბატონმა ვახტანგ ლიჩელმა დასძინა, რომ მთავარია არსებობდეს ერთიანი იერარქიული სისტემა ფაკულტეტებზე და შინაარსობრივად მსგავსი დაყოფა.

აკადემიური საბჭოს წევრმა, ბატონმა ზურაბ დავითაშვილმა განაცხადა, რომ გარკვეული კანონზომიერება უნდა იყოს დაცული სტრუქტურებსა და ქვესტრუქტურებს შორის. ადმინისტრაციული ფუნქციების განმახორციელებელი დეპარტამენტის სახელწოდებები არ უნდა დაემთხვეს ფაკულტეტის შიგნით არსებულ პროგრამულ მიმართულებებისა თუ დეპარტამენტების სახელწოდებებს.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 30

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულება, წარმოდგენილი სახით. (დანართი 5)

4. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ, ბატონმა დიმიტრი კორძაიამ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს გააცნო მედიცინის ფაკულტეტის დებულების პროექტი.

ბატონმა დიმიტრი კორძაიამ აღნიშნა, რომ მედიცინის ფაკულტეტის სტრუქტურა ძირითადად იგივე რჩება, მხოლოდ საგანმანათლებლო-სამეცნიერო და სასწავლო-სამეცნიერო სტრუქტურულ ერთეულს დაემატა კლინიკური და დამხმარე სტრუქტურული ერთეულები. ასევე მნიშვნელოვანი სიახლეა სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის შექმნა, რომელიც განახორციელებს ფუნდამენტურ კლინიკურ სამეცნიერო კვლევებს.

ასევე აღინიშნა სასწავლო-სამეცნიერო-კლინიკური ცენტრის მიზნების შესახებაც, რაც მდგომარეობს შემდეგში: უნივერსიტეტის, პროფესორების, დოქტორანტების,

მკვლევარების, მასწავლებლებისა და სტუდენტების სამეცნიერო-კლინიკური პროექტების ექსპერიმენტალური მხარის განხორციელება და სამეცნიერო კვლევითი სამუშაოების დაგეგმვაში მეთოდოლოგიური დახმარება.

იურიდიული დეპარტამენტის უფროსმა, ბატონმა არჩილ კუკულავამ განაცხადა, რომ მედიცინის ფაკულტეტის დებულების პროექტი შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და პასუხობს მის ყველა მოთხოვნას.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 30

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის დებულება, წარმოდგენილი სახით. (დანართი 6)

5. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა, ბატონმა ნოდარ ბელქანიამ წარმოადგინა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულების პროექტი.

ბატონმა ნოდარ ბელქანიამ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ დებულებამ ორჯერ გაიარა იურიდიულ დეპარტამენტში სამართლებრივი ექსპერტიზა. ის ჯერ კიდევ აპრილის ბოლოს უნდა ყოფილიყო მზად, მაგრამ ფაკულტეტის საბჭოზე გამართული დებატების გამო კარგა ხნის განმავლობაში ვერ ჩამოყალიბდა დებულების საბოლოო ვარიანტი.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა, ბატონმა ირაკლი ბრაჭულმა გამოთქვა თავისი მოსაზრება დებულების პროექტის მე-2 მუხლის მე-5 პუნქტთან დაკავშირებით და დაინტერესდა რამდენად მართებულია მისი ფორმულირება, რაზეც იურიდიული დეპარტამენტის უფროსმა, ბატონმა არჩილ კუკულავამ განაცხადა, რომ მუხლის ამგვარი შინაარსობრივი ფორმა არ სცილდება სამრთლებრივ ჩარჩოებს და გამართლებულია იურიდიული თვალსაზრისითაც. ფაკულტეტის სტრუქტურულ

ერთეულებს შორის კომფლიქტის წარმოშობის შემთხვევაში ფაკულტეტის დეკანი ამზადებს მარეგულირებელ დოკუმენტს უფლებამოვალეობათა გამიჯვნის შესახებ, რომელსაც ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 30

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულება, წარმოდგენილი სახით. (დანართი 7)

6. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული დეპარტამენტის უფროსმა, ბატონმა არჩილ კუკულავამ წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის წევრებს მოახსენა თსუ-ს ადმინისტრაციის მიერ, წარმომადგენლობითი საბჭოს თანხმობის საფუძველზე, შპს „ფუდმასტერთან" დადებული ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის შესახებ.

თსუ-ს ადმინისტრაციამ შპს „ფუდმასტერს" მოსთხოვა დავალიანების დაფარვა, რაზეც კომპანიის პარტნიორებმა განაცხადეს, რომ თანახმა არიან მოახდინონ კომპანიის საკუთრებაში არსებული ინვენტარის უნივერსიტეტისათვის გადაცემა, მისი ღირებულების დავალიანების ანგარიშში ჩათვლის მიზნით. ასევე მათ აქვთ თხოვნა, თუ ინვენტარის შეფასებითი ღირებულება აღმატებული იქნება დავალიანების თანხაზე, დარჩენილი თანხის ფარგლებში, იქირავონ ჭავჭავაძის გამზ. №1-ში მდებარე შენობა-ნაგებობის მე-2 სართულზე არსებული ფართი საოფისე დანიშნულებით.

რაც შეეხება მათ მიერ წარმოდგენილ მეორე მოთხოვნას ფართის საოფისე დანიშნულებით მიქირავების შესახებ, ხელშეკრულების მოშლის შემდეგ თსუ-ს ადმინისტრაციას არანაირი მოვალეობები არ გააჩნია ამ კომპანიის წინაშე, ამიტომ ფართის სარგებლობაში პირდაპირ გადაცემა მათთვის შეუძლებელია. ეს შესაძლოა განხორციელდეს აუქციონის წესის შესაბამისად.

თსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, ბატონმა დავით ჩომახიძემ დასძინა, რომ ერთადერთი რაც შეიძლება დავაყადაღოთ არის ინვენტარი, რომელიც მათივე თქმით შეფასდება ჩვენს მიერ მოწვეული აუდიტის მიერ, თუმცა ეს ხარჯებთანაა დაკავშირებული და ამიტომ ეს თანხაც უნდა შევიდეს მათ მიერ ვალის დაფარვის

თანხაში. ყველაფერი იქითკენ მიდის, რომ მომავალში ჩვენ თვითონ შევძლოთ ჩვენი სასადილოების ექსპლუატაცია, რომლის ერთ-ერთი მიზანი იქნება იაფი კვება, როგორც სტუდენტებისათვის, ისე უნივერსიტეტის პერსონალისათვის.

წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით შპს „ფუდმასტერის" პარტნიორების მიერ შემოთავაზებული წინადადება პირობითად ორ ნაწილად გაიყო და ცალ-ცალკე დადგა მათი კენჭისყრის საკითხი.

პირველად წარმომადგენლობითმა საბჭომ განიხილა მოწვეული აუდიტის მიერ კომპანიის საკუთრებაში არსებული ინვენტარის შეფასების საკითხი.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 30

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

მიღებული გადაწყვეტილება: 1. გაიცეს თანხმობა შპს „ფუდმასტერის" საკუთრებაში არსებული ინვენტარის შესყიდვაზე, მოწვეული აუდიტორის მიერ ობიექტურად შედგენილი ინვენტარის შეფასებითი ღირებულებითი დასკვნის საფუძველზე, არსებული დავალიანების ანგარიშში ჩათვლით, მხოლოდ იმ პირობით, რომ უნივერსიტეტის მიერ მოწვეული აუდიტის მიერ გაწეული მომსახურების საფასურის გადახდას უზრუნველყოფს შპს „ფუდ მასტერი".

წარმომადგენლობითმა საბჭომ განიხილა წინადადება ზემოთ აღნიშნული კომპანიის პარტნიორებისათვის უნივერსიტეტის პირველი კორპუსის მე-2 სართულის ფართის საოფისე დანიშნულებით გადაცემის შესახებ.

იურიდიული დეპარტამენტის უფროსმა, ბატონმა არჩილ კუკულავამ აღნიშნა, რომ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე, უნივერსიტეტი მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს მათი თხოვნა, თუმცა, „სახელმწიფო ქონების შესახებ" საქართველოს კანონის, „სახელმწიფო, აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ან საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობაში გადაცემის შესახებ მიმართვის წარდგენის, მათი განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2010 წლის 01 ოქტომბრის N302 დადგენილების საფძველზე, უძრავი ქონების დროებით სარგებლობაში გაცემასთან დაკავშირებით, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ გადაწყვეტილების მიღების

შემთხვევაში, იგი გამოცხადდება საჯაროდ, სადაც, კომპანიას მიეცემა საშუალება მონაწილეობა მიიღოს სურვილისა და კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 0

წინააღმდეგი: 30

თავი შეიკავა: 0

მიღებული გადაწყვეტილება: უარი ეთქვას შპს „ფუდმასტერს" ჭავჭავაძის გამზ. №1-ში მდებარე შენობა-ნაგებობის მე-2 სართულის ფართის საოფისე დანიშნულებით გადაცემაზე.

7. ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, ბატონმა დავით ჩომახიძემ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს მოახსენა უნივერსიტეტის მე-10 (მაღლივი) კორპუსის პირველ სართულზე, ფოიეში 13.6 კვ/მეტრი უძრავი ქონების ნაწილის (ფართის) და უნივერსიტეტის მე-11 (ბიოლოგები) კორპუსის, პირველ სართულზე, შესასვლელში 5.85 კვ/მეტრი უძრავი ქონების ნაწილის (ფართის), 5 წლის ვადით, იჯარის წესით, ასლგადამღები აპარატების განთავსებისა და ფუნქციონირებისათვის დროებით სარგებლობაში გადაცემის შესახებ.

ბატონმა დავით ჩომახიძემ ასევე დასძინა, რომ უნივერსიტეტის ხარჯებით ასლგადამღები აპარატების შეძენა საკმაოდ დიდ თანხებთანაა დაკავშირებული, ამიტომ თუ ეს მცდელობა გაამრთლებს უნივერსიტეტის მე-10 და მე-11 კორპუსებში, მაშინ მგავსი სახის ასლგადამღები აპარატები განთავსდება უნივერსიტეტის პირველ და მე-2 კორპუსებშიც.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 30

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

მიღებული გადაწყვეტილება: გაიცეს თანხმობა სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მე-10 კორპუსის პირველ სართულზე, ფოიეში 13.6 კვ/მეტრი უძრავი ქონების ნაწილის (ფართის) და უნივერსიტეტის მე-11 (ბიოლოგები) კორპუსის, პირველ სართულზე, შესასვლელში 5.85 კვ/მეტრიუძრავი ქონების ნაწილის (ფართის), 5 წლის ვადით, იჯარის წესით, ასლგადამღები აპარატების განთავსებისა და ფუნქციონირებისათვის დროებით სარგებლობაში გადაცემისათვის.

8. ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, ბატონმა დავით ჩომახიძემ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს მოახსენა სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ელეფთერ ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტის უძრავი ქონების 5 წლის ვადით, იჯარის წესით დროებით სარგებლობაში გაცემის მიზნით თანხმობის თაობაზე.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ფიზიკის ინსტიტუტის ბალანსზე არსებული ქონების, კანონმდებლობით დადგენილი წესით, უნივერსიტეტისათვის გადმოცემამდე ფართის გარკვეული ნაწილი იჯარის წესით იყო გაცემული. წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წინადადების დამტკიცების შემთხვევაში აუქციონის წესით გამარჯვებულს გადაეცემა ზემოთ აღნიშნული უძრავი ქონება დროებით სარგებლობისათვის.

იურიდიული დეპარტამენტის უფროსმა, ბატონმა არჩილ კუკულავამ გამოთქვა აზრი, რომ აუცილებელია უნივერსიტეტმა თავად გაუწიოს ექსპლუატაცია თავის ქონებას, რადგან ეს მას ფინანსურად ძალიან დაეხმარება, მითუმეტეს ისეთ პირობებში, როდესაც 10კვ/მეტრი ფართი დაახლოებით 48 ათას ლარად ქირავდება. რაც მთავარია ეს ყველაფერი კანონმდებლობასთან შესაბამისობაშია და სამართლებრივი კუთხითაც არანაირ დარღვევასთან არა არის დაკავშირებული.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 30

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

მიღებული გადაწყვეტილება: გაიცეს თანხმობა სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ელეფთერ ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტის უძრავი ქონების 5 წლის ვადით, იჯარის წესით დროებით სარგებლობაში გაცემის მიზნით: 1. ***GSM მომსახურებისათვის*** (მესამე თაობის სერვისები, ფიქსირებული, უსადენო სატელეფონო კავშირი, ინტერნეტ მომსახურება): ა) შენობის ძირითადი კორპუსის პირველი სართული, ეზოს მხრიდან 12 კვადრატული მეტრი (ელ. დების გენერატორისათვის, ალტ. კვების წყაროს განსათავსებლად); ბ) კორპუსი 7/6 - სხვენში დაახლოებით 12 კვ/მეტრი (კავშირგაბმულობის ანტენის სტაციონარის განსათავსებლად); გ) ამავე კორპუსის სახურავზე /ბრტყელი გადახურვა/ ანტენის 6 ღერძის განსათავსებლად. ჯამში 12 კვადრატული მეტრი (ანტენის ღერძები განთავსდება ცალ-ცალკე 2-2 კვადრატულ მეტრზე). 2. ***სამეწარმეო საქმიანობისათვის:*** ა) ერთსართულიანი კაპიტალური შენობა 104 კვადრატული მეტრი (უნივერსიტეტის ქუჩის მხრიდან); ბ) საწვავგასამართი სადგურის ნაწილი, რომელიც განთავსებულია 20 კვადრატული მეტრის მქონე ტერიტორიაზე (ცალ-ცალკე - 15 კვ/მეტრი, 5 კვადრატული მეტრი /უნივერსიტეტის ქუჩის მხრიდან/).

9. ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, ბატონმა დავით ჩომახიძემ წარმომადგენლობითი საბჭოს გააცნო წინადადება სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მე-11 (ბიოლოგების კორპუსი) სასწავლო კორპუსში ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილი ამორტიზირებული და გამოუყენებელი აქტივების (1199 ერთეული) ჩამოწერის თაობაზე.

ბატონმა დავით ჩომახიძემ ასევე აღნიშნა, რომ საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე არ იყო ჩატარებული ინვენტარიზაცია, როგორც იქნა დასრულდა ეს პროცესი და დაიწყო მეორე ეტაპი, ქონების ჩამოწერის საკითხი, რაც თავისთავად რთული და საპასუხისმგებლო პროცესია.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა, ბატონმა არნოლდ გეგეჭკორმა განაცხადა, რომ ბიოლოგების კორპუსის კედლის მხოლოდ ერთი მხარე გარემონტდა, მეორე კი კვლავ ცუდ მდგომარეობაშია და დაინტერესდა, თუ როდის იქნება შესაძლებელი მისი შეკეთება და აღდგენა, რაზეც ბატონმა დავით ჩომახიძემ ბრძანა, რომ ზოგადად გარემონტებას ექვემდებარება უნივერსიტეტის მრავალი კორპუსი, მაგრამ რადგანაც ეს დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული და ერთად შეუძლებელია ამის განხორციელება, წელს დღის წესრიგში დგას ფიზიკის ინსტიტუტის გარემონტება. ასევე პირველ რიგში აუცილებელია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის სახურავის შეკეთებაც, რომლის ფართი 5000 კვ/მეტრია. ძალზედ ცუდ მდგომარეობაშია შემოერთებული ინსტიტუტების სახურავები, მორფოლოგიის ინსტიტუტი, მაგრამ მიუხედავად ამისა, თუ ყველაფერი გეგმის მიხედვით წარიმართა და ბიუჯეტიც მოგვცემს ამის საშუალებას, მომავალი წლისათვის ვფიქრობთ მთლიანად დამთავრდება სარემონტო სამუშაოები.

ბატონმა დავით ჩომახიძემ ასევე განაცხადა, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ გადაწყვიტა შეიძინოს კარგი სტამბა, რაც საკმაოდ დიდ თანხასთანაა დაკავშირებული, მაგრამ რადგანაც სტამბა ძალზედ მნიშვნელოვანი და აუცილებელია უნივერსიტეტისათვის, უნივერსიტეტი მზადაა გაიღოს საჭირო ფინანსები.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 30

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

მიღებული გადაწყვეტილება: გაიცეს თანხმობა სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მე-11 (ბიოლოგების კორპუსი) სასწავლო კორპუსში ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილი ამორტიზირებული და გამოუყენებელი აქტივების ჩამოწერაზე.

10. წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერმა სხდომის წევრებს გააცნო აკადემიური საბჭოს მიერ წარმოდგენილი, ინტერნეტ-ტელევიზიის დირექტორობის კანდიდატი, ბატონი გიორგი ჩართოლანი.

ბატონმა გიორგი ჩართოლანმა პირველ რიგში მადლობა გადაუხადა უნივერსიტეტის ადმინისტრაციასა და წარმომადგენლობითი და აკადემიური საბჭოების წევრებს უნივერსიტეტში ინტერნეტ-ტელევიზიის შექმნისათვის. მან ასევე აღნიშნა, თუ რაოდენ დიდი პატივია მისთვის, რომ საშუალება მიეცა საკუთარი გამოცდილება და ცოდნა გაეზიარებინა უნივერსიტეტისათვის.

ბატონმა გიორგი ჩართოლანმა განაცხადა, რომ დიდი მნიშვნელობა ექნება თავად სტუდენტების ჩაბმას ამ საქმიანობაში. ინტერნეტ-ტელევიზია უშუალოდ ჩაერთვება სასწავლო პროცესში, ეს მსოფლიოში დანერგილი სისტემაა და ზოგადად ძალზე ნაყოფიერი და დადებითი შედეგის მომტანია.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა, ბატონმა ზურაბ გაიპარაშვილმა გამოთქვა მისი სიმპატია გიორგი ჩართოლანის მიმართ, როგორც თავისი საქმის მცოდნისა და პროფესიონალისადმი.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი, ბატონი ბეჟან თუთბერიძე დაინტერესდა, შესაძლებელია თუ არა ინტერნეტ ტელევიზიის ურთიერთობა სკოლებთან, რაზეც გიორგი ჩართოლანმა ბრძანა, რომ ინტერნეტ-ტელევიზიაში იქნება საბავშვო პროგრამები, რომლის მიზანი სწორედ აბიტურიენტებთა და სკოლის მოწაფეებთან მჭიდრო ურთიერთობების დამყარებაა.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა, ქალბატონმა მანანა ხაჩიძემ კითხვით მიმართა გიორგი ჩართოლანს იმის თაობაზე, თუ როგორ შეძლებდა იგი აღნიშნული საქმიანობისათვის წარმატებით თავის გართმევას იმ პირობებში, როდესაც იგი პარალელურად რამდენიმე ადგილასაა დასაქმებული, რაზეც გიორგი ჩართოლანმა დასძინა, რომ იგი მუშაობს ერთ სფეროში და ამიტომ ეს მისთვის არ წარმოადგენს არანაირ პრობლემას.

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერმა წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს მოახსენა მისი აზრი და აღნიშნა, რომ აკადემიურმა საბჭომ გიორგი ჩართოლანის სახით ძალიან კარგი კანდიდატურა შეთავაზა წარმომადგენლობით საბჭოს თსუ-ს ინტერნეტ ტელევიზიის დირექტორის თანამდებობაზე ასარჩევად.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 30

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

მიღებული გადაწყვეტილება: გიორგი ჩართოლანი არჩეულ იქნას სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინტერნეტ ტელევიზიის დირექტორის თანამდებობაზე.

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი: კ. ლორია

წარმომადგენლობითი საბჭოს სამდივნოს

ხელმძღვანელი (უფროსი) დ. გეგენავა

თსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომა (თსუ, 29 ივნისი, 2011წ.)

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

პროფესორები:

- გაგნიძე ინეზა
- თოდუა ნუგზარი
- მექვაბიშვილი ელგუჯა

სტუდენტები:

- კარტოზია გიორგი
- მესხორაძე გიორგი
- ჩაბაკაური გიორგი

მედიცინის ფაკულტეტი

პროფესორები:

- გალდავა გიორგი
- მარგველიშვილი ვლადიმერი
- ფაღავა ზურაბი

სტუდენტები:

- ცინცაძე ნინო

სოციალურ პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

- თურქიაშვილი შორენა
- მაცაბერიძე მალხაზი
- შამილიშვილი მანანა
- წერეთელი მარი

სტუდენტები:

- ნახუცრიშვილი კონსტანტინე
- ჩოხელი ლევანი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

- ბარამიძე ცირა
- ბახტაძე მიხეილი
- ბრაჭული ირაკლი
- გელოვანი ნანი
- ლიჩელი ვახტანგი
- ლორია კახაბერი
- პაიჭაძე თამარი

სტუდენტები:

- ახლოური ბექა
- ზივზივაძე ვახტანგი
- ჯღამაძე უჩა

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

- გეგეჭკორი არნოლდი
- ელიაშვილი მერაბი
- თუთბერიძე ბეჟანი
- ომანაძე როლანდი
- ხაჩიძე მანანა
- კერესელიძე დავითი

სტუდენტები:

- გუბაძე ვასილი
- ჭლიკაძე გივი

იურიდიული ფაკულტეტი

პროფესორები:

- კახიანი გიორგი
- კვერენჩხილაძე გიორგი

სტუდენტები:

- ბენდელიანი ბექა
- პაპაშვილი თამარი
- ჭალიძე ივერი

თსუ-ს ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი

- ზურაბ გაიპარაშვილი

თსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე (29. 06. 11)
დამსწრე აკადემიური საბჭოს წევრების სია:

- ალექსანდრე კვიტაშვილი (რექტორი)
- ნანი გაფრინდაშვილი
- რამაზ ქურდაძე
- ზურაბ დავითაშვილი
- მარიამ გერსამია
- ალექსანდრე შენგელაია
- ელიზბარ ნადარაია
- მაია კოპალეიშვილი
- ნუგზარ სურგულაძე
- რევაზ გველესიანი
- ქეთევან მარშავა
- ფრიდონ თოდუა
- ლავრენტი მანაგაძე

ცვლილებები სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდებაში

1. მე–6 მუხლის მე–2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. უნივერსიტეტი შედგება ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულებისაგან – ფაკულტეტებისაგან, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბიბლიოთეკის, დამხმარე სტრუქტურული ერთეულების: რექტორისა **<u>და აკადემიური საბჭოს</u>** აპარატის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის აპარატის, კანცელარიისა და მართვის ორგანოების სამდივნოებისაგან, დამოუკიდებელი სამეცნიერო - კვლევითი ერთეულებისაგან, აგრეთვე საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო მნიშვნელობის, საგანმანათლებლო-სამეცნიერო და სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებისაგან.“;

2. მე–10 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 10. აკადემიური საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციული უზრუნველყოფა

1. აკადემიური საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციულ უზრუნველყოფას ახორციელებს **<u>რექტორისა და აკადემიური საბჭოს აპარატი.</u>**

2. **<u>რექტორისა და აკადემიური საბჭოს აპარატი</u>** უზრუნველყოფს აკადემიური საბჭოს წევრთა ორგანიზაციულ, იურიდიულ, დოკუმენტურ და საინფორმაციო მომსახურებას.“;

3. მე–12 მუხლის პირველი და მე–2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. **<u>რექტორისა და აკადემიური საბჭოს აპარატი</u>**, აკადემიური საბჭოს თავმჯდომარესთან შეთანხმებით, ადგენს სხდომაზე განსახილველი საკითხების ნუსხას, რომელსაც წინასწარ გადასცემს აკადემიური საბჭოს წევრებს.

2. აკადემიური საბჭოს წევრები უფლებამოსილნი არიან დღის წესრიგის პროექტში დამატებით შეიტანონ განსახილველი საკითხი, რის შესახებაც **<u>რექტორისა და აკადემიური საბჭოს აპარატს</u>** უნდა ეცნობოს სხდომის **<u>დაწყებამდე</u>** არა უგვიანეს 2 დღისა.“.

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის ოქმი №37, დანართი 4.1.

ფაკულტეტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულები

1. არაწრფივი მოვლენების ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი
2. ბიოეფექტური ტექნოლოგიების ფუნდამენტური კვლევების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი
3. ბიოფიზიკისა და ბიო-ნანომეცნიერებების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი
4. გამოთვლითი ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი
5. გამოყენებითი ეკოლოგიის ინტერდისციპლინარული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი
6. ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი
7. კონდენსირებული გარემოს ფიზიკისა და პერსპექტიულ მასალათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი
8. მაკრომოლეკულების ქიმიის და პოლიმერული მასალების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი
9. მეტალორგანული ქიმიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი
10. მიკრო და ნანოელექტრონიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი
11. ნახევარგამტართა ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი
12. ორგანული ქიმიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი
13. სტრესის ბიოქიმიური მექანიზმების შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი
14. ფიზიკური და ანალიზური ქიმიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი
15. არაორგანულ-ორგანული არატრადიციული ჰიბრიდული მასალების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი
16. ნივთიერებათა კვლევის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი
17. სამედიცინო და გამოყენებითი ბიოფიზიკის ინსტიტუტი
18. გენეტიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

ფაკულტეტის სასწავლო სტრუქტურული ერთეულები

1. სასწავლო ცენტრი "ჩ IშჩQ-ს ქსელური აკადემია"
2. საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარების ცენტრი
3. მდგრადი განვითარების გის-ტექნოლოგიების და კატასტროფების პროგნოზირების ცენტრი

ფაკულტეტის დამხმარე სასწავლო-სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულები:

1. ადამიანის და ცხოველთა ფიზიოლოგიის ლაბორატორია
2. აპარატურული და ტექნიკური უზრუნველყოფის ლაბორატორია
3. ატომური ფიზიკის ლაბორატორია
4. ბიომრავალფეროვნების ლაბორატორია
5. ბიოორგანულ ნაერთთა ქიმიის ლაბორატორია
6. ბიოფიზიკის ლაბორატორია
7. ბირთვული ფიზიკის ლაბორატორია
8. გამოყენებითი ლოგიკისა და პროგრამირების ლაბორატორია
9. გამოყენებითი ელექტროდინამიკის და რადიოტექნიკის ლაბორატორია
10. გენეტიკის ლაბორატორია
11. გეოფიზიკისა და იონოსფეროს ფიზიკის ლაბორატორია
12. ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკის ლაბორატორია
13. ექსპერიმენტული ინფორმაციის მოდელური ანალიზის ლაბორატორია
14. ზოგადი ფიზიკის ლაბორატორია
15. ზოგადი და არაორგანული ქიმიის ლაბორატორია
16. იმუნოლოგიისა და მიკრობიოლოგიის ლაბორატორია
17. კონდენსირებული გარემოს ფიზიკის ლაბორატორია
18. მათემატიკის ლაბორატორია
19. მათემატიკური მოდელირებისა და გამოთვლითი მათემატიკის ლაბორატორია
20. მაკრომოლეკულების ქიმიის ლაბორატორია
21. მარტყოფის გეოგრაფიული ლაბორატორია
22. მეტალორგანული და გამოყენებითი ქიმიის ლაბორატორია
23. მორფოლოგიის ლაბორატორია
24. ნიადაგების გეოგრაფიისა და ნიადაგმცოდნეობის ლაბორატორია
25. ორგანული ქიმიის ლაბორატორია
26. პეტროქიმიის ლაბორატორია

27. პროგრამული უზრუნველყოფის ლაბორატორია
28. უწყვეტ გარემოთა მექანიკის მათემატიკური პრობლემების ანალიზის მონათესავე საკითხების ლაბორატორია
29. ფიზიკური და ანალიზური ქიმიის ლაბორატორია
30. ფიზიკურ–ქიმიური ბიოლოგიის ლაბორატორია
31. ჯანდარის ლაბორატორია
32. ჰიდრომეტეოროლოგის ლაბორატორია
33. ჰიდრომექანიკისა და ოკეანოლოგიის ლაბორატორია

ფაკულტეტის სხვა დამხმარე სტრუქტურული ერთეულები

1. ბიბლიოთეკა
2. კანცელარია
3. რესურსების მართვის სამსახური
4. სასწავლო პროცესის მართვის სამსახური
5. სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახური

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

დებულება და სტრუქტურა

მუხლი 1.ფაკულტეტის სტატუსი

მუხლი 2. .ფაკულტეტის სტრუქტურა

მუხლი 3. სტრუქტურული ერთეულების დანიშნულება და ანგარიშვალდებულება

მუხლი 4. სტრუქტურული ერთეულების პერსონალი

მუხლი 5. ფაკულტეტის საბჭო

მუხლი 6. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო

მუხლი 7. მაგისტრატურა, დოქტორანტურა

მუხლი 8. ფაკულტეტის ბიუჯეტი

მუხლი 9. ფაკულტეტის მართვა

მუხლი 10. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

დანართი №1 სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულები

დანართი №2 სასწავლო სტრუქტურული ერთეულები

დანართი №3 დამხმარე სასწავლო-სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულები

დანართი №4 სხვა დამხმარე სტრუქტურული ერთეულები

მუხლი 1. ფაკულტეტის სტატუსი

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში: თსუ) ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი (შემდგომში: ფაკულტეტი) არის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ძირითადი სასწავლო-სამეცნიერო და ადმინისტრაციული ერთეული, რომელიც აკადემიური თავისუფლებისა და ინსტიტუციური ავტონომიის პირობებში ახორციელებს სასწავლო პროგრამებსა და სამეცნიერო კვლევებს.
2. ფაკულტეტი ვალდებულია, შეუქმნას სტუდენტს და ფაკულტეტის პერსონალს საქართველოს სახელმწიფოს განვითარების დონიდან გამომდინარე სათანადო პირობები სწავლის, სწავლების და სამეცნიერო კვლევისათვის; უზრუნველყოს მეცნიერების შესაბამის დარგში თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი, მომავალზე ორიენტირებული განათლების მიღების შესაძლებლობა და მუდმივად იზრუნოს სასწავლო და სამეცნიერო პირობების გაუმჯობესებაზე.

მუხლი 2. ფაკულტეტის სტრუქტურა

1. ფაკულტეტი შედგება სასწავლო-სამეცნიერო, სასწავლო, სამეცნიერო, დამხმარე სასწავლო-სამეცნიერო და სხვა დამხმარე სტრუქტურული ერთეულებისაგან.
2. ფაკულტეტის სტრუქტურული ერთეულებისათვის (შემდგომში: სტრუქტურული ერთეულები) რეზერვირებული დასახელებები:
   2.1. სასწავლო-სამეცნიერო სტრუქტურულ ერთეულს შეიძლება ერქვას დეპარტამენტი და/ან კათედრა.
   2.2. სამეცნიერო სტრუქტურულ ერთეულს შეიძლება ერქვას ინსტიტუტი.
   2.3. სასწავლო სტრუქტურულ ერთეულს შეიძლება ერქვას ცენტრი.
   2.4. დამხმარე სასწავლო-სამეცნიერო სტრუქტურულ ერთეულს შეიძლება ერქვას ლაბორატორია.
   2.5. სტრუქტურული ერთეულის ქვეერთეულს შეიძლება ერქვას განყოფილება.
3. სტრუქტურულ ერთეულებს შორის მიმართება:
   3.1. სტრუქტურულ ერთეულებს შორის შეიძლება არსებობდეს მხოლოდ ამ დებულებით განსაზღვრული ურთიერთმიმართება.
   3.2. დეპარტამენტი შეიძლება შეიცავდეს კათედრას და ლაბორატორიას სტრუქტურული ქვეერთეულის სახით.
   3.3. კათედრა შეიძლება იყოს ინტერდისციპლინური და აქედან გამომდინარე შევიდეს ერთი ან რამდენიმე დეპარტამენტის დაქვემდებარებაში.
   3.4. სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ქვეერთეული შეიძლება იყოს განყოფილება.
   3.5. სასწავლო სტრუქტურული ერთეულის ქვეერთეული შეიძლება იყოს განყოფილება.
4. ფაკულტეტში გაერთიანებულია შემდეგი დეპარტამენტები:

4.1. მათემატიკის დეპარტამენტი;
4.2. კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტი;
4.3. ფიზიკის დეპარტამენტი;
4.4. ქიმიის დეპარტამენტი;
4.5. ბიოლოგიის დეპარტამენტი;
4.6. გეოგრაფიის დეპარტამენტი;
4.7. გეოლოგიის დეპარტამენტი.
4.8. ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის დეპარტამენტი.

5. სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულები მოცემულია დანართში №1.
6. სასწავლო სტრუქტურული ერთეულები მოცემულია დანართში №2.
7. დამხმარე სასწავლო-სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულები მოცემულია დანართში №3.
8. სხვა დამხმარე სტრუქტურული ერთეულები მოცემულია დანართში №4.

მუხლი 3. სტრუქტურული ერთეულების დანიშნულება და ანგარიშვალდებულება

1. სასწავლო-სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების დანიშნულებაა სტრუქტურული ერთეულის განვითარების სტრატეგიული დაგეგმარება, დარგის სასწავლო და სამეცნიერო პოლიტიკის განსაზღვრა, საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების განხორციელება.
2. სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულები იქმნება თსუ-ის ბაზაზე სამეცნიერო კვლევების წარმოების, აგრეთვე სამეცნიერო კვლევის შედეგების კომერციალიზაციის მიზნით.
3. სასწავლო სტრუქტურული ერთეულები იქმნება სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით. სასწავლო სტრუქტურულ ერთეულს უფლება არ აქვს განახორციელოს საბაკალავრო, სამაგისტრო ან სადოქტორო პროგრამა.
4. დამხმარე სასწავლო-სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების დანიშნულებაა სასწავლო პროცესსა და სამეცნიერო კვლევების განხორციელებაში მონაწილეობა.
5. დანართში №4 მოცემული სხვა დამხმარე სტრუქტურული ერთეულების დანიშნულებაა ფაკულტეტის მატერიალური და ადამიანური რესურსების მართვა, სასწავლო პროცესის ორგანიზება და მისი გამართული მუშაობის უზრუნველყოფა, სამეცნიერო ღონისძიებების ორგანიზაციის ხელშეწყობა, ფაკულტეტის საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიღება, შეკრება, ანალიზი და გავრცელება, კომუნიკაციის უზრუნველყოფა ფაკულტეტს შიგნით, თსუ-ის ადმინისტრაციასთან, სხვა ფაკულტეტებთან და სტრუქტურულ ერთეულებთან, შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოება.
6. სტრუქტურულ ერთეულებს შორის ამ დებულებით დაურეგულირებელი საკითხის წარმოქმნის შემთხვევაში იქმნება დამატებითი მარეგულირებელი დოკუმენტი უფლებამოსილებათა გამიჯვნის შესახებ, რომელსაც ამზადებს ფაკულტეტის დეკანი და ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო. ასეთი

მარეგულირებელი დოკუმენტის არ არსებობის შემთხვევაში სადავო საკითხები რეგულირდება დეკანის გადაწყვეტილებით.

7. სტრუქტურულ ერთეულს აქვს ფაკულტეტის საბჭოს მიერ დამტკიცებული სამოქმედო გეგმა.
8. სტრუქტურული ერთეული ანგარიშვალდებულია ფაკულტეტის საბჭოს წინაშე.

მუხლი 4. სტრუქტურული ერთეულების პერსონალი

1. სასწავლო-სამეცნიერო სტრუქტურულ ერთეულებში დარგობრივი ნიშნით გაერთიანებულია მხოლოდ ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი.
2. დამხმარე სტრუქტურულ ერთეულებში გაერთიანებულია ფაკულტეტის საშტატო განრიგით გათვალისწინებული შესაბამისი პერსონალი.
3. სასწავლო და სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების პერსონალს სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის წარდგინებით ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო.
4. სასწავლო-სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების პერსონალისათვის რეზერვირებული დასახელებებია:
   4.1. დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
   4.2. დეპარტამენტის ხელმძღვანელის მოადგილე;
   4.3. კათედრის გამგე;
   4.4. კათედრის გამგის მოადგილე.
5. სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების პერსონალისათვის რეზერვირებული დასახელებებია:
   5.1. ინსტიტუტის დირექტორი;
   5.2. ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე;
   5.3. განყოფილების გამგე;
   5.4. მთავარი მეცნიერ თანამშრომელი;
   5.5. უფროსი მეცნიერ თანამშრომელი;
   5.6. მეცნიერ თანამშრომელი;
   5.7. ტექნიკური მუშაკი.
6. სასწავლო სტრუქტურული ერთეულების პერსონალისათვის რეზერვირებული დასახელებებია:
   6.1. ცენტრის დირექტორი;
   6.2. უფროსი მასწავლებელი;
   6.3. მასწავლებელი.
7. დამხმარე სასწავლო-სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების პერსონალისათვის რეზერვირებული დასახელებებია:
   7.1. ლაბორატორიის გამგე;
   7.2. უფროსი ლაბორანტი;
   7.3. ლაბორანტი;
   7.4. უფროსი ინჟინერი;
   7.5. ინჟინერი.

8. დანართში №4 მოცემული სხვა დამხმარე სტრუქტურული ერთეულების პერსონალისათვის რეზერვირებული დასახელებებია:
   8.1. სამსახურის უფროსი;
   8.2. კანცელარიის უფროსი;
   8.3. ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი;
   8.4. უფროსი სპეციალისტი;
   8.5. ბიბლიოთეკარი;
   8.6. მდივანი.

მუხლი 5. ფაკულტეტის საბჭო

1. ფაკულტეტის წარმომადგენლობითი ორგანოა ფაკულტეტის საბჭო:
   1.1. ფაკულტეტის საბჭოს არჩევის წესი განიმარტება უნივერსიტეტის წესდებით.
   1.2. ფაკულტეტის საბჭოს უფლებამოსილების სფერო განიმარტება საქართველოს კანონით უმაღლესი განათლების შესახებ, უნივერსიტეტის წესდებით და ფაკულტეტის დებულებით.
2. კვორუმი და გადაწყვეტილების მიღება:
   2.1. ფაკულტეტის საბჭოს სხდომა უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მას ესწრება სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
   2.2. ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება თუ შესრულებულია შემდეგი მოთხოვნები:
      2.2.1. გადაწყვეტილებას მხარს დაუჭერს სხდომის დამსწრეთა ნახევარზე მეტი.
      2.2.2. ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით ან უნივერსიტეტის წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.
   2.3. ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე კენჭისყრა არის ღია, გარდა კანონით და უნივერსიტეტის წესდებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
   2.4. ფაკულტეტის საბჭოს წევრთა საერთო რაოდენობის 1/4-ს უფლება აქვს მოითხოვოს ფარული კენჭისყრა.
3. ფაკულტეტის საბჭო საჭიროებისამებრ ქმნის დროებით კომისიას და განსაზღვრავს მისი მუშაობის რეგლამენტს.
4. ფაკულტეტის საბჭო:
   4.1. დეკანის წარდგინებით განიხილავს გადაწყვეტილებას ფაკულტეტის დებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ და დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს.
   4.2. დეკანის წარდგინებით განიხილავს გადაწყვეტილებას სტრუქტურული ერთეულების შექმნის, რეორგანიზაციის და ლიკვიდაციის თაობაზე და დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს.
   4.3. ამტკიცებს სასწავლო, სამეცნიერო და სასწავლო-სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს.
   4.4. განსაზღვრავს სტრუქტურული ერთეულების ანგარიშგების ვადებს და ფორმას.

4.5. ვალდებულია შეაფასოს სტრუქტურული ერთეულების მიერ გაწეული მუშაობა წარმოდგენილი ანგარიშის საფუძველზე წელიწადში ერთხელ.

4.6. იღებს გადაწყვეტილებას სტრუქტურული ერთეულისათვის ქვეანგარიშის გახსნის თაობაზე და აკეთებს შესაბამის წარდგინებას თსუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის სახელზე.

5. ოქმის წარმოება:

5.1. ფაკულტეტის საბჭოს თითოეული სხდომის შესახებ იწარმოება ოქმი.

5.2. ოქმს ხელს აწერს ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე და საბჭოს სხდომის მდივანი.

მუხლი 6. სადისერტაციო საბჭო

1. სადისერტაციო საბჭო არის დოქტორის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი ორგანო, რომელიც იქმნება ფაკულტეტზე.
2. სადისერტაციო საბჭოს აქვს დებულება, რომელიც დამტკიცებულია ფაკულტეტის საბჭოს მიერ.
3. სადისერტაციო საბჭო იქმნება თსუ-ის წესდების შესაბამისად.
4. სადისერტაციო საბჭო ფუნქციონირებს სადისერტაციო საბჭოს დებულების, აკადემიური საბჭოს შესაბამისი დადგენილებების და თსუ-ის წესდების შესაბამისად.

მუხლი 7. მაგისტრატურა, დოქტორანტურა

1. მაგისტრატურის საფეხურზე სტუდენტის სტატუსის მოპოვების საფუძველია სამაგისტრო გამოცდის შედეგები, რომელიც მოიცავს საერთო სამაგისტრო გამოცდასა და შესაბამისი სამაგისტრო პროგრამით განსაზღვრულ გამოცდას/გამოცდებს.
2. დოქტორანტურის საფეხურზე სტუდენტის სტატუსის მოპოვების საფუძველია წარმატებული გასაუბრება შესაბამის კომისიასთან. კონკრეტული სადოქტორო პროგრამით ასევე შესაძლებელია განსაზღვრული იყოს მიღების დამატებითი პირობები.

მუხლი 8. ფაკულტეტის ბიუჯეტი

1. ფაკულტეტის ბიუჯეტის შედგენის წესი განსაზღვრულია თსუ წესდებით.
2. ფაკულტეტის ბიუჯეტიდან შეიძლება დაფინანსდნენ დამხმარე სტრუქტურული ერთეულები.
3. ფაკულტეტის ბიუჯეტიდან არ შეიძლება დაფინანსდეს სამეცნიერო და სასწავლო სტრუქტურული ერთეულები.
4. სტრუქტურულ ერთეულებს შეიძლება ჰქონდეთ ქვეანგარიში.

5. სტრუქტურული ერთეულის ქვეანგარიშიდან თანხის მიზნობრივ ხარჯვაზე პასუხისმგებელია სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი.

მუხლი 9. ფაკულტეტის მართვა

1. ფაკულტეტის მართვა ხორციელდება საქართველოს კანონის უმაღლესი განათლების შესახებ, თსუ-ის წესდების და ფაკულტეტის დებულების საფუძველზე.
2. სტრუქტურულ ერთეულს ჰყავს ხელმძღვანელი ან მოვალეობის შემსრულებელი.
3. სასწავლო, სამეცნიერო და სასწავლო-სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელს ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო.
4. სასწავლო, სამეცნიერო და სასწავლო-სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელს განსაზღვრული ვადით ნიშნავს ფაკულტეტის დეკანი.
5. სასწავლო-სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი იმავდროულად უნდა იყოს ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი.

მუხლი 10. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური იქმნება სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის, აგრეთვე მისი აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების ხარისხის სისტემატური შეფასების მიზნით და მოქმედებს ფაკულტეტის დებულების შესაბამისად.

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის ოქმი №37, დანართი 5.

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულება და სტრუქტურა

თავი I
ზოგადი დებულებები

მუხლი 1. ფაკულტეტის სტატუსი

1. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში „თსუ“) ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი (შემდგომში „ფაკულტეტი“) წარმოადგენს თსუ-ის ძირითად სასწავლო-სამეცნიერო და ადმინისტრაციულ ერთეულს, რომელიც აკადემიური თავისუფლებისა და ინსტიტუციური ავტონომიის ფარგლებში უზრუნველყოფს სტუდენტთა მომზადებას და მათთვის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებას ჰუმანიტარული მეცნიერებების მიმართულებით.

2. ფაკულტეტის ოფიციალური სახელწოდებაა ,,სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი“.

3. ფაკულტეტის სამართლებრივი სტატუსი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით, თ სუ–ის წესდებითა და წინამდებარე დებულებით.

4. ფაკულტეტს აქვს ბლანკი თსუ–ის ლოგოს გამოსახულებით. ბლანკის გამოყენება ხდება ფაკულტეტის დეკანის დავალებით ან თანხმობით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5. ფაკულტეტს აქვს ბეჭედი და ვებ–გვერდი.

მუხლი 2. ფაკულტეტის დებულების მოქმედება

წინამდებარე დებულება განსაზღვრავს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ძირითად ამოცანებს და კომპეტენციის სფეროებს, ფაკულტეტის სტრუქტურას, მისი სტრუქტურული და საგანმანათლებლო/სამეცნიერო საქმიანობის განმახორციელებელი ერთეულების საქმიანობის წესსა და უფლება-მოვალეობებს.

მუხლი 3. ფაკულტეტის ამოცანები

ფაკულტეტის ძირითადი ამოცანებია:

ა) მაღალხარისხიანი, ხელმისაწვდომი და თანამედროვე დონის ჰუმანიტარული განათლების მიღების უზრუნველყოფა;

ბ) ჰუმანიტარული სფეროს მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება ქვეყნის ინტერესების და საერთაშორისო აკადემიური სტანდრტების გათვალისწინებით;

გ) ჰუმანიტარულ კვლევებში ინოვაციური მიდგომების დანერგვა და მეცნიერული კვლევის შედეგების სასწავლო პროცესში ინტეგრირება;

დ) ფაკულტეტის ინტელექტუალური პოტენციალის კონცენტრაცია პრიორიტეტული სამეცნიერო პრობლემატიკის დამუშავებაზე და ქვეყანაში საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნების შესაბამისი სამეცნიერო–კვლევითი პროექტების ინიცირება ან/და ხელშეწყობა;

ე) სტუდენტებისათვის სწავლისა და დამოუკიდებელი კვლევისათვის საუკეთესო პირობების შექმნა;

ვ) სტუდენტისა და პროფესორის პიროვნულ და პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა და საერთაშორისო აკადემიური თანამშრომლობის შემდგომი განვითარება და გაღრმავება;

ზ) ჰუმანიტარულ მეცნიერებათა თანამედროვე სტანდარტების შესატყვისი, მომავალზე ორიენტირებული განათლების მიღების შესაძლებლობის უზრუნველყოფა.

თავი II
ფაკულტეტის სტრუქტურა და მართვა

მუხლი 4. ფაკულტეტის სტრუქტურა და მართვის ორგანოები

1. ფაკულტეტის მართვა ხორციელდება შემდეგი ორგანოების (მმართველი სუბიექტების) მეშვეობით: ფაკულტეტის საბჭო, ფაკულტეტის დეკანი და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

2. ფაკულტეტის სტრუქტურა და სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის წესი განისაზღვრება წინამდებარე დებულებით, რომელსაც ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით ამტკიცებს თსუ–ის წარმომადგენლობითი საბჭო.

3. ფაკულტეტი აერთიანებს საფაკულტეტო მნიშვნელობის ძირითად და დამხმარე სტრუქტურულ ერთეულებს, რომლებიც ხელს უწყობენ სპეციალისტთა მომზადებას, აკადემიური თავისუფლებისა და ინსტიტუციური ავტონომიის პირობებში საგანმანათლებლო პროგრამების რეალიზებას, უწყვეტი განათლების ორგანიზებას და სამეცნიერო კვლევების განხორციელებას ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მიმართულებებით.

4. ფაკულტეტის საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობის განმახორციელებელი საფაკულტეტო მნიშვნელობის ძირითადი სტრუქტურული ერთეულია: სასწავლო –სამეცნიერო ინსტიტუტი (შემდგომში ინსტიტუტი (სსი), რომლის შემადგენლობაში შეიძლება შევიდეს: სასწავლო–სამეცნიერო დეპარტამენტი (შემდგომში დეპარტამენტი), სამეცნიერო–კვლევითი ცენტრი, სასწავლო ლაბორატორია, სტუდია, სახელოსნო.

5. ფაკულტეტის საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობის განმახორციელებელი ძირითადი სტრუქტურული ერთეული ანგარიშვალდებულია ფაკულტეტის საბჭოს წინაშე.

6. ფაკულტეტის შემადგენლობაში სტრუქტურული ქვედანაყოფის სახით შეიძლება შედიოდეს საფაკულტეტო მნიშვნელობის საგანმანათლებლო, საგანმანათლებლო–სამეცნიერო, სამეცნიერო–კვლევითი ცენტრი.

7. ფაკულტეტის დამხმარე სტრუქტურული ერთეულებია: სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახური, რესურსების მართვის სამსახური, სტუდენტთა მომსახურების ცენტრი, კანცელარია, ბიბლიოთეკა.

8. ფაკულტეტის დამხმარე სტრუქტურული ერთეული ანგარიშვალდებულია ფაკულტეტის დეკანის წინაშე.

9. დადგენილი წესის შესაბამისად ფაკულტეტზე იქმნება ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო.

10. ფაკულტეტზე მოქმედებს სტუდენტური თვითმმართველობა.

11. ფაკულტეტზე მოქმედებს „ნორჩ ჰუმანიტართა სკოლა“.

მუხლი 5. სტრუქტურული ერთეულების შექმნისა და გაუქმების წესი

ფაკულტეტის ახალი სტრუქტურული ერთეულის შექმნის ან არსებული ერთეულების გაუქმების შესახებ გადაწყვეტილებას შეიმუშავებს ფაკულტეტის საბჭო და დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს.

თავი III
ფაკულტეტის საბჭო

მუხლი 7. ფაკულტეტის საბჭოს ფორმირება

1. ფაკულტეტის წარმომადგენლობითი ორგანოა ფაკულტეტის საბჭო, რომლის ფორმირების წესი განისაზღვრება თსუ–ის წესდებით.

2. ფაკულტეტის საბჭოში სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენელთა რაოდენობა განისაზღვრება საბჭოს შემადგენლობის 1/4-ით.

მუხლი 8. ფაკულტეტის საბჭოს უფლებამოსილებები

ფაკულტეტის საბჭო:

ა) განსაზღვრავს და თსუ–ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წარუდგენს ფაკულტეტის ბიუჯეტს;

ბ) თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს ფაკულტეტის დეკანს;

გ) დეკანის წარდგინებით შეიმუშავებს და თსუ–ის აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს ფაკულტეტის განვითარების სტრატეგიულ გეგმას, საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით პროგრამებს;

დ) დეკანის წარდგინებით შეიმუშავებს ფაკულტეტის სტრუქტურასა და დებულებას და დასამტკიცებლად წარუდგენს თსუ–ის წარმომადგენლობით საბჭოს;

ე) შეიმუშავებს სადისერტაციო საბჭოს დებულებას და დასამტკიცებლად წარუდგენს თსუ–ის აკადემიურ საბჭოს;

ვ) ირჩევს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს;

ზ) უფლებამოსილია დეკანის მიერ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის, დეკანისათვის დაკისრებული მოვალეობების არასათანადოდ შესრულების ან/და დეკანისათვის შეუფერებელი საქმიანობის განხორციელების საფუძვლით განიხილოს დეკანის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხი.

თ) დეკანის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში ნიშნავს დეკანის მოვალეობის შემსრულებელს;

ი) სასწავლო წლის დასაწყისში განსაზღვრავს კოეფიციენტებს ერთიანი ეროვნული გამოცდისათვის;

კ) უფლებამოსილია, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიიღოს გადაწყვეტილება საერთო სამაგისტრო გამოცდისთვის კოეფიციენტის მინიჭების ან არმინიჭების თაობაზე; კოეფიციენტის მინიჭების შემთხვევაში განსაზღვრავს კოეფიციენტებს საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის ცალკეული ნაწილისთვის, აგრეთვე ადგენს კოეფიციენტებს მის მიერ განსაზღვრული გამოცდის/გამოცდებისათვის.

ლ)მაგისტრანტობის კანდიდატებისთვის შეიმუშავებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული გამოცდის/გამოცდების ჩატარების წესს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად;

მ)სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით განსაზღვრავს სპეციალობის/სპეციალობების ჩამონათვალს საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულებების ფარგლებში.

ნ)შეიმუშავებს დოქტორანტობის კანდიდატებისათვის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული გამოცდის/გამოცდების/გასაუბრების ჩატარების წესს.

ო) სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის წარდგინების საფუძველზე განსაზღვრავს დოქტორანტების სწავლის საფასურის შეღავათის ოდენობას.

პ) ახორციელებს ამ დებულებით, თსუ–ის წესდებითა და საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

მუხლი 9 . ფაკულტეტის საბჭოს ფუნქციონირების პროცედურული საკითხები:

1. ფაკულტეტის საბჭო პირველ სხდომაზე საბჭოს წევრი აკადემიური პერსონალის შემადგენლობიდან ღია კენჭისყრით ირჩევს ფაკულტეტის საბჭოს მდივანს. ფაკულტეტის საბჭოს მდივნის ფუნქციაა ფაკულტეტის საბჭოს საქმისწარმოების ორგანიზება. ფაკულტეტის საბჭოს მდივნის სხდომაზე არყოფნის შემთხვევაში მის ფუნქციას ასრულებს ფაკულტეტის საბჭოს მიერ უმრავლესობით არჩეული საბჭოს რიგითი წევრი აკადემიური პერსონალის შემადგენლობიდან.

2. ფაკულტეტის საბჭოს სხდომის დღის წესრიგის პროექტს ამზადებს საბჭოს მდივანი დეკანის მითითებით. ფაკულტეტის საბჭოს წევრებს შეუძლიათ საბჭოს მდივნისათვის დღის წესრიგის პროექტში გასათვალისწინებელი საკითხების მიწოდება წერილობით. ფაკულტეტის საბჭოს მდივანი ფაკულტეტის საბჭოს სხდომის თარიღამდე 3 დღით ადრე საჯარო ადგილას აქვეყნებს ფაკულტეტის საბჭოს სხდომის დღის წესრიგის პროექტს.

3. ფაკულტეტის საბჭო სხდომის დაწყებისთანავე ღია კენჭისყრით ამტკიცებს დღის წესრიგს.

4. ფაკულტეტის საბჭოს წევრი ფაკულტეტზე დაკავებული აკადემიური თანამდებობიდან გათავისუფლების შემთხვევაში ავტომატურად კარგავს ფაკულტეტის საბჭოს წევრობის უფლებას.

5. ფაკულტეტის საბჭოს წევრი სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენელი სტუდენტის სტატუსის შეჩერება/შეწყვეტის შემთხვევაში სტუდენტი ავტომატურად კარგავს ფაკულტეტის საბჭოს წევრობის უფლებას.

6. ფაკულტეტის საბჭო, როგორც წესი, სხდომებს ატარებს კალენდარული თვის მეოთხე კვირაში. ფაკულტეტის საბჭოს რიგგარეშე სხდომის მოწვევის უფლება აქვს ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარეს საკუთარი ინიციატივით ან ფაკულტეტის საბჭოს წევრთა 1/3 მოთხოვნით.

7. ფაკულტეტის საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ სხდომას ესწრება საერთო შემადგენლობის 1/2. გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ საკითხს მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრეთა ნახევარზე მეტმა.

8. ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე კენჭისყრა არის ღია, გარდა საქართველოს კანონმდებლობით, თსუ–ის წესდებითა და თსუ–ში მოქმედი რეგულაციებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

9. ფაკულტეტის საბჭოს ყოველი სხდომის თაობაზე ფორმდება ოქმი, რომელსაც ხელს აწერს სხდომის თავმჯდომარე და საბჭოს მდივანი.
10. ფაკულტეტის საბჭო უფლებამოსილია შექმნას სპეციალური კომისია, რომელსაც ევალება ფაკულტეტის სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობის კონკრეტული საკითხების შესწავლა და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება. კომისიების შემადგენლობა და მუშაობის წესი მტკიცდება ფაკულტეტის საბჭოს მიერ.

11. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით ფუნქციონირებს ფაკულტეტის საბიუჯეტო თანხების გამანაწილებელი კომისია და ფაკულტეტის სარედაქციო–საგამომცემლო კომისია.

თავი IV
ფაკულტეტის დეკანი

მუხლი 10. ფაკულტეტის დეკანის სტატუსი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტს ხელმძღვანელობს და მესამე პირებთან ურთიერთობებში წარმოადგენს ფაკულტეტის დეკანი.

მუხლი 11. დეკანის არჩევის წესი

1. ფაკულტეტის საბჭო ფაკულტეტის დეკანს ირჩევს 4 წლის ვადით, გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპების დაცვით.

2. დეკანის თანამდებობაზე ერთი და იგივე პირი ზედიზედ შეიძლება აირჩეს მხოლოდ ორჯერ.

3. საქართველოს კანონმდებლობით, თსუ–ის წესდებითა და თსუ–ში მოქმედი რეგულაციებით შეიძლება განისაზღვროს დეკანობის კანდიდატისთვის წაყენებული მინიმალური საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

4. დეკანის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატების რეგისტრაციის დაწყების შესახებ განცხადებას ფაკულტეტის საბჭო აქვეყნებს კანდიდატების რეგისტრაციის დაწყებამდე არანაკლებ 1 თვით ადრე საქართველოს კანონმდებლობით, თსუ–ის წესდებითა და თსუ–ში მოქმედი რეგულაციებით დადგენილი წესით. რეგისტრაცია გრძელდება არანაკლებ 2 და არა უმეტეს 3 კვირისა. არჩევნები ტარდება კანდიდატების რეგისტრაციის დასრულებიდან არანაკლებ 3 კვირის და არა უგვიანეს 1 თვის ვადაში.

5. კანდიდატად რეგისტრაციისათვის აუცილებელია ავტობიოგრაფიისა და ფაკულტეტის განვითარების კონცეფციის წარმოდგენა. დეკანის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატების რეგისტრაციაზე გადაწყვეტილებას იღებს თსუ–ის აკადემიური საბჭო. თითოეული კანდიდატი რეგისტრირებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს აკადემიური საბჭოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

6. ფაკულტეტის დეკანს ირჩევს ფაკულტეტის საბჭო. არჩეულად ჩაითვლება პირი, რომელიც მიიღებს საბჭოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტს. თუ ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ დააგროვა ხმების საკმარისი რაოდენობა, გაიმართება მეორე ტური, რომელშიც მონაწილეობს პირველ ტურში საუკეთესო შედეგის მქონე ორი პრეტედენტი. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში მეორე ტურში გამსვლელთა გამოსავლენად სამ დღეში ტარდება ხელახალი კენჭისყრა. არჩევნების მეორე ტური ტარდება პირველი ტურის ჩატარებიდან 7

დღის განმავლობაში. იმ შემთხვევაში, თუ არჩევნების მეორე ტურშიც ვერ მოხერხდა დეკანის არჩევა, ინიშნება ახალი არჩევნების თარიღი.

7. თსუ–ის საარჩევნო კომისია უფლებამოსილია მიიღოს ყველა გადაწყვეტილება დეკანის არჩევნების საორგანიზაციო საკითხებთან დაკავშირებით.

მუხლი 12. ფაკულტეტის დეკანის უფლებამოსილებები

ფაკულტეტის დეკანი:

ა) უზრუნველყოფს ფაკულტეტზე სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობის ეფექტიანად მიმდინარეობას;

ბ) ფაკულტეტის საბჭოს განსახილველად წარუდგენს ფაკულტეტის განვითარების სტრატეგიულ გეგმას, საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით პროგრამებს;

გ) შეიმუშავებს და ფაკულტეტის საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს ფაკულტეტის სტრუქტურასა და დებულებას;

დ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში პასუხისმგებელია წარმომადგენლობითი საბჭოს, აკადემიური საბჭოსა და ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებების შესრულებაზე;

ე) თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ– სამართლებრივ აქტებს;

ვ) თავმჯდომარეობს ფაკულტეტის საბჭოს სხდომებს;

ზ) „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და თსუ–ს წესდების შესაბამისად პასუხისმგებელია ფაკულტეტის ბიუჯეტის მიზნობრივ გამოყენებაზე;

თ) ახორციელებს თსუ–ის წესდებითა და საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

მუხლი 13. ფაკულტეტის დეკანის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა

1. დეკანის მიერ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის, დეკანისათვის დაკისრებული მოვალეობების არასათანადოდ შესრულების ან/და დეკანისათვის შეუფერებელი საქმიანობის განხორციელების საფუძვლით, ფაკულტეტის საბჭო უფლებამოსილია წევრების არანაკლებ 1/3-ის მოთხოვნით განიხილოს დეკანის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხი.

2. გადაწყვეტილება დეკანის უფლებამოსილების შეწყვეტის თაობაზე მიიღება ფარული კენჭისყრით, საბჭოს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით. დეკანი ამ პუნქტით გათვალისწინებულ კენჭისყრებში არ მონაწილეობს. ამ საკითხებზე მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრება არ იწვევს სადავო აქტის მოქმედების შეჩერებას.

მუხლი 14. დეკანის მოადგილე(ები) და თანაშემწე

1. უფლებამოსილებების უკეთ განხორციელების მიზნით ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანს ჰყავს მოადგილე(ები).

2. დეკანის მოადგილის ძირითადი ამოცანაა:

ა) სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვის უზრუნველყოფა;

ბ) სპეციალობების, მოდულების, სასწავლო გეგმებისა და სასწავლო პროცესის ცხრილის განსაზღვრის პროცესის კოორდინირება;
გ) კომპეტენციის ფარგლებში აკადემიური პერსონალის დატვირთვების განსაზღვრის კოორდინირება;
დ) სასწავლო პროცესის ცხრილისა და აკადემიური პერსონალის დატვირთვების მონიტორინგი;
ე) ფაკულტეტის სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის კოორდინაცია;
ვ) ფაკულტეტზე სხვადასხვა ღონისძიებების ორგანიზების კოორდინაცია;
ზ) დეკანის მითითებების შესრულება.

3.დეკანის მოადგილეებს შორის უფლება-მოვალეობას ანაწილებს დეკანი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის გამოცემით.

4.დეკანის მოადგილე შეიძლება იყოს ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის შემადგენლობიდან.

5.დეკანის მოადგილეს დეკანის წარდგინებით ნიშნავს თსუ–ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.

6.დეკანის მიერ თავისი მოვალეობის შესრულების დროებით შეუძლებლობის შემთხვევაში დეკანის უფლებამოსილებას ასრულებს მისი ერთ–ერთი მოადგილე.

7. დეკანს ჰყავს თანაშემწე(ები), რომელიც ექვემდებარება დეკანს და დახმარებას უწევს მას თავისი საქმიანობის სწრაფად და ეფექტურად განხორციელებაში.

8.დეკანის თანაშემწის ძირითადი ამოცანაა:
ა) კორესპონენციების მომზადება;
ბ) დეკანის შეხვედრების დაგეგმვა და ორგანიზება;
გ) ფაკულტეტზე სხვადასხვა ღონისძიების ორგანიზება;
დ) ფაკულტეტის საქმიანობის თაობაზე საზოგადოებისათვის ინფორმაციის მიწოდება;
ე) ფაკულტეტის ვებ–გვერდზე ინფორმაციის განთავსება;
ვ) დეკანის მითითებათა შესრულება.

9. დეკანის თანაშემწეს დეკანის წარდგინებით ნიშნავს თსუ–ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.

თავი V

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

მუხლი 15. სამსახურის სტატუსი

1. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უზრუნველყოფს ფაკულტეტზე საგანმანათლებლო და სამეცნიერო–კვლევითი მუშაობის, აგრეთვე, მისი აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების ხარისხის სისტემატურ შეფასებას.

2. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური თავის საქმიანობას ახორციელებს ფაკულტეტის დებულების შესაბამისად.

მუხლი 16. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფლებამოსილება

1. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ამყარებს მჭიდრო კავშირს და თანამშრომლობს საზღვარგარეთის ქვეყნებისა და მათი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამის

სამსახურებთან ხარისხის კონტროლის გამჭვირვალე კრიტერიუმებისა და მათი უზრუნველყოფის მეთოდოლოგიის ჩამოსაყალიბებლად.

2. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ხელს უწყობს სწავლების ხარისხის მაღალი დონის უზრუნველყოფას სწავლის, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების (მოდულები, საკრედიტო სისტემა და ა.შ.) გამოყენების გზით და აკრედიტაციის პროცესისათვის თვითშეფასების მომზადებას.

3. ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური წარმოადგენს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ერთიანი საუნივერსიტეტო სისტემის ნაწილს.

4. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური იხილავს დადგენილი წესის შესაბამისად შედგენილ საგანმანათლებლო პროგრამებს და მათი აღნიშნული დოკუმენტის ტექნიკური მონიტორინგისა და აკადემიური ექსპერტიზის შემდგომ იღებს გადაწყვეტილებას თსუ–ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შეთანხმებით. ერთობლივი დადებითი დასკვნის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამა განსახილველად გადაეცემა ფაკულტეტის საბჭოს.

5. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური თავისი საქმიანობის შესახებ ანგარიშს წელიწადში მინიმუმ ერთხელ წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს.

6.ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამების სისტემატურ მონიტორინგს. მიღებულ შედეგებს წარადგენს ფაკულტეტის საბჭოზე პროგრამების შემდგომი დახვეწის მიზნით.

მუხლი 17. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სტრუქტურა

1. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სტრუქტურა ითვალისწინებს: ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს, სამსახურის წევრებსა და დამხმარე პერსონალს.
2. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წევრი შეიძლება იყოს ფაკულტეტის საბჭოს წევრი, სრული ან ასოცირებული პროფესორი. სამსახურის წევრი საქმიანობას ახორციელებს ანაზღაურების გარეშე, თსუ–სთან გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში.

მუხლი 18. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის უფლებამოსილებანი

1. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი:

ა) წარმართავს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობას
თსუ–ის წესდების, უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურის დებულების და ფაკულტეტის დებულებების შესაბამისად;

ბ) ანაწილებს მოვალეობებს ფაკულტეტის სამსახურის თანამშრომლებს შორის;

გ) ხელმძღვანელობს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მოკლე და გრძელვადიანი სამუშაო გეგმების შემუშავებასა და მათ შესრულებას;

დ) წარმოადგენს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს თსუ–ის მართვის ორგანოებთან, ფაკულტეტებთან და სხვა სამსახურებთან, ხოლო თავისი კომპეტენციის ფარგლებში წარმოადგენს ფაკულტეტს მესამე პირებთან ურთიერთობისას;

ე) საქართველოს კანონმდებლობით და თსუ–ის წესდებით დადგენილ ფარგლებში, დაკისრებული ფუნქციებისა და ამოცანების შესრულების მიზნით ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში.

2. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს სამსახურის ერთ–ერთი უფროსი სპეციალისტი.

მუხლი 19. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის არჩევის წესი

1. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს თსუ–ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის წარდგინებით ირჩევს ფაკულტეტის საბჭო.
2. ფაკულტეტის საბჭოს შეიძლება წარედგინოს ერთი ან ერთზე მეტი კანდიდატურა.

3. არჩეულად ჩაითვლება პირი, რომელიც მიიღებს საბჭოს სიითი შემადგენლობის ხმათა ნახევარზე მეტს.

4. თუ ვერც ერთმა პრეტენდენტმა ვერ დააგროვა ხმების ეს რაოდენობა, გაიმართება მეორე ტური, რომელშიც მონაწილეობს პირველ ტურში საუკეთესო შედეგის მქონე ორი პრეტენდენტი. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში მეორე ტურში გამსვლელთა გამოსავლენად ტარდება ხელახალი კენჭისყრა გამარჯვებულის გამოსავლენად. თუ არჩევნების მეორე ტურშიც ვერ გამოვლინდა გამარჯვებული, არაუგვიანეს 5 დღის განმავლობაში ინიშნება ახალი არჩევნების თარიღი.

თავი VI
ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო

მუხლი 20. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს სტატუსი

ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო არის დოქტორის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი ორგანო, რომელიც იქმნება ფაკულტეტზე.

მუხლი 21. სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობა

1. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო შედგება დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე ფაკულტეტის ყველა სრული და ასოცირებული პროფესორისაგან. სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით შესაძლებელია სადისერტაციო საბჭოში დოქტორის ხარისხის მქონე პირების მოწვევა.

2. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო შედგება 5 დარგობრივი (ფილოსოფიის, ფილოლოგიის, ისტორიის, ხელოვნებათმცოდნეობის, განათლების მეცნიერებების) სექციისაგან, რომელშიც ერთიანდებიან საბჭოს წევრი შესაბამისი დარგის სპეციალისტები.

3. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს ჰყავს თავმჯდომარე და მდივანი, რომელიც აირჩევა სადისერტაციოს საბჭოს შემადგენლობიდან.

4. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეს შეიძლება ჰყავდეს მოადგილე.

5. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილისა და მდივნის არჩევის წესი და მათი ფუნქციები განისაზღვრება ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს დებულებით, რომელსაც ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით ამტკიცებს აკადემიური საბჭო.

მუხლი 22 . სადისერტაციო საბჭოს ფუნქციები

სადისერტაციო საბჭოს ფუნქციებია:

ა) დოქტორანტების სადისერტაციო თემის დამტკიცებისა და ხელმძღვანელის დანიშვნის თაობაზე გადაწყვეტილებების მიღება;

ბ) შემფასებლების (ოპონენტების) დანიშვნა და დისერტაციის დაცვის თარიღის განსაზღვრა;

გ) სადისერტაციო ნაშრომის ზღვრული მოცულობის, ფორმატისა და გაფორმების ინსტრუქციის დადგენა;

დ) სადისერტაციო კომისიის დამტკიცება;

ე) დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება სადისერტაციო კომისიის დასკვნის საფუძველზე;

ვ) საქართველოში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ მინიჭებული დოქტორის აკადემიური ხარისხის აღიარების საკითხის გადაწყვეტა სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, შესაბამისი დოკუმენტაციის განხილვისა და თსუ–ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დასკვნის საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

ზ) უცხოეთის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ მინიჭებული დოქტორის აკადემიური ხარისხის აღიარების საკითხის გადაწყვეტა სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, შესაბამისი დოკუმენტაციის განხილვისა და შესაბამისი აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის ავთენტურობის ცნობის საფუძველზე საქრთველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 23. სადისერტაციო საბჭოს საქმიანობის წესი

სადისერტაციო საბჭო თავის საქმიანობას წარმართავს თსუ–ის აკადემიური საბჭოს მიერ ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით დამტკიცებული დებულების შესაბამისად და დოქტორის ხარისხს ანიჭებს მეცნიერების იმ დარგებში, რომლებიც განსაზღვრულია მისივე დებულებით.

თავი VII

საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობის განმახორციელებელი ერთეულები

მუხლი 24. საგანმანათლებლო პროგრამა

1. საგანმანათლებლო პროგრამა არის დარგობრივი და ზოგადი (ტრანსფერული) კომპეტენციებით აღწერილ სწავლის შედეგებზე დაფუძნებული სტუდენტზე ორიენტირებული მოქნილი სტრუქტურის მქონე კურიკულუმი.

2. ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამები უზრუნველყოფენ სპეციალისტთა მომზადებას სწავლების ყველა საფეხურის (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა, პროფესიული განათლება, უწყვეტი განათლება) მიხედვით და პასუხისმგებელია მათი მომზადების ხარისხზე.

3. საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები შედგება სასწავლო კურსებისა და მოდულებისაგან.

4. სადოქტორო პროგრამა შედგება სასწავლო და კვლევითი კომპონენტისაგან და სრულდება სადისერტაციო ნაშრომის დაცვით.

5. საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება ადამიანური რესურსით, რომელშიც შედის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალი, მასწავლებელი, მკვლევარი ან მოწვეული პერსონალი. შესაბამისი კვალიფიკაციის მქონედ ითვლება პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია, რაც შეიძლება დადგინდეს ამ პირის აკადემიური ხარისხით, მიღებული სპეციალური განათლებით, პუბლიკაციებით ან პროფესიული გამოცდილებით.

6.საგანმანათლებლო პროგრამა შეიძლება განხორციელდეს პარტნიორ დაწესებულებებთან: საქართველოს ან უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ან სამეცნიერო–კვლევით ცენტრებთან თანამშრომლობით.

7. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს თსუ–ში დადგენილი წესის შესაბამისად არჩეული პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები ან კოორდინატორი .

მუხლი 25. საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი

1. პროგრამის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს ფ აკულტეტის შესაბამისი დარგის სრული პროფესორი, ასოცირებული პროფესორი ან ემერიტუსი. რამდენიმე ხელმძღვანელის შემთხვევაში პროგრამის ხელმძღვანელთა საერთო გადაწყვეტილების საფუძველზე ერთ–ერთი მათგანი შეიძლება იყოს კოორდინატორი. გადაწყვეტილება ფორმდება ოქმის სახით.

2. პროგრამას შეიძლება უხელმძღვანელოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოწვეულმა პირმა. გადაწყვეტილებას პროგრამის ხელმძღვანელის მოწვევის შესახებ იღებს აკადემიური საბჭო ფაკულტეტის საბჭოს წარდგინების საფუძველზე, რომელშიც უნდა დასაბუთდეს პროგრამის ხელმძღვანელის მოწვევის აუცილებლობა. ასეთ შემთხვევაში მოწვეულ პირთან ერთად პროგრამას უნდა უხელმძღვანელოს თსუ–ის სრულმა ან ასოცირებულმა პროფესორმაც.

3. პროგრამის ხელმძღვანელი/კოორდინატორი წარმოადგენს ფაკულტეტისა და თსუ –ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ძირითად საკონტაქტო პირს, რომელსაც ეცნობება პროგრამის შიდა და გარე შეფასების, ტექნიკური მონიტორინგისა და აკადემიური ექსპერტიზის შედეგები და ევალება მათზე რეაგირება პროგრამის სრულყოფის მიზნით.

4. პროგრამის ხელმძღვანელი/კოორდინატორი პასუხისმგებელია საუნივერსიტეტო და სააკრედიტაციო მოთხოვნებთან პროგრამის შესაბამისობაზე. საბაკალავრო ან სამაგისტრო პროგრამის კოორდინატორი პასუხისმგებელია პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი სილაბუსების ხარისხზე, ხოლო სადოქტორო პროგრამის კოორდინატორი პასუხისმგებელია სადოქტორო პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტის ხარისხზე.

5. პროგრამის კოორდინატორი (ხელმძღვანელი) პასუხისმგებელია პროგრამის კურიკულუმის თაობაზე სტუდენტებისათვის სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდებაზე, პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხების თაობაზე დეკანისათვის გონივრულ ვადაში წინადადებების წარდგენაზე.

6. პროგრამის ხელმძღვანელი/კოორდინატორი ანგარიშვალდებულია ფაკულტეტის საბჭოს წინაშე.

7. ერთი და იგივე პირი შეიძლება იყოს სწავლების ერთი საფეხურის მხოლოდ ერთი საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულის ხელმძღვანელი. გადაწყვეტილება გამონაკლისის შესახებ შეიძლება მიიღოს აკადემიურმა საბჭომ ფაკულტეტის საბჭოს წარდგინების საფუძველზე.

მუხლი 26. საგანამანათლებლო პროგრამების შემუშავება, განხილვა და და დამტკიცება

1. ფაკულტეტის საგანამანათლებლო პროგრამის შექმნაში მონაწილეობენ ფაკულტეტის შესაბამისი მიმართულების პროფესორები.

2. საგანმანათლებლო პროგრამების განხილვის პროცესი მიმდინარეობს პროგრამის პროფილის სასწავლო–სამეცნიერო ინსტიტუტში/დეპარტამენტში. გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უმრავლესობით. პროგრამის ხელმძღვანელი/კოორდინატორი საგანმანათლებლო პროგრამას წარადგენს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში, რომლის დადებითი დასკნის შემთხვევაში იგი წარედგინება ფაკულტეტის დეკანს.

3. ფაკულტეტის დეკანი პროგრამებს განსახილველად წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს.

4. ფაკულტეტის საბჭო განიხილავს პროგრამას და თანხმობის შემთხვევაში უგზავნის მას თსუ–ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს აკადემიური საბჭოს წინაშე წარსადგენად.

5. საგანამანათლებლო პროგრამებს ამტკიცებს თსუ–ის აკადემიური საბჭო.

6. დამტკიცებულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების შეტანა ხდება პროგრამის დამტკიცებისათვის დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 27. სასწავლო -სამეცნიერო ინსტიტუტი

1. სასწავლო - სამეცნიერო ინსტიტუტი (სსი) წარმოადგენს სასწავლო პროცესისა და სამეცნიერო კვლევების კოორდინირებულად წარმართვის მიზნით შექმნილ ფაკულტეტის ძირითად საგანმანათლებლო-სამეცნიერო სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც ახორციელებს შესაბამისი მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამებს და კვლევით პროექტებს.

2. ინსტიტუტი შედგება ერთი მიმართულებით//ქვემიმართულებით მომუშავე ფაკულტეტის პროფესორებისაგან. ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი სასწავლო - სამეცნიერო ინსტიტუტის წევრი.

3. სასწავლო–სამეცნიერო ინსტიტუტის სტრუქტურა და საქმიანობის წესი განისაზღვრება ამ დებულებით. კონკრეტული ინსტიტუტის მიზნები, კვლევებისა და სამეცნიერო საქმიანობის მიმართულებები განისაზღვრება ინსტიტუტის მიერ ფაკულტეტის საბჭოსთან შეთანხმებით.

მუხლი 28. სასწავლო – სამეცნიერო ინსტიტუტის საქმიანობა

1. სასწავლო–სამეცნიერო ინსტიტუტი საქმიანობას წარმართავს ფაკულტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმის შესაბამისად.

2. ინსტიტუტი განსაზღვრავს შესაბამისი დარგისა და დისციპლინების სწავლების მეთოდებსა და ფორმებს, უზრუნველყოფს დარგში არსებული სამეცნიერო კვლევებისა და მიღწევების ინტეგრირებას სასწავლო პროცესში.

3. ინსტიტუტი შეიმუშავებს, განიხილავს და ფაკულტეტის საბჭოს თსუ-ში დადგენილი წესით დასამტკიცებლად წარუდგენს საგანმანათლებლო პროგრამებს, კვლევით პროექტებსა და სამუშაო გეგმას.

მუხლი 29. სასწავლო – სამეცნიერო ინსტიტუტის შემადგენლობა და მართვა

1. ფაკულტეტის სასწავლო–სამეცნიერო ინსტიტუტი შედგება ინსტიტუტის წევრების (აკადემიური პერსონალი), ასოცირებული წევრებისა (მოწვეული ლექტორი/მეცნიერ-თანამშრომლი, რომელიც ჩართულია ინსტიტუტის მიერ განხორციელებულ საგანმანათლებლო პროგრამებსა და სამეცნიერო–კვლევით პროექტებში) და დამხმარე პერსონალისაგან (ლაბორანტი, ასისტენტი, ბიბლიოთეკარი და სხვ.)

2. ინსტიტუტის ასოცირებული წევრები (სათათბირო ხმის უფლებით) შეიძლება იყვნენ:

   ა) მოწვეული ლექტორი/მასწავლებლი, რომელიც ჩართულია ინსტიტუტის მიერ განხორციელებულ საგანმანათლებლო პროგრამებსა და სამეცნიერო–კვლევით პროექტებში;

ბ) მეცნიერ-თანამშრომელი, ინსტიტუტის გეგმით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტის (პროექტების) შესრულებაში მონაწილე შესაბამისი დარგის მეცნიერი, რომლიც არ არის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი.

3. ინსტიტუტის დამხმარე პერსონალს განეკუთვნება: ლაბორანტი, ასისტენტი, ბიბლიოთეკარი და სხვ.

4. ინსტიტუტის წარმომადგენლობითი ორგანოა ინსტიტუტის პროფესორთა საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედიან ინსტიტუტში გაერთიანებული სრული, ასოცირებული და ასისტენტ პროფესორები. პროფესორთა საბჭოს სხდომას სათათბირო ხმის უფლებით შეიძლება ესწრებოდნენ ინსტიტუტის ასოცირებული წევრებიც.

5. ინსტიტუტის პროფესორთა საბჭო

ა) განიხილავს და განსაზღვრავს ინსტიტუტის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს;

ბ) განიხილავს და ფაკულტეტის საბჭოს თსუ-ში დადგენილი წესით დასამტკიცებლად წარუდგენს საგანმანათლებლო და კვლევით პროგრამებს;

გ) იღებს გადაწყვეტილებას ინსტიტუტის ასოცირებულ წევრებად პირთა გაწევრიანებასთან დაკავშირებით;

დ) ისმენს და განიხილავს ინსტიტუტის წევრების აკადემიური საქმიანობის ანგარიშს;

ე) საჭიროების შემთხვევაში იღებს გადაწყვეტილებას სამეცნიერო ჟურნალის დაარსების ან/და გაუქმების შესახებ, შეარჩევს ჟურნალის სარედაქციო კოლეგიას და პერიოდულად ისმენს მისი მუშაობის ანგარიშს;

ვ) განიხილავს და ამტკიცებს სტუდენტთა საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების თემატიკას;

ზ) ამტკიცებს სტუდენტთა საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელებს;

თ) ადმინისტრაციის მიერ დადგენილ ვადებში ატარებს საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების წინასწარ დაცვას და გამოყოფს რეცენზენტებს;

ი) ამზადებს და ფაკულტეტის დეკანს ან/და ფაკულტეტის საბჭოს წარუდგენს წინადადებებს ფაკულტეტზე სასწავლო–სამეცნიერი პროცესის მიმდინარეობასთან დაკავშირებით;

კ) უფლებამოსილია ყველა იმ საკითხზე, რომლებიც ინსტიტუტის საგანმანათლებლო-სამეცნიერო აქტივობასა და საქმიანობას შეეხება.

6. ინსტიტუტის პროფესორთა საბჭოს სხდომას წარმართავს ინსტიტუტის ხელმძღვანელი.

7. ინსტიტუტის პროფესორთა საბჭო უფლებამოსილია, თუ მას ესწრება ინსტიტუტის წევრი აკადემიური პერსონალის უმრავლესობა. გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ხმა მისცა სხდომაზე დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტმა. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია ინსტიტუტის ხელმძღვანელის ხმა. პროფესორთა საბჭო საკითხს წყვეტს ღია კენჭისყრით, თუ საგანგებოდ არ დადგინდა ფარული კენჭისყრის აუცილებლობა.

8. ინსტიტუტის პროფესორთა საბჭოს მიმდინარეობის თაობაზე დგება შესაბამისი ოქმი, რომელსაც ხელს აწერს ინსტიტუტის ხელმძღვანელი და სწავლული მდივანი.

9. ინსტიტუტი თავად განსაზღვრავს სწავლული მდივნის კანდიდატურას და ირჩევს მას ღია კენჭისყრით, დამსწრეთა ხმების უბრალო უმრავლესობით. მდივნად შეიძლება არჩეულ იქნეს ინსტიტუტის წევრი აკადემიური ან დამხმარე პერსონალი.

მუხლი 30. სასწავლო – სამეცნიერო ინსტიტუტის ხელმძღვანელი

1. ინსტიტუტის საქმიანობას კოორდინირებას უწევს ინსტიტუტის ხელმძღვანელი, შესაბამისი მიმართულების//ქვემიმართულების სრული პროფესორი.

2. იმ შემთხვევაში, თუ ინსტიტუტის წევრია 2 ან 2–ზე მეტი სრული პროფესორი, უნდა ჩატარდეს ინსტიტუტის ხელმძღვანელის არჩევნები. ხელმძღვანელის არჩევა ხდება პროფესორთა საბჭოს მიერ ღია კენჭისყრით ხმათა უმრავლესობით 2 წლით ვადით.

3. თუ ინსტიტიტს არ ჰყავს სრული პროფესორი, პროფესორთა საბჭო ინსტიტუტის ხელმძღვანლად ირჩევს ასოცირებული პროფესორს, რომელიც აირჩევა ღია კენჭისყრით ხმათა უმრავლესობით 2 წლით ვადით.

4. ინსტიტუტის ხელმძღვანელად შეიძლება არჩეულ იქნას მხოლოდ იმავე ინსტიტუტის წევრი სრული ან ასოცირებული პროფესორი.

5. ინსტიტუტის პროფესორთა საბჭოს გადაწყვეტილებას ხელმძღვანელის არჩევის შესახებ ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭოს.

6. ინსტიტუტის ხელმძღვანელი კოორდინირებას უწევს ინსტიტუტის საორგანიზაციო და სამეცნიერო საქმიანობას, ინსტიტუტის მიერ განხორციელებულ საგანამანათლებლო და კვლევით პროგრამებს, ხელს უწყობს ინსტიტუტის სამეცნიერო კონტაქტების განვითარებას საქართველოსა და უცხოეთის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და სხვა სახის ორგანიზაციებთან, თავმჯდომარეობს ინსტიტუტის პროფესორთა საბჭოს სხდომას და პასუხისმგებელია ინსტიტუტის წლიური ანგარიშის მომზადებასა და ფაკულტეტის შესაბამისი სამსახურისთვის წარდგენაზე.

7.ინსტიტუტის ხელმძღვანელს შეიძლება ჰყავდეს მოადგილე/ები, შესაბამისი მიმართულების//ქვემიმართულების სრული ან ასოცირებული პროფესორი, რომელიც აირჩევა პროფესორთა საბჭოს სხდომაზე ღია კენჭისყრით, ხმათა უმრავლესობით 2 წლის ვადით.

8. ინსტიტუტის ხელმძღვანელი ანგარიშვალდებულია ინსტიტუტის პროფესორთა საბჭოსა და ფაკულტეტის საბჭოს წინაშე.

მუხლი 31. თსუ–ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სასწავლო –სამეცნიერო ინსტიტუტები

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სასწავლო–სამეცნიერო ინსტიტუტებია:

ა) ქართული ენის ინსტიტუტი;
ბ) ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი;
გ) თეორიული და გამოყენებითი ენათმეცნიერების ინსტიტუტი;
დ) თეორიული და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის ინსტიტუტი;
ე) კავკასიოლოგიის ინსტიტუტი;
ვ) საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი;
ზ) არქეოლოგიის ინსტიტუტი;
თ) ეთნოლოგიის ინსტიტუტი;
ი) მსოფლიო ისტორიის ინსტიტუტი;
კ) კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტი;
ლ) აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი;
მ) დასავლეთევროპული ენებისა და ლიტერატურის ინსტიტუტი;
ნ) რუსისტიკის ინსტიტუტი;
ო) ფილოსოფიის ინსტიტუტი;
პ) ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ინსტიტუტი;
ჟ) ვიზუალური ხელოვნების ინსტიტუტი;
რ) კულტურის კვლევების ინსტიტუტი;
ს) პედაგოგიკის ინსტიტუტი;

ტ) ამერიკისმცოდნეობის ინსტიტუტი;
უ) თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების ინსტიტუტი.

მუხლი 32. სასწავლო–სამეცნიერო ინსტიტუტის (სსი) სტრუქტურა

1. სასწავლო–სამეცნიერო ინსტიტუტის შემადგენლობაში შეიძლება შევიდეს შემდეგი სტრუქტურული დანაყოფები: სასწავლო–სამეცნიერო დეპარტამენტი, სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, სასწავლო ლაბორატორია, სახელოსნო, სტუდია, ბიბლიოთეკა.

2. ინსტიტუტის შემადგენლობაში არსებულ დეპარტამენტს, სამეცნიერო–კვლევით ცენტრს, ლაბორატორიას, სახელოსნოს, სტუდიას და სხვ. ხელმძღვანელობს ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი. ინსტიტუტის შემადგენლობაში არსებული დეპარტამენტის ხელმძღვანელად შეიძლება არჩეულ იქნას მხოლოდ იმავე დეპარტამენტის წევრი სრული და /ან ასოცირებული პროფესორი. განსაკუთრებულ შემთხვევებში შესაძლებელია სასწავლო ლაბორატორიის, სახელოსნოს ან სტუდიის ხელმძღვანელობა, ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით, დაეკისროს მოწვეულ სპეციალისტს.

3. დეპარტამენტის საქმიანობას კოორდინირებას უწევს დეპარტამენტის ხელმძღვანელი, შესაბამისი მიმართულების//ქვემიმართულების სრული პროფესორი.

4. იმ შემთხვევაში თუ დეპარტამენტის წევრია ერთზე მეტი სრული პროფესორი ხელმძღვანელის არჩევა ხდება პროფესორთა საბჭოს მიერ ღია კენჭისყრით ხმათა უმრავლესობით 2 წლით ვადით.

5. თუ დეპარტამენტს არ ჰყავს სრული პროფესორი, პროფესორთა საბჭო დეპარტამენტის ხელმძ ღვანლად ირჩევს ასოცირებული პროფესორს, რომელიც აირჩევა ღია კენჭისყრით ხმათა უმრავლესობით 2 წლით ვადით.

6. თსუ–ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ინსტიტუტების შემადგენლობაში შედის შემდეგი დეპარტამენტები, სამეცნიერო–კვლევითი ცენტრები, ლაბორატორიები, სახელოსნოები, სასწავლო სტუდია და ბიბლიოთეკა:

ა) ქართული ენის ინსტიტუტში: ქართველური ენათმეცნიერების დეპარტამენტი; ძველი ქართული ენისა და ტექსტოლოგიური კვლევის დეპარტამენტი; ქართველური ონომასტიკის სამეცნიერო–კვლევითი ცენტრი; ქართულ ხელნაწერთა შემსწავლელი სამეცნიერო–კვლევითი ცენტრი „ორიონი“.

ბ) ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტში: ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის დეპარტამენტი; ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის დეპარტამენტი; უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიის დეპარტამენტი; ფოლკლორისტიკის დეპარტამენტი.

გ) თეორიული და გამოყენებითი ენათმეცნიერების ინსტიტუტში: ექსპერიმენტული ფონეტიკის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია; სამეცნიერო ცენტრი „ენა, ლოგიკა, მეტყველება“.

დ) კავკასიოლოგიის ინსტიტუტში: კავკასიური ენების დეპარტამენტი; კავკასიის ხალხთა ისტორიის დეპარტამენტი.

ე) არქეოლოგიისა ინსტიტუტში: არქეოლოგიის სასწავლო ლაბორატორია.

ვ) მსოფლიო ისტორიის ინსტიტუტში: ძველი მსოფლიოს ისტორიის დეპარტამენტი; შუა საუკუნეების ისტორიის დეპარტამენტი; ახალი და უახლესი ისტორიის დეპარტამენტი.

ზ) კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტში: კლასიკური ფილოლოგიის დეპარტამენტი; ბიზანტინისტიკის დეპარტამენტი; ნეოგრეცისტიკის დეპარტამენტი; ხმელთაშუაზღვის კულტურების შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია; სიმონ ყაუხჩიშვილის სახელობის ბიბლიოთეკა.

თ) აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში: არაბისტიკის დეპარტამენტი; ირანისტიკის დეპარტამენტი; თურქოლოგიის დეპარტამენტი; ებრაისტიკა–არამეისტიკის დეპარტამენტი; არმენოლოგიის დეპარტამენტი; ასირიოლოგიის დეპარტამენტი; აღმოსავლეთის ისტორიის დეპარტამენტი; ლევონ მელიქსეთ-ბეგის სახელობის ბიბლიოთეკა.

ი) ვიზუალური ხელოვნების ინსტიტუტში: ტელე–კინო ხელოვნების სასწავლო სტუდია „ვარაზი"; დიზაინის სტუდია; სამხატვრო სახელოსნო.

კ) დასავლეთევროპული ენებისა და ლიტერატურის ინსტიტუტში: ინგლისური ფილოლოგიის დეპარტამენტი; გერმანული ფილოლოგიის დეპარტამენტი; რომანული ფილოლოგიის დეპარტამენტი.

ლ) რუსისტიკის ინსტიტუტში: რუსული ენის დეპარტამენტი; რუსული ლიტერატურის დეპარტამენტი; რუსეთის ისტორიის დეპარტამენტი.

მ) ფილოსოფიის ინსტიტუტში: შალვა ნუცუბიძის სახელობის ბიბლიოთეკა.

ნ) კულტურის კვლევების ინსტიტუტში: ინტერკულტურული დიალოგის იუნესკოს კათედრა.

მუხლი 33. საფაკულტეტო მნიშვნელობის საგანმანათლებლო, საგანმანათლებლო–სამეცნიერო და სამეცნიერო–კვლევითი ცენტრი

1. ფაკულტეტის შემადგენლობაში შეიძლება შედიოდეს საფაკულტეტო მნიშვნელობის საგანმანათლებლო, საგანმანათლებლო–სამეცნიერო და სამეცნიერო–კვლევითი ცენტრი (შემდგომში ცენტრი).

2. ცენტრის ფუნქციაა კონკრეტული ქვეყნის/რეგიონის ან კონკრეტული სამეცნიერო პრობლემატიკის შესწავლის მიზნით სხვადასხვა სასწავლო და სამეცნიერო–კვლევითი პროექტების/პროგრამების განხორციელება.

3. ცენტრის საქმიანობის წესი განისაზღრება ფაკულტეტის დებულებით.

4. ცენტრის მუშაობას კოორდინირებას უწევს ცენტრის ხელმძღვანელი, რომელსაც დეკანის წარდგინებით ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო.

5. ცენტრის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი.

6.ცენტრის მიერ განხორციელებულ პროექტებში/პროგრამებში შეიძლება მონაწილეობდეს: ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი, დოქტორანტი, მაგისტრანტი და სტუდენტი, ასევე, კონკრეტული პროექტის განსახორციელებლად მოწვეული სპეციალისტი.

7. ცენტრის ხელმძღვანელი კოორდინირებას უწევს ცენტრის საორგანიზაციო და სამეცნიერო საქმიანობას, ცენტრის მიერ განხორციელებულ საგანამანათლებლო და სამეცნიერო–კვლევით პროექტებს/პროგრამებს, ხელს უწყობს სამეცნიერო კონტაქტების განვითარებას საქართველოსა და შესაბამისი ქვეყნის/რეგიონის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და სხვა სახის ორგანიზაციებთან, პასუხისმგებელია ცენტრის წლიური ანგარიშის მომზადებასა და ფაკულტეტის შესაბამისი სამსახურისთვის წარდგენაზე.

8. ცენტრის ხელმძღვანელი შეიმუშავებს და ფაკულტეტის საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს ყოველწლიურ სამუშაო გეგმას.

9. ცენტრის ხელმძღვანელი ანგარიშვალდებულია ფაკულტეტის საბჭოს წინაშე.

10. თსუ–ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის შემადგენლობაში შედის საფაკულტეტო მნიშვნელობის შემდეგი საგანმანათლებლო–სამეცნიერო ცენტრები:

ა) ქართველოლოგიური სკოლის ცენტრი;
ბ) იაპონური ენისა და კულტურის ცენტრი;
გ) სკანდინავისტიკის ცენტრი;

დ) ისრაელის ცენტრი;
ე) პოლონისტიკის ცენტრი;
ვ) უკრაინისტიკის ცენტრი.

თავი VIII
დამხმარე სტრუქტურული ერთეულები

მუხლი 34. დამხმარე სტრუქტურული ერთეულები

1. ფაკულტეტის დამხმარე სტრუქტურული ერთეულები იქმნება ფაკულტეტის გამართული საქმიანობის უზრუნველყოფის მიზნით.

2. ფაკულტეტის დამხმარე სტრუქტურული ერთეულებია: ბიბლიოთეკა, კანცელარია, სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახური, სტუდენტთა მომსახურების ცენტრი, რესურსების მართვის სამსახური.

3. დამხმარე სტრუქტურული ერთეული შედგება ხელმძღვანელის, ხელმძღვანელის მოადგილის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და სპეციალისტებისაგან.

4. დამხმარე სტრუქტურული ერთეულების თანამშრომელთა საშტატო განრიგსა და ერთეულების ხელმძღვანელებს ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით ამტკიცებს თსუ–ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.

5. ფაკულტეტის დამხმარე სტრუქტურული ერთეულების უფლება–მოვალეობები განისაზღვრება ფაკულტეტის დებულებით.

მუხლი 35. ბიბლიოთეკა

1. ფაკულტეტის შემადგენლობაში შესაძლებელია შედიოდეს ერთი ან რამდენიმე ბიბლიოთეკა.
2. ბიბლიოთეკის გამართულ საქმიანობას უზრუნველყოფს და უძღვება ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი. იგი შეიმუშავებს და ფაკულტეტის საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს ბიბლიოთეკის განვითარების პროგრამას.
3. ფაკულტეტის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი ანგარიშვალდებულია ფაკულტეტის საბჭოს წინაშე.
4. ბიბლიოთეკის თანამშრომელთა უფლება-მოვალეობები განისაზღვრება ფაკულტეტის დებულებითა და ფაკულტეტის საბჭოს მიერ დამტკიცებული ბიბლიოთეკის მუშაობის წესით, ასევე, თსუ–ში მოქმედი რეგულაციებით.

მუხლი 36. ფაკულტეტის ბიბლიოთეკის ძირითადი ამოცანები

1.ფაკულტეტის ბიბლიოთეკის ძირითადი ამოცანებია:

ა) ფაკულტეტზე სამეცნიერო–ბიბლიოგრაფიული საქმიანობის წარმართვა;

ბ) ფაკულტეტისათვის საჭირო წიგნადი და პერიოდული გამოცემების ჩამონათვალის მომზადება და დეკანისათვის მიწოდება მათი შემდგომი შეძენის მიზნით;

გ) ფაკულტეტის ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი და პერიოდული გამოცემების აღრიცხვა, მოვლა, შენახვა და დაუბრკოლებელი გამოყენების უზრუნველყოფა;

დ) საუნივერსიტეტო ელექტრონული ბიბლიოთეკის შექმნის პროცესში ფაკულტეტის მონაწილეობის უზრუნველყოფა;

2. ფაკულტეტის ბიბლიოთეკას ჰყავს ხელმძღვანელი, რომელსაც ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით ნიშნავს თსუ–ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.

მუხლი 37. კანცელარია

1. ფაკულტეტის კანცელარია უზრუნველყოფს ფაკულტეტზე დოკუმენტბრუნვის ორგანიზებასა და გამართულ ფუნქციონირებას, ფაკულტეტზე შემოსული და გასული კორესპონდენციის, განცხადებებისა და საჩივრების მიღებას, რეგისტრირებას, სააღრიცხვო-საცნობარო სამუშაოთა შესრულებასა და დანიშნულებისამებრ გადაცემა-დაგზავნას, ახდენს დოკუმენტაციის ვიზირებასა და გაცემას უფლებამოსილ პირებზე, უზრუნველყოფს საარქივო საქმისწარმოების სისტემის ფუნქციონირებას, დოკუმენტაციის დაარქივებას დადგენილი წესის შესაბამისად და სხვ.

2. კანცელარიის ძირითადი ამოცანებია:

ა) სტუდენტთა პირადი საქმეების წარმოება;
ბ) სტუდენტთა პირადი მონაცემების შეტანა პირად ბარათსა და მონაცემთა ბაზაში;
გ) შუალედური და საგამოცდო უწყისების მომზადება, პედაგოგებზე გადაცემა, შევსებული უწყისების შეგროვება და ინფორმაციის შეტანა სტუდენტთა მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში;
დ) კურსდამთავრებულთა დიპლომის დანართებისა მომზადება;
ე) კურსდამთავრებულთა დოკუმენტაციის დაარქივება დადგენილი წესის შესაბამისად;
ვ) დეკანის დავალებით სტატისტიკური მონაცემების სისტემატური წარმოება.

მუხლი 38. სასწავლო პროცესის მართვის სამსახური

1. სასწავლო პროცესის მართვის სამსახური უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას, სტუდენტთა საინფორმაციო მონაცემთა ბაზის სრულყოფას, სტუდენტთა პირადი საქმეების წარმოებაზე კონტროლს, სტუდენტთა ინფორმირებას სასწავლო პროცესთან დაკავშირებით, სტუდენტთა დასაქმებაზე ორიენტირებულ პროექტებზე მუშაობას და სხვ.

2. სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის ძირითადი ამოცანებია:

ა) ფაკულტეტზე სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების ინოვაციური მეთოდების დანერგვა;
ბ) საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო სასწავლო პროგრამების რეალიზაციის ხელშეწყობა სასწავლო-მეთოდური მიდგომის შესაბამისად: სასწავლო პროგრამების მონიტორინგი, სასწავლო პროგრამების შესაბამისად სასწავლო ცხრილების შედგენა, კურიკულუმის განხორციელების მონიტორინგი;
გ) ფაკულტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის ინფორმირება ელ–ფოსტით თსუ–ში სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ახალი წესების, რეგულაციების, ინსტრუქციების მიღების/მათში ცვლილებების შეტანის შესახებ;
დ) აკადემიური პერსონალის დატვირთვების კოორდინირება;
ე) ფაკულტეტის სტუდენტთა პირველადი რეგისტრირება თსუ–ის მონაცემთა ბაზასა და ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მონაცემთა ბაზაში.
ვ) სტუდენტთა აკადემიური რეგისტრაციის პროცესის ორგანიზება;
ზ) სტუდენტთა საინფორმაციო მონაცემთა ბაზის სრულყოფისა და დაცვისათვის შესაბამის საუნივერსიტეტო სამსახურებთან თანამშრომლობა;
თ) სტუდენტთა პირადი საქმეების წარმოებაზე მონიტორინგი;
ი)კურსდამთავრებულთა დამთავრების თაობაზე წარდგინების პროექტის მომზადება და დიპლომის დანართებისა მომზადებაზე კონტროლი;

კ)სასწავლო პროცესთან დაკავშირებით ფაკულტეტზე შემოსული კორესპონდენციის განხილვა და პასუხის მომზადება;

ლ) სტუდენტთა ინფორმირება სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებზე, შესაბამისი ინფორმაციის ვებ-გვერდზე განთავსება;

მ) სტუდენტებთან და პროფესორებთან საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება.

3. სასწავლო პროცესის მართვის სამსახური თავისი უფლებამოსილებების ფარგლებში კურირებს სტუდენტთა მომსახურების ცენტრს.

4. ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს ხელმძღვანელობს სამსახურის უფროსი, რომელსაც ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით ნიშნავს თსუ–ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.

მუხლი 39. სტუდენტთა მომსახურების ცენტრი

1. ფაკულტეტის სტუდენტების სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ინფორმაციის სწრაფად მიწოდების და სხვა ორგანიზაციული საკითხების ეფექტურად მოგვარების მიზნით ფაკულტეტზე მუშაობს სტუდენტთა მომსახურების ცენტრი.

2. სტუდენტთა მომსახურების ცენტრის ძირითადი ამოცანებია:

ა) სტუდენტთათვის საინფორმაციო მომსახურების გაწევა;

ბ) სასწავლო პროცესში არსებული პრობლემების შესახებ სტუდენტებისგან მიღებული ინფორმაციის მიწოდება ფაკულტეტის ადმინისტრაციისთვის მათი მოგვარების მიზნით (საჭიროების შემთხვევაში უკუკავშირი სტუდენტებთან);

გ) სტუდენტებისთვის სასწავლო პროცესში შექმნილი პრობლემების მოგვარებაზე ზრუნვა ფაკულტეტის და ცენტრალური ადმინისტრაციის შესაბამის სამსახურებთან თანამშრომლობით.

მუხლი 40. სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახური

1. სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახური ფაკულტეტის დამხმარე სტრუქტურული ერთეულია, რომელიც უზრუნველყოფს სამეცნიერო კვლევების ორგანიზებას, ადგილობრივ და უცხოურ სამეცნიერო, კვლევით და სასწავლო დაწესებულებებთან ურთიერთობების დამყარებას, ინტერდისციპლინური კვლევების წახალისებას, მსოფლიოში აღიარებულ მეცნიერთა მოწვევასა და სამეცნიერო ინტელექტის მოზიდვას ფაკულტეტზე; კოორდინირებას უწევს ფაკულტეტზე სადოქტორო პროგრამების მუშაობას და სხვ.

2. სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის ძირითადი ამოცანებია:

ა) ინოვაციურ ცოდნაზე, ხარისხსა და შედეგზე ორიენტირებული სამეცნიერო კვლევების განხორციელების, სამეცნიერო–კვლევითი და სასწავლო პროცესის ინტეგრაციის ხელშეწყობა;

ბ) სამეცნიერო–კვლევითი საქმიანობის შედეგების ანალიზი, წლიური ანგარიშის მომზადება და თსუ–ის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტში წარდგენა;

გ) ახალგაზრდა სპეციალისტების პროფესიული ზრდისა და მეცნიერ–მკვლევართა მხარდაჭერის პროგრამების განხორციელება;

დ) უცხოელ მეცნიერთა მოწვევისა და ფაკულტეტის აკადემიური პერსონალისა და სტუდენტებისათვის სამეცნიერო სტაჟირების ორგანიზების ხელშეწყობა.

ე) პროფესორ–მასწავლებელთა და სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციების ორგანიზება;

ვ) ყოველი სემესტრის ბოლოს შემდგომი სემესტრისათვის დაგეგმილი ღონისძიებების (კონფერენციები, სემინარები და ა.შ.) გეგმის ფაკულტეტის დეკანისთვის წარდგენა;
ზ) დოქტორანტთა კოლოკვიუმების და სემინარის ორგანიზება;
თ) ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის კოორდინირება და ინფორმირება საგრანტო კონკურსებში მონაწილეობის მისაღებად;
ი) ფაკულტეტზე სამეცნიერო მუშაობის კოორდინირება;
კ) ფაკულტეტის საერთაშორისო კავშირების გაფართოვება, ერთობლივი სასწავლო და სამეცნიერო პროექტების განხორციელება ფაკულტეტის სასწავლო და სამეცნიერო მიმართულებების ფარგლებში.

3. ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურს ხელმძღვანელობს სამსახურის უფროსი, რომელსაც ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით ნიშნავს თსუ–ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.

მუხლი 41. რესურსების მართვის სამსახური

1. რესურსების მართვის სამსახურის დანიშნულებაა რესურსების ეფექტიანად მართვის საფუძველზე ფაკულტეტის სტუდენტებს და პერსონალს შეუქმნას სწავლის, შრომისა და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ნორმალური პირობები; უზრუნველყოს ფაკულტეტის ბალანსზე არსებული ქონების მფლობელობისა და სარგებლობის ოპტიმალური რეჟიმის დადგენა; ფაკულტეტის სტრუქტურული ერთეულებისა და თანამშრომელთა უზრუნველყოფა შესაბამისი მატერალურ-ტექნიკური ბაზითა და ინვენტარით, განახორციელოს მატერიალურ ფასეულობათა მიღება და მოვლა-პატრონობა მოქმედი კანონმდებლობის დაცვით და სხვ.

2. რესურსების მართვის სამსახურის ძირითადი ამოცანებია:

ა) ფაკულტეტის განკარგულებაში არსებული მატერიალური რესურსების ეფექტიანი მართვა;
ბ) სასწავლო და სამეცნიერო–კვლევითი პროცესების საჭირო მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფა;
გ) მატერიალურ–ტექნიკური და სასწავლო ბაზების სისტემატური გაუმჯობესება;
დ) ფაკულტეტის ბიუჯეტის პროექტის შექმნაში მონაწილეობა;
ე) ფაკულტეტის მიერ მოზიდული ფინანსური რესურსებისა და მის სარგებლობაში არსებულ ქონებასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა თსუ–ის ადმინისტრაციასთან შეთანხმებით;
ვ) ფაკულტეტის განკარგულებაში არსებული მატერიალური რესურსების შენახვის, აღრიცხვისა და გამოყენების პროცესის სრულყოფის მიზნით თსუ–ის შესაბამის სამსახურებთან თანამშრომლობა.
ზ) ფაკულტეტის სასწავლო–მეთოდური, სამეცნიერო–კვლევითი და მატერიალურ–ტექნიკური ბაზის სრულყოფა ფაკულტეტის პრიორიტეტული ამოცანების გადასაჭრელად და არსებული და სამომავლო გეგმებისათვის მზადყოფნის მიზნით;
თ) ფაკულტეტის ოპერატიულ მართვაში არსებული მატერიალურ–ტექნიკური ბაზის დაცვა;
ი) სასწავლო პროცესის თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფა.

3. ფაკულტეტის რესურსების მართვის სამსახურს ხელმძღვანელობს სამსახურის უფროსი, რომელსაც ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით ნიშნავს თსუ–ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.

თავი IX
პერსონალი

მუხლი 42. პერსონალის შემადგენლობა

1. თსუ–ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პერსონალი შედგება აკადემიური, ადმინისტრაციული, მასწავლებელთა და დამხმარე პერსონალისაგან.
2. აკადემიურ პერსონალს მიეკუთვნება: სრული პროფესორი, ასოცირებული პროფესორი და ასისტენტ–პროფესორი.

3. ფაკულტეტის ადმინისტრაციულ პერსონალს მიეკუთვნებიან: დეკანი, დეკანის მოადგილე(ებ)ი და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.
4. მასწავლებლების პერსონალს მიეკუთვნება: მასწავლებელი და უფროსი მასწავლებელი.
5. დამხმარე პერსონალს მიეკუთვნებიან საშტატო განრიგით გათვალისწინებული სხვა დანარჩენი პირები.
6. საჭიროებისამებრ ფაკულტეტზე სასწავლო პროცესის წარსამართად ან მასში მონაწილეობის მისაღებად ფაკულტეტი იწვევს სპეციალისტს.

მუხლი 43. აკადემიური პერსონალი

1. ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი შედგება პროფესორებისაგან.
2. პროფესორები მონაწილეობენ ან/და წარმართავენ სასწავლო პროცესსა და მეცნიერულ კვლევებს.
3. პროფესორის პედაგოგიური დატვირთვის ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს აკადემიური საბჭო და ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო.
4. აკადემიურ პერსონალთან შრომითი ხელშეკრულება იდება თსუ–ის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესით განსაზღვრული ვადით.
5. აკადემიური თანამდებობის დაკავების წესი და პირობები, თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძვლები, ასევე აკადემიური პერსონალის უფლება-მოვალეობები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით, თსუ-ის წესდებითა და თსუ–ში მოქმედი რეგულაციებით.

მუხლი 44. ადმინისტრაციული პერსონალი

1. ფაკულტეტის ადმინისტრაციულ პერსონალს მიეკუთვნებიან: დეკანი, დეკანის მოადგილე/მოადგილეები და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.
2. ადმინისტრაციული თანამდებობის დაკავების წესები და პირობები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით, თსუ–ის წესდებით, წინამდებარე დებულებითა და თსუ–ში მოქმედი რეგულაციების თანახმად.

3. ფაკულტეტის ადმინისტრაციული თანამდებობის პირის ვადამდე განთავისუფლების საფუძველია:

ა) პირადი სურვილი;
ბ) სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა;
გ) გარდაცვალება;
დ) სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ ან შეზღუდულქმედუნარიანად აღიარება;
ე) 65 წლის ასაკის მიღწევა;
ვ) საქართველოს კანონმდებლობით, თსუ–ის წესდებითა და თსუ–ში მოქმედი რეგულაციებით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

მუხლი 45. დამხმარე პერსონალი

ფაკულტეტის დამხმარე პერსონალს მიეკუთვნებიან საშტატო ნუსხით გათვალისწინებული ფაკულტეტის საქმიანობისათვის აუცილებელი სხვა პირები: სამსახურის უფროსი, მთავარი სპეციალისტი, უფროსი სპეციალისტი, სპეციალისტი, ბიბლიოთეკარი, ლაბორანტი, ასისტენტი და სხვ.

მუხლი 46. მასწავლებელთა პერსონალი

1. ფაკულტეტის მასწავლებელთა პერსონალს მიეკუთვნება მასწავლებელი და უფროსი მასწავლებელი.

2. მასწავლებელი უფლებამოსილია გაუძღვეს სასემინარო, პრაქტიკულ და ლაბორატორიულ სამუშაოებს აკადემიური თანამდებობის დაკავების გარეშე.

თავი X
სტუდენტი

მუხლი 47. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი

1. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი არის პირი, რომელიც „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონითა და თსუ-ის წესდებით განსაზღვრული წესით ჩაირიცხა და სწავლობს თსუ–ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ბაკალავრიატის, მაგისტრატურის, დოქტორანტურის, ასევე პროფესიული და ქართულ ენაში მომზადების საგანამანათლებლო პროგრამაზე.

2. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატში, მაგისტრატურასა და დოქტორანტურაში ჩარიცხვის წესი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, თსუ-ის შესაბამისი სამართლებრივი აქტებით და ფაკულტეტის დებულებით.

მუხლი 48. საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტთა ჩარიცხვა

1. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკუკლტეტის ბაკალავრიატში სტუდენტის ჩარიცხვა ხდება ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე, გარდა კანონმდებლობით განსაზღვრული შემთხვევებისა; ფაკულტეტზე ჩარიცხული ბაკალავრიატის სტუდენტი თავად ირჩევს მისთვის სასურველ საბაკალავრო პროგრამას/პროგრამებს ძირითადი და, სურვილის შემთხვევაში, დამატებითი სპეციალობის/სპეციალობების მისაღებად.

2. მაგისტრატურაში სწავლის გაგრძელების უფლება აქვს ბაკალავრის ხარისხის მქონე პირს, რომელსაც ჩაბარებული აქვს საერთო სამაგისტრო გამოცდა, გარდა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული შემთხვევებისა.

3. მაგისტრანტობის კანდიდატების (შემდგომში „კონკურსანტი“) საბუთების მიღებას ახორციელებს ფაკულეტეტის მიმღები კომისია, რომელსაც ფაკულტეტის დეკანის წარდგინების საფუძველზე ამტკიცებს თსუ რექტორი.

4. კონკურსანტის ჩარიცხვა ხდება კონკრეტულ სამაგისტრო პროგრამაზე ერთიანი სამაგისტრო გამოცდისა და სპეციალობაში წერითი გამოცდის შედეგების საფუძველზე. ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით, კონკრეტულ სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობად შეიძლება განისაზღვროს უცხო ენაში გამოცდის ჩაბარება ან სხვ.

5. გამოცდა სპეციალობაში ტარდება წერილობითი სახით. საგამოცდო ნამუშევრები ფასდება 100–ბალიანი სისტემით. გამოცდა ჩაბარებულად ითვლება, თუ კონკურსანტი მიიღებს დადებით შეფასებას (მინიმუმ 51%). სპეციალობის გამოცდაში კონკურსანტთა ნაშრომებს ამოწმებს საგამოცდო კომისია, რომელიც ფაკულტეტის დეკანის წარდგინების საფუძველზე მტკიცდება რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. საგამოცდო კომისიის წევრი არ შეიძლება იყოს სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი.

6. თუ სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობად განსაზღვრულია უცხო ენაში გამოცდის ჩაბარება, კონკურსანტი უცხო ენის გამოცდაზე დაიშვება სპეციალობის გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში. საგამოცდო ნამუშევრები ფასდება 100–ბალიანი სისტემით. უცხო ენის გამოცდა ჩაბარებულად ითვლება, თუ კონკურსანტი მიიღებს დადებით შეფასებას (მინიმუმ 51%), თუ სამაგისტრო პროგრამით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. უცხო ენის გამოცდიდან თავისუფლდება კონკურსანტი, რომელიც წარმოადგენს უცხო ენის ცოდნის დამადასტრებელ შესაბამის სერტიფიკატს, ან/და უცხოეთში არანაკლებ ერთი სემესტრის განმავლობაში სწავლის დამადასტურებელ დოკუმენტს. უცხო ენაში საგამოცდო ტესტების მომზადებასა და საგამოცდო ნაშრომების გასწორებაზე პასუხისმგებელია თსუ ენების ცენტრი.

7. საკონკურსო გამოცდ(ებ)ი ტარდება თსუ საგამოცდო ცენტრის მიერ.

8. კონკურსანტთა საბუთების მიღების, მიმღები კომისიების მუშაობის რეგლამენტს, გამოცდების განრიგს, საგამოცდო შედეგების გამოქვეყნებისა და გასაჩივრების წესს, სამაგისტრო პროგრამების ამოქმედების პირობებს განსაზღვრავს აკადემიური საბჭო.

9. დოქტორანტურაში სტუდენტის ჩარიცხვა ხდება თსუ–ის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული ფაკულტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულებით, უცხო ენაში მისაღები გამოცდისა და სპეციალობაში გასაუბრების შედეგების საფუძველზე.

10. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე და ქართულ ენაში მომზადების ერთწლიან (60 კრედიტი) საგანამათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ჩარიცხვა ხდება ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე.

11. ბაკალავრიატში, მაგისტრატურაში, პროფესიული განათლებისა და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის საფასურის ოდენობა განისაზღვრება თსუ–ის აკადემიური საბჭოს დადგენილების შესაბამისად.

12. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურაში სწავლის საფასურის შეღავათის ოდენობას თითოეული დოქტორანტისათვის სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის წარდგინების საფუძველზე განსაზღვრავს ფაკულტეტის საბჭო.

13. სტუდენტის უფლება-მოვალეობები განისაზღვრება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, თსუ–ის წესდებითა და თსუ–ში მოქმედი რეგულაციებით.

14.სტუდენტის სტატუსის შეჩერება ან შეწყვეტა ხდება საქართველოს კანონმდებლობის, თსუ–ის წესდებისა და თსუ–ში მოქმედი რეგულაციებით.

მუხლი 49. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტური თვითმმართველობა

1. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტური თვითმმართველობა შედგება ფაკულტეტზე ფარული კენჭისყრით, საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი არჩევნების საფუძველზე არჩეული სტუდენტებისაგან.

2. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტური თვითმმართველობის უფლება -მოვალეობები განისაზღვრება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, თსუ-ის წესდებითა და თსუ-ის სტუდენტური თითმმართველობის დებულებით.

თავი XI
ფაკულტეტის ბიუჯეტი და ფინანსები

მუხლი 50. ფაკულტეტის ბიუჯეტი

1. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტი წარმოადგენს თსუ -ის ბიუჯეტის შემადგენელ ნაწილს.

2. თსუ -ის წესდებით დადგენილი წესით, ფაკულტეტი მონაწილეობს თსუ–ის ბიუჯეტის შემუშავების პროცესში.

მუხლი 51. ფაკულტეტის ფინანსები

ფაკულტეტი მის მიერ მოზიდული ფინანსებისა და მის განკარგულებაში არსებული ქონების ფლობასა და სარგებლობასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხს წყვეტს თსუ–ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანხმობით.

თავი XII

ფაკულტეტის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა

მუხლი 52. ფაკულტეტის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა

1. ფაკულტეტის სტრუქტურასა და დებულებას შეიმუშავებს ფაკულტეტის საბჭო და ამტკიცებს თსუ–ის წარმომადგენლობითი საბჭო.

2. ფაკულტეტის დებულების მიღება, გაუქმება, მასში ცვლილებისა და დამატების შეტანა ხდება ამ მუხლი პირველი პუნქტით დადგენილი წესით.

თავი XIII
გარდამავალი და დასკვნითი დებულებები

მუხლი 53. დებულების მიღება და ამოქმედება

1. დებულება დასამტკიცებლად გადაეცეს თსუ–ის წარმომადგენლობით საბჭოს.

2. დებულება ამოქმედდეს თსუ–ის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ მისი დამტკიცებისთანავე.

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე,
დეკანი დარეჯან თვალთვაძე

თსუ წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი
კახაბერ ლორია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
მედიცინის ფაკულტეტის
დებულება

თავი I
ზოგადი დებულებები

მუხლი 1. ფაკულტეტის სტატუსი

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში "თსუ") მედიცინის ფაკულტეტი (შემდგომში "ფაკულტეტი") წარმოადგენს თსუ-ის ძირითად სასწავლო-სამეცნიერო და ადმინისტრაციულ ერთეულს, რომელიც აკადემიური თავისუფლებისა და ინსტიტუციური ავტონომიის ფარგლებში უზრუნველყოფს სტუდენტთა მომზადებას ერთ ან რამდენიმე სპეციალობაში და მათთვის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებას, ასევე ახორციელებს სასწავლო პროგრამებსა და სამეცნიერო კვლევებს მედიცინის მიმართულებით.

2. ფაკულტეტი ვალდებულია, შეუქმნას საუკეთესო პირობები სტუდენტს და ფაკულტეტის პერსონალს სწავლის, სწავლებისა და სამეცნიერო კვლევისათვის; უზრუნველყოს მეცნიერების შესაბამის დარგში თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი, მომავალზე ორიენტირებული განათლების მიღების შესაძლებლობა და მუდმივად იზრუნოს სასწავლო და სამეცნიერო პირობების გაუმჯობესებაზე. საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებით დასრულების შემთხვევაში კურსდამთავრებულს ენიჭება შესაბამისი აკადემიური ხარისხი და მიეცემა ხარისხის მინიჭების დამადასტურებელი დიპლომი.

3. ფაკულტეტის სამართლებრივი სტატუსი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით, თსუ-ის წესდებითა და წინამდებარე დებულებით.

მუხლი 2. ფაკულტეტის დებულების მოქმედება

1. წინამდებარე დებულება განსაზღვრავს მედიცინის ფაკულტეტის სტატუსს, ძირითად ამოცანებსა და კომპეტენციის სფეროებს, სტრუქტურას, მისი სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის წესსა და უფლება-მოვალეობებს.

მუხლი 3. ფაკულტეტის საქმიანობის მიზნები და საფუძვლები

1. ფაკულტეტის საქმიანობის ძირითადი მიზნებია:

ა) პიროვნების ინტერესებისა და შესაძლებლობების შესატყვისი უმაღლესი განათლების მიღების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება;

ბ) პიროვნული პოტენციალის რეალიზება, შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარება, თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის მქონე პირების მომზადება, შიდა და საგარეო შრომის ბაზარზე უმაღლესი განათლების მქონე პირების კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა, სტუდენტთა და ფართო საზოგადოების მოთხოვნათა შესაბამისი მაღალი ხარისხის უმაღლესი განათლების შეთავაზება დაინტერესებული პირებისათვის;

გ) სახელმწიფო განვითარებისა და სამოქალაქო საზოგადოების არსებობის სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველსაყოფად ახალი სამეცნიერო პერსონალის მომზადება და გადამზადება, სამეცნიერო კვლევის პირობების შექმნა, უზრუნველყოფა და განვითარება;

დ) ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში უნივერსიტეტის ინტეგრირებაში ხელის შეწყობა და ამ პროცესში სტუდენტთა მონაწილეობის მაქსიმალური უზრუნველყოფა;

2. ფაკულტეტი თავის საქმიანობას ახორციელებს "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით, უნივერსიტეტის წესდებითა და წინამდებარე დებულებით, გათვალისწინებულ უფლებამოსილებებს, როგორც უნივერსიტეტის შიგნით, ისე მის გარეთ.

თავი II
ფაკულტეტის სტრუქტურა და მართვა

მუხლი 4. ფაკულტეტის სტრუქტურა

1. ფაკულტეტი შედგება საფაკულტეტო მნიშვნელობის საგანმანათლებლო-სამეცნიერო, სასწავლო-სამეცნიერო-კლინიკური და დამხმარე სტრუქტურული ერთეულებისაგან.

2. საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეულების დანიშნულებაა სტრუქტურული ერთეულის განვითარების სტრატეგიული დაგეგმარება; დარგის სასწავლო და სამეცნიერო პოლიტიკის განსაზღვრა; საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო და რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომისშემდგომი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება.

3. სასწავლო-სამეცნიერო-კლინიკური სტრუქტურული ერთეულების დანიშნულებაა განსაზღვროს სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების პრიორიტეტები და შესაბამისი პერსპექტიული პროგრამები; აწარმოოს ფუნდამენტური და გამოყენებითი სამეცნიერო კვლევები; ჩაატაროს სამეცნიერო კონფერენციები და სამეცნიერო ხასიათის სხვა ტიპის ღონისძიებები; დაამყაროს სამეცნიერო კონტაქტები სხვა, მათ შორის საზღვარგარეთის სამეცნიერო ცენტრებთან და კანონმდებლობით დადგენილი წესით განახორციელოს კლინიკურ და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებული დამხმარე საქმიანობა.

4. დამხმარე სტრუქტურული ერთეულების დანიშნულებაა ფაკულტეტის მატერიალური და ადამიანური რესურსების მართვა, სასწავლო პროცესის ორგანიზება და მისი გამართული მუშაობის უზრუნველყოფა, სამეცნიერო ღონისძიებების ორგანიზაციის ხელშეწყობა, ფაკულტეტის საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიღება, შეკრება, ანალიზი და გავრცელება, კომუნიკაციის უზრუნველყოფა ფაკულტეტის შიგნით, თსუ-ის ადმინისტრაციასთან, სხვა ფაკულტეტებთან და სტრუქტურულ ერთეულებთან, შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოება.

5. სტრუქტურულ ერთეულებს აქვთ ფაკულტეტის საბჭოს მიერ დამტკიცებული სამოქმედო გეგმა.

6. სტრუქტურულ ერთეულს აქვს საკუთარი ბლანკი, რომელიც მტკიცდება საქართველოს კანონმდებლობისა და თსუ–ში მოქმედი რეგულაციების შესაბამისად. ფაკულტეტის საბჭოს მიერ დამტკიცებული ნიმუშის შესაბამისად. განსხვავებული ბლანკის გამოყენება დაუშვებელია.

მუხლი 5. ფაკულტეტის სტრუქტურული ერთეულების შექმნა – გაუქმება

ფაკულტეტის სტრუქტურის ცვლილება, ახალი სტრუქტურული ერთეულის შექმნის ან არსებული ერთეულების გაუქმების შესახებ გადაწყვეტილებას შეიმუშავებს ფაკულტეტის საბჭო და დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს.

მუხლი 6. სტუქტურული ერთეულების ანგარიშვალდებულება და დავების გადაწყვეტა

1. სტრუქტურულ ერთეულებს შორის უფლებამოსილებების განხორციელებისას კონფლიქტის წარმოქმნის შემთხვევაში იქმნება დამატებითი მარეგულირებელი დოკუმენტი უფლებამოსილებათა გამიჯვნის შესახებ, რომელსაც ამზადებს ფაკულტეტის დეკანი და ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო. ასეთი მარეგულერებლი დოკუმენტის არ არსებობის შემთხვევაში სადაო საკითხები რეგულირდება დეკანის გადაწყვეტილებით.

2. სტრუქტურული ერთეული ანგარიშვალდებულია ფაკულტეტის საბჭოსა და დეკანის წინაშე.

მუხლი 7. მართვის ორგანოები

ფაკულტეტის მართვა ხორციელდება შემდეგი ორგანოების მეშვეობით: ფაკულტეტის საბჭო, დეკანი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

თავი III
ფაკულტეტის საბჭო

მუხლი 8. ფაკულტეტის საბჭოს დაკომპლექტება

1. ფაკულტეტის წარმომადგენლობითი ორგანოა ფაკულტეტის საბჭო.

2. ფაკულტეტის წარმომადგენლობითი ორგანოა ფაკულტეტის საბჭო, რომლის ფორმირების წესი განისაზღვრება თსუ–ის წესდებით.

3. ფაკულტეტის საბჭოში სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენელთა რაოდენობა განისაზღვრება საბჭოს შემადგენლობის 1/4-ით.

4. ფაკულტეტის საბჭოს საქმიანობას კოორდინაციას უწევს და მიღებული გადაწყვეტილების შესრულებაზე პასუხისმგებელია ფაკულტეტის დეკანი.

მუხლი 9. ფაკულტეტის საბჭოს უფლებამოსილებები

ფაკულტეტის საბჭო:

ა) განსაზღვრავს და ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წარუდგენს ფაკულტეტის ბიუჯეტს;

ბ) განსაზღვრავს და ადმინისტრაციის ხელმძღვანელ;ს წარუდგენს ფაკულტეტის სასწავლო-სამეცნიერო-კლინიკური ცენტრის ბიუჯეტს.

გ) თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს ფაკულტეტის დეკანს;

დ) დეკანის წარდგინებით შეიმუშავებს და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს ფაკულტეტის განვითარების სტრატეგიულ გეგმას, საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით პროგრამებს;

ე) დეკანის წარდგინებით შეიმუშავებს ფაკულტეტის სტრუქტურასა და დებულებას და დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს;

ვ) შეიმუშავებს სადისერტაციო საბჭოს დებულებას და დასამტკიცებლად წარუდგენს აკადემიურ საბჭოს;

ზ) შეიმუშავებს სასწავლო-სამეცნიერო-კლინიკური ცენტრის სტრუქტურას და დებულებას და დასმტკიცელბად წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს.

თ) ირჩევს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს;

ი) უფლებამოსილია, დეკანის მიერ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის, დეკანისათვის დაკისრებული მოვალეობების არასათანადოდ შესრულების ან/და დეკანისათვის შეუფერებელი საქმიანობის განხორციელების საფუძვლით, ფაკულტეტის საბჭოს წევრების არანაკლებ 1/3-ის მოთხოვნით განიხილოს დეკანის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხი. გადაწყვეტილება დეკანის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე მიიღება ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით. დეკანი ამ პუნქტით გათვალისწინებულ კენჭისყრებში არ მონაწილეობს. ამ საკითხებზე მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრება არ იწვევს სადავო აქტის მოქმედების შეჩერებას;

თ) ახორციელებს ამ დებულებითა და საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

მუხლი 10. კვორუმი და გადაწყვეტილების მიღება

1. ფაკულტეტის საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მას ესწრება საბჭოს სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
2. ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს სხდომაზე დამსწრეთა ნახევარზე მეტი, თუ თსუ-ის წესდებითა და საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი.
3. ფაკულტეტის საბჭოს სხდომა და კენჭისყრა არის საჯარო, გარდა თსუ-ის წესდებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
4. ფაკულტეტის საბჭოს სრული შემადგენლობის 1/4-ს უფლება აქვს მოითხოვოს ფარული კენჭისყრა.

მუხლი 11. ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმი

1. ფაკულტეტის საბჭოს თითოეული სხდომის შესახებ იწარმოება ოქმი.
2. ოქმს ხელს აწერს ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე და საბჭოს სხდომის მდივანი.

თავი IV
ფაკულტეტის დეკანი

მუხლი 12. ფაკულტეტის დეკანის სტატუსი

მედიცინის ფაკულტეტს ხელმძღვანელობს ფაკულტეტის დეკანი და წარმოადგენს მას უნივერსიტეტის შიგნით და გარეთ აკადემიურ და სამეცნიერო სფეროებში.

მუხლი 13. დეკანის არჩევის წესი

1. ფაკულტეტის დეკანი აირჩევა გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპების დაცვით ოთხი წლის ვადით.
2. დეკანის თანამდებობაზე ერთი და იგივე პირი შეიძლება არჩეულ იქნეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.
3. დეკანის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატების რეგისტრაციის დაწყების შესახებ განცხადებას ფაკულტეტის საბჭო აქვეყნებს კანდიდატების რეგისტრაციის დაწყებამდე არანაკლებ 1 თვით ადრე.
4. ფაკულტეტის დეკანად შეიძლება აირჩეს ასოცირებული ან სრული პროფესორი. კანდიდატად რეგისტრაციისათვის აუცილებელია ავტობიოგრაფიისა და ფაკულტეტის განვითარების კონცეფციის წარმოდგენა. დეკანის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატების რეგისტრაციაზე გადაწყვეტილებას ღებულობს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო. თითოეული კანდიდატი რეგისტრირებულად ჩაითვლება თუ მას მხარს დაუჭერს აკადემიური საბჭოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
5. ფაკულტეტის დეკანს ირჩევს ფაკულტეტის საბჭო. არჩეულად ჩაითვლება პირი, რომელიც მიიღებს საბჭოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტს. თუ ვერცერთმა კანდიდატმა ვერ დააგროვა ხმების საკმარისი რაოდენობა, გაიმართება მეორე ტური, რომელშიც მონაწილეობს პირველ ტურში საუკეთესო შედეგის მქონე ორი პრეტედენტი. ხმების თანაბრად გაყოფის

შემთხვევაში, მეორე ტურში გამსვლელთა გამოსავლენად 3 დღეში ტარდება ხელახალი კენჭისყრა. არჩევნების მეორე ტური ტარდება პირველი ტურის ჩატარებიდან 7 დღის განმავლობაში. იმ შემთხვევაში, თუ არჩევნების მეორე ტურშიც ვერ მოხერხდა დეკანის არჩევა, ინიშნება ახალი არჩევნების თარიღი.

6. ფაკულტეტის დეკანის არჩევასთან დაკავშირებული საკითხები ასევე რეგულირდება თსუ–ის აკადემიური საბჭოს მიერ მიღებული და წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დამტკიცებული დადგენილებით.

7. მედიცინის ფაკულტეტის დეკანს შესაძლოა ჰყავდეს პირველი მოადგილე და მოადგილეები.

მუხლი 14. ფაკულტეტის დეკანის უფლებამოსილებები

ფაკულტეტის დეკანი:

ა) უზრუნველყოფს ფაკულტეტზე სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობის ეფექტიანად მიმდინარეობას;

ბ) ფაკულტეტის საბჭოს განსახილველად წარუდგენს ფაკულტეტის განვითარების სტრატეგიულ გეგმას, საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით პროგრამებს;

გ) შეიმუშავებს და ფაკულტეტის საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს ფაკულტეტის სტრუქტურასა და დებულებას;

დ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში პასუხისმგებელია წარმომადგენლობითი საბჭოს, აკადემიური საბჭოსა და ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებების შესრულებაზე;

ე) თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს;

ვ) თავმჯდომარეობს ფაკულტეტის საბჭოს სხდომებს;

ზ) პასუხისმგებელია ფაკულტეტის ბიუჯეტის მიზნობრივ გამოყენებაზე;

თ) ახორციელებს ამ დებულებით, თსუ–ის წესდებითა და საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

მუხლი 15. ფაკულტეტის დეკანის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა

ფაკულტეტის საბჭოს სიითი შემადგენლობის 1/4-ს შეუძლია მოითხოვოს დეკანის უფლებამოსილების შეწყვეტა. გადაწყვეტილება დეკანის უფლებამოსილების შეწყვეტის თაობაზე მიიღება საბჭოს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.

თავი V
ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

მუხლი 16. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სტატუსი

1. ფაკულტეტზე სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის, აგრეთვე მისი აკადემიური პროფესიული განვითარების ხარისხის სისტემატური შეფასების მიზნით იქმნება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც მოქმედებს ფაკულტეტის დებულების შესაბამისად.

2. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წევრი შეიძლება იყოს ფაკულტეტის საბჭოს წევრი ასოცირებული ან სრული პროფესორი.

მუხლი 17. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფლებამოსილება

1. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ამყარებს მჭიდრო კავშირს და თანამშრომლობს საზღვარგარეთის ქვეყნებისა და მათი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამის სამსახურებთან ხარისხის კონტროლის გამჭვირვალე კრიტერიუმებისა და მათი უზრუნველყოფის მეთოდოლოგიის ჩამოსაყალიბებლად.

2. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ხელს უწყობს სწავლების ხარისხის მაღალი დონის უზრუნველყოფას სწავლის, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების (მოდულები, საკრედიტო სისტემა და ა.შ.) გამოყენების გზით და აკრედიტაციის პროცესისათვის თვითშეფასების მომზადებას.

3. ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური წარმოადგენს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ერთიანი საუნივერსიტეტო სისტემის ნაწილს.

მუხლი 18. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

1. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის წარდგინებით ირჩევს ფაკულტეტის საბჭო. ფაკულტეტის საბჭოს შეიძლება წარედგინოს ერთი ან ერთზე მეტი კანდიდატურა.

2. არჩეულად ჩაითვლება პირი, რომელიც მიიღებს საბჭოს ხმების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტს.

3. თუ ვერცერთმა პრეტენდენტმა ვერ დააგროვა ხმების ეს რაოდენობა, გაიმართება მეორე ტური, რომელშიც მონაწილეობს პირველ ტურში საუკეთესო შედეგის მქონე ორი პრეტენდენტი. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, მეორე ტურში გამსვლელთა გამოსავლენად ტარდება ხელახალი კენჭისყრა გამარჯვებულის გამოსავლენად. თუ არჩევნების მეორე ტურშიც ვერ გამოვლინდა გამარჯვებული, არაუგვიანეს 5 დღის განმავლობაში ინიშნება ახალი არჩევნების თარიღი.

თავი VI
საგანმანათლებლო-სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულები

მუხლი 19. სასწავლო-სამეცნიერო-კლინიკური ცენტრი

1. ცენტრი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებით, ფაკულტეტის დებულებითა და ცენტრის დებულებით.
3. ცენტრს საჭიროების შემთხვევაში შეიძლება ჰქონდეს საბანკო ქვეანგარიში.
4. ცენტრი აწარმოებს ფუნდამენტურ და კლინიკურ სამეცნიერო კვლევებს. აქვს ფაკულტეტის საბჭოს მიერ დამტკიცებული სასწავლო-სამეცნიერო და კლინიკური საქმიანობის პროგრამა, რომელიც შესაძლებელია შედგებოდეს რამოდენიმე პროექტისაგან.
5. ცენტრის მიზნები:
ა) უნივერსიტეტის, პროფესორების, დოქტორანტების, მკვლევარების, მასწავლებლებისა და სტუდენტების სამეცნიერო-კლინიკური პროექტების ექსპერიმენტალური მხარის განხორციელება და სამეცნიერო კვლევითი სამუშაოების დაგეგმვაში მეთოდოლოგიური დახმარება.
ბ) უნივერსიტეტის დოქტორანტებისთვის, მკვლევარებისთვის, სპეციალობის მაძიებლებისათვის და სტუდენტებისთვის საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება.
6. ცენტრი იქმნება ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით, რომელიც მტკიცდება წარმომადგენლობით საბჭოს მიერ.

მუხლი 20. ცენტრის სტრუქტურა

1. ცენტრის სტრუქტურა შეიძლება შეიცვალოს ცენტრის ამოცანების, ფუნქციებისა და შესაძლო დაფინანსების შესაბამისად.
2. ცენტრის მიზნებისა და საქმიანობის შესაბამისად ცენტრის ფარგლებში შეიძლება შეიქმნას ან გაუქმდეს ქვედანაყოფები (ლაბორატორიები, განყოფილებები და სხვ.).

მუხლი 21. ცენტრის დირექტორი

1. ცენტრის სამეცნიერო, სასწავლო, კლინიკურ და საორგანიზაციო საქმიანობას ხელმძღვანელობს დირექტორი, რომელსაც ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით ნიშნავს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.
2. ცენტრის დირექტორად შეიძლება დაინიშნოს სრული ან ასოცირუებული პროფესორი.
3. ცენტრის დირექტორი:
ა) უზრუნველყოფს ცენტრში სასწავლო პროცესის, კლინიკური მუშაობისა და კვლევების ეფექტიან წარმართვას;
ბ) ფაკულტეტის საბჭოს და შემდგომში უნივერსიტეტის ადმინისტრაციას განსახილველად და დასამტკიცებლად წარუდგენს ცენტრის განვითარების გეგმას, სასწავლო პროგრამებს და სამეცნიერო-კვლევით პროექტებს;
გ) შეიმუშავებს და ფაკულტეტის საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს ცენტრის სტრუქტურასა და დებულებას.
დ) თავის კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ადმინისტრაციულ აქტებს.
ე) ესწრება ფაკულტეტის საბჭოს სხდომებს.
ვ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში პასუხისმგებელია უნივერსიტეტის მართვის ორგანოების გადაწყვეტილებების შესრულებაზე;
ზ) მონაწილეობს ფაკულტეტის ბიუჯეტის პროექტის შემუშავებაში და თავისი კომპეტენციის ფარგლებში პასუხისმგებელია მის მიზნობრივ გამოყენებაზე;
ვ) ხელმძღვანელობს ჩატარებული სამუშაოს ანგარიშების შედგენას;
ზ) ყოველი წლის ბოლოს ფაკულტეტის საბჭოს წარუდგენს ჩატარებული საქმიანობის წლიურ ანგარიშს.
თ) უფლებამოსილია, კანონმდებლობით დადგენილი წესით, დასვას საკითხი ცენტრის თანამშრომელთა წახალისებისა და მათ მიმართ დისციპლინარული პასუხისმგებლობის ზომების გამოყენების შესახებ;
კ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით, თსუ-ის წესდებით და ამ დებულებითა გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებას.
4. დირექტორის არყოფნის შემთხვევაში დირექტორის მოვალეობას მისივე დავალებით ასრულებს ცენტრის სხვა თანამშრომელი.

მუხლი 22. ცენტრის დირექტორის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა

1. დირექტორს უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება:
ა) პირადი განცხადების საფუძველზე;
ბ) სასამართლოს მიერ მის მიმართ გამოტანილი გამატყუნებელი განაჩენის ძალაში შესვლისას;
გ) სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ ან შეზღუდულქმედუნარიანად აღიარებისას;
დ) გარდაცვალებისას;
ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 23. ცენტრის პერსონალი

1. ცენტრში გაერთიანებული არიან პროფესორები, მეცნიერ-თანამშრომლები და მკვლევარები, რომელთა სასწავლო და კვლევითი დატვირთვა აისახება მათ შრომით ხელშეკრულებაში უნივერსიტეტთან.

2. აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსის გამოცხადების შესახებ მიმართვას აკადემიურ საბჭოს წარუდგენს ფაკულტეტის დეკანი ცენტრის დირექტორის წარდგინების საფუძველზე და ათანხმებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან. ამასთანავე, სამეცნიერო გრანტებითა და სხვა პროექტებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების მიზნით, ცენტრის დირექტორის წარდგინებით, უნივერსიტეტს შეუძლია მოიწვიოს ცალკეული სპეციალისტი დროებითი შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე.
3. ცენტრის თანამშრომელი ვალდებულია;
ა) დაიცვას უნივერსიტეტის შინაგანაწესი და ეთიკის კოდექსი;
ბ) დებულებით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებისას გაითვალისწინოს უნივერსიტეტისა და ცენტრის ინტერესები და რეგულარულად მიიღოს მონაწილეობა მის ღონისძიებებში;
გ) გაუფრთხილდეს ცენტრის რეპუტაციას, ხელი შეუწყოს მისი მიზნების განხორციელებას.
4. ცენტრის პერსონალის უფლება-მოვალეობები და მათი დანიშვნა-გათავისუფლების პირობები განისაზღვრება თსუ–ის შინაგანაწესითა და მოქმედი კანონმდებლობით.

თავი VIII

დამხმარე სტრუქტურული ერთეულები

მუხლი 24. ფაკულტეტის დამხმარე სტრუქტურული ერთეულები

1. მედიცინის ფაკულტეტის დამხმარე სტრუქტურული ერთეულებია:
ა) კანცელარია;
ბ) რესურსების მართვის სამსახური;
გ) სასწავლო პროცესის მართვის სამსახური
დ) სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახური.

2. ფაკულტეტის დამხმარე სტრუქტურული ერთეულები მოქმედებენ უნივერსიტეტის შესაბამისი დამხმარე სტრუქტურული ერთეულებისათვის განსაზღვრული რეგულაციების შესაბამისად.

მუხლი 25. კანცელარია

1. კანცელარია წარმოადგენს ფაკულტეტის დამხმარე სტრუქტურული ერთეულს.
2. კანცელარია თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, თსუ-ის წესდებითა და ამ დებულებით.
3. კანცელარია თავისი კომპეტენციის ფარგლებში ანგარიშვალდებულია ფაკულტეტის დეკანის წინაშე.
4. კანცელარიას აქვს მრგვალი ბეჭედი თავისი დასახელების აღნიშვნით.

მუხლი 26. კანცელარიის პერსონალი

1. კანცელარიის პერსონალი შედგება კანცელარიის უფროსის, მოადგილეების, უფროსი სპეციალისტის, მთავარი სპეციალისტისა და სპეციალისტებისაგან.
2. კაცელარიას ხელმძღვანელობს კანცელარიის უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი. მისი არყოფნის შემთხვევაში კანცელარიის უფროსის მოვალეობის შემსრულებელს განსაზღვრავს ფაკულტეტის დეკანი.

მუხლი 27. კანცელარიის ფუნქციები

1. კანცელარია:
ა) ფაკულტეტში საქმიანობის უნიფიცირების მიზნით ფაკულტეტის კანცელარია ხელმძღვანელობს უნივერსიტეტში მოქმედი რეგულაციებითა და მის შესაბამისად შეიმუშავებული საქმისწარმოების წესით.
ბ) აკონტროლებს სტრუქტურული ერთეულების მიერ ფაკულტეტში დოკუმეტებზე მუშაობის დადგენილი წესის შესრულებას თავისი კომპეტენციის ფარგლებში;
გ) სტრუქტურულ ერთეულს შემდგომი დამუშავებისათვის უბრუნებს არასწორად მომზადებულ დოკუმენტებს, რომლებიც არ შეესაბამება საქმიანობის ერთიანი წესების მოთხოვნებს;
დ) გამოითხოვს სტრუქტურული ერთეულებისაგან კანცელარიის მუშაობისათვის საჭირო ცნობებს;
ე) ახორციელებს თსუ-ის წესდებითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა ფუნქციებს.

მუხლი 28. მატერიალური რესურსების მართვის სამსახური

1. მატერიალური რესურსების მართვის სამსახური წარმოადგენს ფაკულტეტის დამხმარე სტრუქტურულ ერთეულს.
2. მატერიალური რესურსების მართვის სამსახური თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს ამ დებულებით, თსუ-ის წესდებითა და საქართველოს კანონმდებლობით.
3. მატერიალური რესურსების მართვის სამსახური თავისი კომპეტენციის ფარგლებში ანგარიშვალდებულია ფაკულტეტის დეკანის წინაშე.

მუხლი 29. მატერიალური რესურსების მართვის სამსახურის პერსონალი

1. სამსახური წარმოადგენს ფაკულტეტის სტრუქტურულ ერთეულს, რომელსაც ხელმძღვანელობს სამსამხურის უფროსი.
2. სამსახურის უფროსს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი. სამსახურის უფროსის არყოფნის შემთხვევაში (შვებულება, მივლინება, ავადმყოფობა და სხვ.) მის მოვალეობას ასრულებს სამსახურის უფროსის მოადგილე.
3. მატერიალური რესურსების მართვის სამსახურის პერსონალის ფუნქციები განისაზღვრება წინამდებარე დებულებითა და უნივერსიტეტში მოქმედი რეგულაციების შესაბამისად .

მუხლი 30. მატერიალური რესურსების სამსახურის ფუნქციები

1. მატერიალური რესურსების სამსახურის ფუნქციებია:
ა) ფაკულტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფის ღონისძიებების შემუშავება;
ბ) შენობა-ნაგებობების, მოწყობილობების, მანქანა-დანადგარების, ლიფტების, ელ. ძალოვანი დანადგარების, განათების, გათბობის, საკანალიზაციო, წყალგაყვანილობის, სავენტილაციო, მიწისქვეშა კომუნიკაციების და და სხვა სისტემების გამართული ფუნქციონირებასა და მათი მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენებაზე კონტროლი;
გ) ფაკულტეტის სტრუქტურული ერთეულების მომარაგება საჭირო მატერიალური ფასეულობებით, მასალებით, სამეურნეო, საკანცელარიო ინვენტარით, სასაწყობო მეურნეობაზე სისტემატური კონტროლის განხორციელება;
დ) კომუნალური გადასახადების გადასახდელად დოკუმენტაციის მომზადება და გადახდაზე კონტროლის უზრუნველყოფა;
ე) თსუ-ს წესდებით გათვალისწინებული სხვა ფუნქციების განხორციელება.

მუხლი 31. სასწავლო პროცესის მართვის სამსახური

1. სასწავლო პროცესის მართვის სამსახური წარმოადგენს ფაკულტეტის დამხმარე სტრუქტურულ ერთეულს.

2. სამსახური თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, თსუ-ის წესდებითა და ამ დებულებით.

3. სამსახური თავისი კომპეტენციის ფარგლებში ანგარიშვალდებულია ფაკულტეტის დეკანის წინაშე.

მუხლი 32. სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის პერსონალი

1. სამსახური წარმოადგენს ფაკულტეტის სტრუქტურულ ერთეულს, რომელსაც ხელმძღვანელობს სამსახურის უფროსი.

2. სამსახურის უფროსს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი. სამსახურის უფროსის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს სამსახურის უფროსის მოადგილე.

3. სამსახურის უფროსი:

ა) სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის საქმიანობის წარმართვა, სამუშაოების დაგეგმვა და განაწილება თანამშრომელთა შორის კომპეტენციებისა და ფუნქციების შესაბამისად;

ბ) აკადემიური პერსონალის დატვირთვებისა და ტუტორების საქმიანობის მონიტორინგი;

გ) განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის ბაზაში სტუდენტთა მონაცემების, ხოლო სასწავლო ბაზაში – სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შედეგების შეტანაზე ხელმძღვანელობა, სტუდენტთა რეგისტრაციის ორგანიზება;

დ) სტუდენტთა პირადი საქმეების წარმოებაზე კონტროლი, სტუდენტებისათვის ცნობების მომზადებისა და გაცემის უზრუნველყოფა;

ე) სტუდენტთა ინფორმირება და კონსულტაციის გაწევა სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებზე;

ვ) სტუდენტებისათვის აკადემიური ხარისხის მინიჭების წარდგინებისა და სამსახურის მიერ სტუდენტების დანართების მომზადებაზე კონტროლის განხორციელება;

ზ) სამსახურის მიერ განხორციელებულ საქმიანობაზე პასუხისმგებლობა;

თ) სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის წარმომადგენლობა მესამე პირებთან ურთიერთობაში.

ი) უზრუნველყოფს სტუდენტებისათვის ცნობების მომზადებასა და გაცემას.

4. სასწავლო პროცესის მართვის სამსახური ითვალისწინებს სამსახურის უფროსს, მოადგილეებს, მთავარ სპეციალისტებს, უფროს სპეციალისტებსა და სპეციალისტებს.

5. სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის პერსონალის ფუნქციები განისაზღვრება წინამდებარე დებულებისა და უნივერსიტეტში მოქმედი რეგულაციების შესაბამისად.

მუხლი 33. სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის ფუნქციები

1. სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის ფუნქციებია:

ა) ახდენს სასწავლო პროცესის განხორციელების ორგანიზაციულ უზრუნველყოფას ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საფუძველზე;

ბ) განიხილავს შემოსულ კორესპოდენციას, საჭიროების შემთხვევაში ახდენს მის შემდგომ ადრესირებას, ამზადებს შესაბამის პასუხებს და ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტებს;

გ) ახდენს ტუტორების საქმიანობის მონიტორინგს;

დ) ახორციელებს ფაკულტეტიდან წარმოდგენილი სასწავლო პროგრამებისა და აკადემიური პესონალის დატვირთვის მონიტორინგს მათი თავსებადობის დადგენის მიზნით;

ე) ახდენს სტუდენტთა კონტიგენტის (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) სემესტრული რეგისტრაციის ორგანიზებას;

ვ) ახორციელებს სტუდენტთა პირადი საქმის წარმოებაზე კონტროლს;

ზ) ახდენს სტუდენთა საინფორმაციო მონაცემთა ბაზის მუდმივ განახლებას, შევსებასა (სტუდენტის ანკეტური მონაცემები, შუალედური და საბოლოო შეფასებები) და მონიტორინგს;
თ) ახორციელებს მინიტორინგს სტუდენტთა შუალედური და საბოლოო/განმეორებითი გამოცდის შედეგების ელექტრონულ აღრიცხვაზე;
ი) უზრუნველყოფს სტუდენტებისათვის ცნობების მომზადებასა და გაცემას;
კ) ახორციელებს თსუ-ის წესდებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 34. სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახური

1. სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახური წარმოადგენს ფაკულტეტის დამხმარე სტრუქტურულ ერთეულს.
2. სამსახური თავისი კომპეტენციის ფარგლებში ანგარიშვალდებულია ფაკულტეტის დეკანის წინაშე.

მუხლი 35. სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის **სამსახურის ფუნქციები**

1. სამეცნიერო-კვვლევებისა და განვითარების სამსაურის ფუნქციებია:
ა) საფაკულტეტო სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის კოორდინაცია;
ბ) ფაკულტეტზე შესრულებული სამეცნიერო პროექტების, მათ შორის საგრანტო პროექტების რეგისტრაცია და შესრულების მონიტორინგი;
გ) სამსახურის კომპეტენციის ფარგლებში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, ეროვნულ სამეცნიერო ფონდთან, სხვა სამათავრობო და არასამთავრობო დაწესებულებებთან ურთიერთობა;
დ) ფაკულტეტის პერსონალისათვის საკონსულტაციო მომსახურების უზრუნველყოფა სამეცნიერო ფონდების მოძიების, პატენტების შექმნისა და საავტორო უფლებების დაცვის მიზნით;
ე) სამეცნიერო-კვლევითი პროექტების ექსპერტიზისათვის სათანადო კომპეტენციის ექსპერტთა ჯგუფების ფორმირება და მათი საქმიანობისათვის საჭირო ღონისძიებების უზრუნველყოფა;
ვ) ფაკულტეტის მართვის ორგანოებისათვის, ექსპერტული შეფასებების საფუძველზე რეკომენდაციების მომზადება უნივერსიტეტის ბიუჯეტში სამეცნიერო კვლევების დაფინანსებისათვის გამოყოფილი სახსრების სავარაუდო განაწილების შესახებ;
ზ) სხვა ქართული და უცხოური უნივერსიტეტების შესაბამის სამსახურებთან, არასაუნივერსიტეტო სამეცნიერო ცენტრებთან განვითარებული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა და კოორდინაცია;
თ) ფაკულტეტზე შესრულებული სადოქტორო დისერტაციების სამეცნიერო შედეგების რეგისტრაცია შემდგომი ანალიზისა და შეფასების მიზნით;
ი) აკადემიურო პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასება პროფესორის საუნივერსიტეტო პრიორიტეტებთან თავსებადობის დასადგენად;
კ) საუნივერსიტეტო სამსახურებიდან სამეცნიერო-კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაციის გამოთხოვა;
ლ) საფაკულტეტო სტრუქტურული ერთეულების (ინსტიტუტი, ცენტრი, ლაბორატორია და სხვ.) ჩამოყალიბებისას საინიციატივო ჯგუფის მიერ წარმოდგენილი პროგრამის/პროექტის განხილვა დასკვნის მომზადების მიზნით;
მ) რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომისშემდგომი საგანმანათლებლო და უწყვეტი სამედიცინო განათლების პროგრამების განხორციელებასა და მიმდინარეობაზე კონტროლი;
ნ) თსუ-ის დებულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.

მუხლი 36. სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის **სამსახურის პერსონალი**

2. სამსახურის უფროსს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს უნივერიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი. უფროსის არყოფნის შემთხვევაში (შვებულება, მივლინება, ავადმყოფობა და სხვ.) მის მოვალეობას ასრულებს უფროსის მოადგილე.

მუხლი 37. სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი

1. სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი:
ა) უძღვება სამსახურის ფუნქციონირებას წინამდებარე დებულებისა და თსუ –ის წესდების შესაბამისად;
ბ) ანაწილებს მოვალეობებს სამსახურის თანამშრომლებს შორის, აძლევს მითითებებსა და დავალებებს;
გ) ხელმძღვანელობს სამსახურის მოკლე და გრძელვადიანი სამუშაო გეგმების შემუშავებას და მათ შესრულებას;
დ) ახორციელებს რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მომზადების) პროგრამის მიმდინარეობაზე კონრტოლსა და ზოგად ზედამხედველობას;
ე) ახორციელებს ფაკულტეტის საერთაშორისო ურთიერთობების, სტუდენტთა გაცვლითი პროგრამების განხორციელებაზე კონტროლს;
ვ) უზრუნველყოფს ფაკულტეტის ვებ-გვერდის განახლების სისტემატიურ კონტროლს;
ზ) ახოციელებს საქართველოს კანონმდებლობით და თსუ–ის წესდებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

თავი IX

სადისერტაციო საბჭო

მუხლი 38. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს სტატუსი

სადისერტაციო საბჭო არის დოქტორის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი ორგანო, რომელიც იქმნება ფაკულტეტზე.

მუხლი 39. სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობა

1. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს შედგენისა და მისი თავმჯდომარის არჩევის წესი განისაზღვრება ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული დებულებით.

2. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო შედგება დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე ფაკულტეტის ყველა სრული და ასოცირებული პროფესორისაგან. საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭო შედგება დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე უნივერსიტეტის შესაბამისი დარგის ყველა სრული და ასოცირებული პროფესორისაგან.

მუხლი 40. საქმიანობის წესი

სადისერტაციო საბჭო მოქმედებს აკადემიური საბჭოს მიერ ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით დამტკიცებული დებულების შესაბამისად და დოქტორის ხარისხს ანიჭებს მეცნიერების იმ დარგებში, რომლებიც განსაზღვრულია ამავე დებულებით.

თავი X

ფაკულტეტის პერსონალი

მუხლი 41. პერსონალის შემადგენლობა

ფაკულტეტის პერსონალი შედგება აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალისაგან.

მუხლი 42. აკადემიური პერსონალი

1. ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი შედგება პროფესორებისაგან.
2. პროფესორების შემადგენლობას მიეკუთვნება სრული პროფესორი, ასოცირებული პროფესორი და ასისტენტ-პროფესორი.
3. პროფესორები მონაწილეობენ ან/და წარმართავენ სასწავლო პროცესსა და მეცნიერულ კვლევებს.
4. პროფესორის პედაგოგიური დატვირთვის ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს აკადემიური საბჭო და ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო.
5. აკადემიურ პერსონალთან შრომითი ხელშეკრულება იდება აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესით განსაზღვრული ვადით.
6. აკადემიური თანამდებობის დაკავების წესი და პირობები, თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძვლები, ასევე აკადემიური პერსონალის უფლება-მოვალეობები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით, თსუ-ის წესდებითა და თსუ–ის აკადემიური საბჭოს მიერ მიღებული და წარმომადგენლობთი საბჭოს მიერ დამტკიცებული დადგენილებებით.

მუხლი 43. ადმინისტრაციული პერსონალი

1. ფაკულტეტის ადმინისტრაციულ პერსონალს მიეკუთვნებიან: დეკანი, დეკანის მოადგილე/მოადგილეები (ასეთის/ასეთების არსებობის შემთხვევაში) და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.
2. ადმინისტრაციული თანამდებობის დაკავების წესები და პირობები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით, თსუ-ის წესდებით, წინამდებარე დებულებითა და თსუ–ის აკადემიური საბჭოს მიერ მიღებული და წარმომადგენლობთი საბჭოს მიერ დამტკიცებული დადგენილებებით.
3. ფაკულტეტის ადმინისტრაციული თანამდებობის პირის ვადამდე განთავისუფლების საფუძვლებია:

ა) პირადი განცხადება;

ბ) სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა;

გ) გარდაცვალება;

დ) სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ ან შეზღუდულქმედუნარიანად აღიარება;

ე) 65 წლის ასაკის მიღწევა;

ვ) საქართველოს კანონმდებლობითა და თსუ-ის წესდებით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

თავი XI
სტუდენტი

მუხლი 45. მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტი

1. მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტი არის პირი, რომელიც „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონითა და თსუ-ის წესდებით განსაზღვრული წესით ჩაირიცხა და სწავლობს თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტზე ბაკალავრიატის, მაგისტრატურის ან დიპლომირებული სპეციალისტის, რეზიდენტურის, ასევე დოქტორანტურისა და სარეზიდენტო პროგრამის გასავლელად.

2. სტუდენტის უფლება-მოვალეობები განისაზღვრება თსუ-ის წესდებით.

3. სტუდენტის სტატუსის შეჩერება ან შეწყვეტა ხდება აკადემიური საბჭოს მიერ დადგენილი წესით.

მუხლი 46. მედიცინის ფაკულტეტზე სწავლება

1. ფაკულტეტზე სწავლების უფლება აქვთ მხოლოდ სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის მფლობელს ან მასთან გათანაბრებულ პირს.

2. ბაკალავრიატის/დიპლომირებული მედიკოსის / დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების საფეხურზე საქართველოს მოქალაქეებისათვის სტუდენტის სტატუსის მოპოვების საფუძველია ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგები, გარდა კანონმდებლობით განსაზღვრული შემთხვევებისა.

3. მედიცინის ფაკულტეტზე ჩარიცხვის წესი განისაზღვრება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, თსუ-ის წესდებითა და წინამდებარე დებულებით

4. სტუდენტთა სემესტრული რეგისტრაცია ხორციელდება ორ ეტაპად: ადმინისტრაციული – ბანკში სწავლის საფასურის გადახდით და აკადემიური (საგნობრივი) - „სასწავლო პროცესის მართვის სისტემის” საშუალებით

5. ბაკალავრიატის / დიპლომირებული მედიკოსის სწავლების საფეხურზე / დიპლომირებული სტომატოლოგის სწავლების საფეხურზე კრედიტების წლიური დასაშვები ოდენობა განისაზღვროს 65 კრედიტით (სემესტრში არაუმეტეს 30–35 კრედიტით);

6. საუნივერსიტეტო განათლების ცალკეული საფეხურის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება შესაბამისი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია. ბაკალავრის, დიპლომირებული მედიკოსის ან დიპლომირებული სტომატოლოგის აკადემიურ ხარისხს/დიპლომირებული სპეციალისტის კვალიფიკაციას დადგენილი წესის თანახმად, ანიჭებს უნივერსიტეტი შესაბამისი ფაკულტეტის წარდგინების საფუძველზე;

7. აკადემიურ ხარისხს ადასტურებს უნივერსიტეტის რექტორისა და ფაკულტეტის დეკანის მიერ ხელმოწერილი და უნივერსიტეტის ბეჭდით დამოწმებული დიპლომი, სტანდარტული დანართითურთ

8. მედიცინის ფაკულტეტის სასწავლო პროგრამა მიიღება ფაკულტეტის საბჭოს მიერ, რომელსაც ამტკიცებს უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო.

მუხლი 47. მედიცინის ფაკულტეტის მაგისტრატურაზე ჩარიცხვა

1. თსუ–ს მაგისტრატურაში სწავლის გაგრძელების უფლება აქვთ ბაკალავრის ხარისხის მქონე პირებს, დიპლომირებულ მედიკოსებსა და დიპლომირებულ სტომატოლოგებს, რომელთაც ჩაბარებული აქვთ საერთო სამაგისტრო გამოცდა, გარდა „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონითა და საქათველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი 227–ე ბრძანებით დამტკიცებული „სამაგისტრო გამოცდების ჩატარების დებულებით“ განსაზღვრული შემთხვევებისა.“(№82/2010 01.07.2010)

2. საზღვარგარეთის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული დოკუმენტების ფორმალური ცნობა (აღიარება) ხდება “უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 50-ე მუხლის შესაბამისად.

3. საბუთების მიღების ვადები ყოველ სემესტრში მტკიცდება თსუ-ს რექტორის ინდივიდუალურ ადმინისტაციული-სამართლებრივი აქტით.

4. საბუთების მიღებას ახორციელებს ფაკულტეტების მიმღები კომისიები, რომელებსაც ფაკულტეტების წარდგინების საფუძველზე ამტკიცებს თსუ რექტორი.

5. გამოცდა სპეციალობაში ტარდება წერილობითი სახით.

6. საგამოცდო ნამუშევრები ფასდება 100 ბალიანი სისტემით. გამოცდა ჩაბარებულად ითვლება, თუ კონკურსანტი მიიღებს დადებით შეფასებას (მინიმუმ 51%), თუ სამაგისტრო პროგრამით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

7. საკონკურსო გამოცდაზე უცხო ენაში დაიშვება ის კონკურსანტები, რომლებიც წარმატებით ჩააბარებენ გამოცდას სპეციალობაში.

8. უცხო ენათა ჩამონათვალი, რომელშიც ჩატარდება საკონკურსო გამოცდა და დადებითი შეფასებისთვის საჭირო დონე განისაზღვრება სამაგისტრო პროგრამით.

9. საგამოცდო ნამუშევრები ფასდება 100 ბალიანი სისტემით. უცხო ენის გამოცდა გამოცდა ჩაბარებულად ითვლება, თუ კონკურსანტი მიიღებს დადებით შეფასებას (მინიმუმ 51%), თუ სამაგისტრო პროგრამით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.“(№82/2010 01.07.2010)

10. უცხო ენის გამოცდიდან თავისუფლდება კონკურსანტი, რომელიც წარმოადგენს უცხო ენის ცოდნის დამადასტრებელ სერთიფიკატს (სერთიფიკატების ჩანონათვალი იხ. დანართის სახით), ან/და უცხოეთში არანაკლებ ერთი სემესტრის განმავლობაში სწავლის დამადასტურებელ საბუთს.

11. გამოცდების განრიგი მტკიცდება რექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით

12. კონკურსანტთა ჩარიცხვა მაგისტრატურაში ხორციელდება საკონკურსო ქულის საფუძველზე. საკონკურსო ქულა გამოითვლება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13. სწავლის ამ საფეხურის გავლის შემდეგ გაიცემა სათანადო დიპლომი სტანდარტული დანართით.

14. მედიცინის ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამა მიიღება ფაკულტეტის საბჭოს მიერ, რომელსაც ამტკიცებს უნივერისტეტის წარმომადგენლობითი საბჭო.

მუხლი 48. მედიცინის ფაკულტეტის დოქტორანტურაზე ჩარიცხვა

1. დოქტორანტურაში სწავლის უფლება აქვს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, აგრეთვე რეზიდენტურის კურსდამთავრებულს.

2. მედიცინის ფაკულტეტის დოქტორანტურაზე ჩარიცხვის წესი განისაზღვრება „უმაღლესი განათლების შესახე“ საქართველოს კანონით, თსუ-ის წესდებითა და წინამდებარე დებულებით.

3. კონკურსანტი, რომელიც დადგენილ ვადებში სრულად წარმოადგენს საბუთებს მიმღებ კომისიასთან, აკმაყოფილებს სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობებს დაიშვება საკონკურსო გამოცდაზე უცხო ენაში.

4. კონკურსანტი, რომელიც ქართულენოვან პროგრამაზე აპირებს სწავლას და მისი მშობლიური ენა არ არის ქართული, ჩააბარებს გამოცდას ქართულ ენაში.

5. უცხო ენის გამოცდაში დადებითი შეფასებისთვის საჭირო დონე განისაზღვრება სადოქტორო პროგრამით.

6. უცხო ენის გამოცდიდან თავისუფლდება კონკურსანტი, რომელიც წარმოადგენს უცხო ენის ცოდნის დამადასტრებელ სერთიფიკატს ან/და უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის დასრულების დამადასტურებელ დოკუმენტს.

7. კონკურსანტი, რომელიც წარმატებით ჩააბარებს გამოცდას უცხო ენაში დაიშვება გასაუბრებაზე.

8. კონკურსანტები, რომლებიც წარმატებით გაივლიან გასაუბრებას ჩაირიცხებიან დოქტორანტურაში

9. დოქტორანტურის დასრულებისა და დისერტაციის დაცვის შემთხვევაში დოქტორს ენიჭება დოქტორის აკადემიური ხარისხი.

10. სწავლის ამ საფეხურის გავლის შემდეგ გაიცემა სათანადო დიპლომი სტანდარტული დანართით.

11. მედიცინის ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამა მიიღება ფაკულტეტის საბჭოს მიერ, რომელსაც ამტკიცებს უნივერისტეტის წარმომადგენლობითი საბჭო.

მუხლი 49. მედიცინის ფაკულტეტის რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომისშემდგომ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა

1. საქართველოს მოქალაქეებისათვის თსუ-ის რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომისშემდგომ საგანმანათლებლო პროგრამებზე სპეციალობის მაძიებელის სტატუსის მოპოვების საფუძველია ერთიანი დიპლომისშემდგომი საკვალიფიკაციო გამოცდების შედეგები.

2. რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომისშემდგომ საგანმანათლებლო პროგრამებზე (პროფესიული მზადება) ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის - "რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომისშემდგომ განათლებაში (პროფესიულ მზადებაში) მონაწილეობის, მისი წარმართვის და შეფასების წესისა და იმ სამედიცინო დაწესებულებების ან/და სასწავლებლების აკრედიტაციის კრიტერიუმების და წესის დამტკიცების შესახებ, რომლებშიც შესაძლებელია დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) კურსის გავლა" – ბრძანების (№ 135/ნ. 08.04.2009 წ.) საფუძველზე და მის შესაბამისად, აკრედიტაციით მინიჭებული ლიმიტი/კვოტის მიხედვით.

3. კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს:

ა) უმაღლესი სამედიცინო საგანმანათლებლო დაწესებულების კურსდამთავრებულ დიპლომირებულ მედიკოსს და დიპლომირებულ სტომატოლოგს, რომელმაც დადგენილი წესის მიხედვით ჩააბარა ერთიანი დიპლომისშემდგომი საკვალიფიკაციო გამოცდა და მიიღო სპეციალობის მაძიებლის დამადასტურებელი მოწმობა ან/და შესაბამისი ცნობა.

ბ) სერტიფიცირებულ ექიმ-სპეციალისტს, რომელსაც სურს მოიპოვოს ახალ საექიმო სპეციალობაში დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლება

გ) პირს, რომელსაც უმაღლესი სამედიცინო განათლება მიღებული აქვს საზღვარგარეთ, მისი დიპლომი აღიარებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და აკმაყოფილებს

ამ მუხლის პირველი პუქტის „ა” ქვეპუნქტის მოთხოვნებს. (რექტორის ბრძანება №80/01-01 09.09.2010)

4. რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომისშემდგომ საგანმანათლებლო პროგრამებზე (პროფესიული მზადება) ჩარიცხვის ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტას, მათ შორის, საექიმო სპეციალობის მაძიებელთა კონსულტაციებს, განცხადებების მიღებას, საბუთების დადგენილ წესთან შესაბამისობის შემოწმებას უზრუნველყოფს თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტი. (რექტორის ბრძანება №80/01-01 09.09.2010)

5. რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომისშემდგომ საგანმანათლებლო პროგრამებზე (პროფესიული მზადება) საბუთების მიმღები კომისია მტკიცდება თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის დეკანის მიერ. (რექტორის ბრძანება №80/01-01 09.09.2010)

6. ჩარიცხვის პირობები განისაზღვრება წინამდებარე წესით. საექიმო სპეციალობის მიხედვით ვაკანტურ ადგილებზე ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროფესიული განვითარების საბჭოს მიერ მონიჭებული აკრედიტაციის საფუძველზე. (რექტორის ბრძანება №80/01-01 09.09.2010)

7. რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომისშემდგომ საგანმანათლებლო პროგრამებზე (პროფესიული მზადება) ჩარიცხვა წარმოებს გასაუბრების საფუძველზე. (რექტორის ბრძანება №80/01-01 09.09.2010)

8. საკონკურსო ვადების განსაზღვრა ხორციელდება თსუ-ის რექტორის ბრძანებით.

9. გასაუბრებას თითოეული პროგრამის ფარგლებში ატარებს რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომისშემდგომ საგანმანათლებლო პროგრამის (პროფესიული მზადება) ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილი და თსუ-ის მედიცინის ფაკულეტის დეკანის მიერ დამტკიცებული დარგობრივი კომისია. დარგობრივ კომისიას ხელმძღვანელობს პროგრამის ხელმძღვანელი. (რექტორის ბრძანება №80/01-01 09.09.2010)

10. გასაუბრება იწარმოებს შესაბამისი დარგის პროგრამის ფარგლებში, რომლის დროსაც მაძიებელმა უნდა გამოავლინოს პროფესიული ცოდნის დონე, ოპერატიული აზროვნება, კომუნიკაციის და სწორი გადაწყვეტილების მიღების უნარები. (რექტორის ბრძანება №80/01-01 09.09.2010)

11. პროგრამით გათვალისწინებული მოდულების წარმატებით დასრულების შემდეგ და შემაჯამებელი გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში სპეციალობის მაძიებელს ეძლევა დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) კურსის გავლის დამადასტურებელი სახელმწიფო მოწმობა. მოწმობას გასცემს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროფესიული განვითარების საბჭო.

მუხლი 50. დიპლომირებული მედიკოსის/დიპლომირებული სტომატოლოგის /ოკუპაციური თერაპიის ბაკალავრის პროგრამა

1. დიპლომირებული მედიკოსის პროგრამა არის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა. ხანგრძლივობა 6 წელის (12 სემესტრი). მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: დიპლომირებული მედიკოსი (□ედ□ ◆ □ ◆ ◆). პროგრამის მიზანია: სტუდენტებისათვის საერთაშორისო სამედიცინო სტანდარტების შესაბამისი ცოდნის მიცემა და უნარ-ჩვევების გამომუშავება. საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს სტუდენტებისათვის ცოდნის მიცემასა და უნარ-ჩვევების გამომუშავებას შემდეგი ძირითადი სფეროების მიხედვით: მედიცინის მეცნიერული საფუძვლები; კლინიკური ცოდნა და უნარ-ჩვევები;მოსახლეობის ჯანმრთელობა და ჯანდაცვის სისტემები; პროფესიული ფასეულობები, ქცევა და ეთიკა; კომუნიკაციის უნარ-ჩვევები; კრიტიკული აზროვნება და სამეცნიერო კვლევა; ინფორმაციის მართვა.

მედიცინის ფაკულტეტის კურსდამთავრებულის საბაზო უნარ-ჩვევებია: შესასწავლი დარგობრივი სფეროს მეთოდოლოგიისა და დარგობრივი ეთიკის ცოდნა; დარგობრივი სფეროს შესახებ არსებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი (გადაუდებელი სამედიცინო დახმარების გაწევის უნარი საბაზისო განათლების ცოდნიდან გამომდინარე კომპეტენციის ფარგლებში; ზედამხედველობის ქვეშ დიფერენციალური დიაგნოსტიკის ჩატარების უნარი, სამედიცინო პრობლემების განხილვისას მონაწილების მიღების უნარი; პაციენტის დაავადებასთან დაკავშირებული ფსიქოლოგიური და სოციალური პრობლემების შეფასების უნარი; მტკიცებულებებზე დამყარებული მედიცინის პრინციპების გამოყენების უნარი; ჯანდაცვის სისტემაში და საზოგადოებრივი ჯანდაცვის საკითხების გადაწყვეტის პროცესში მონაწილეობის უნარი; მედიკამენტების გამოწერის უნარი; შესაბამისი წამლის კლინიკურ კონტექსტთან დაკავშირების უნარი; მკურნალობის შესაბამისობის განხილვის, შეფასების და პოტენციური სარგებელისა და რისკის განსაზღვრის უნარი.) ანალიზისა და სინთეზის უნარი (კლინიკური აზროვნების და გადაწყვეტილების მიღების უნარი, პაციენტის მდგომარეობის შეფასების უნარი; კლინიკური პრეზენტაციების შეფასების უნარი, გამოკვლევის გეგმის შედგენის უნარი, დიფერენციალური დიაგნოზის გატარების, დაავადების მართვის პრინციპების გააზრების უნარი). პრობლემის გადაჭრა/ გადაწყვეტილების მიღება (აქვს სამედიცინო პრობლემის იდენტიფიცირების და მისი გადაჭრის გზების განსაზღვრის უნარი); დროის დაგეგვმისა და ორგანიზების უნარი (შეუძლია სამუშაოს გეგმის შედგენა, მისი მოცულობის განსაზღვრა, პრიორიტეტების გამოყოფა, მუშაობის პროცესში საჭირო რესურსების უზრუნველყოფა და გამოყენება); კომუნიკაცია მშობლიურ ენაზე (შეუძლია დისკუსიაში პროფესიულ დონეზე მონაწილეობა და დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება; აქვს პაციენტთან, მის ოჯახის წევრებთან და კოლეგებთან კომუნიკაციის უნარი; წერილობით კომუნიკაციის უნარი (სამედიცინო ჩანაწერების წარმოების უნარი); ციფრული კომპეტენცია (იცნობს და იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს მათ შორის დარგობრივ სფეროში; შეუძლია ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების დამოუკიდებლად ათვისება; აქვს კომპიუტერის მოხმარების უნარი, გასაგები და სრული კლინიკური ჩანაწერების და ინფორმაციის შენახვის და გამოყენების უნარი); □ ჯგუფური მუშაობა: ინტერდისციპლინარულ ჯგუფში მუშაობის უნარი (შეუძლია ჯგუფში ეფექტური მუშაობა როგორც წევრს. შეუძლია პროფესიულ კონტექსტში მოლაპარაკება და კონფლიქტების მოგვარებაში მონაწილეობა); სწავლის უნარი (შეუძლია საკუთარი სწავლის მართვა რესურსების ფართო სპექტრის გამოყენებით; შეუძლია საკუთარი სწავლის შეფასება და შემდგომი სწავლის საჭიროების განსაზღვრა). კვლევის უნარი (სამედიცინო პრაქტიკაში ახალი სამეცნიერო კვლევის შედეგების ანალიზის და გადმოცემის უნარი; კვლევების შედეგების, მეთოდების და ცოდნის გამოყენების უნარი; პრაქტიკული ლაბორატორიული კვლევის ჩატარების უნარი (კომპეტენციის ფარგლებში)); პროექტის შემუშავების უნარი (შეუძლია პროექტის ცალკეული კომპონენტების შემუშავების უნარი); დამოუკიდებლად მუშაობის უნარი (პასუხს აგებს საკუთარ სამუშაოზე და შეუძლია მისი შეფასება/კრიტიკა. შეუძლია მუშაობა მინიმალური ხელმძღვანელობის პირობებში წინასწარ შეთანხმებული რეკომენდაციების/ინსტრუქციების შესაბამისად). დასაქმების სფეროები: პრაქტიკული მოღვაწეობა – უმცროსი ექიმი; პედაგოგიური და სამეცნიერო მოღვაწეობა; თეორიულ მედიცინაში მოღვაწეობა; წინაპირობა დოქტორანტურაში ჩასაბარებლად; წინაპირობა რეზიდენტურაში ჩასაბარებლად;

2. დიპლომირებული მედიკოსის პროგრამა არის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა. ხანგრძლივობა 5 წელი (10 სემესტრი). მისანიჭებული აკადემიური ხარისხი: დიპლომირებული სტომატოლოგი □□-ცტროფ□ენტ□ლ□ედ□ნე (□□.□). მიზანი: ერთსაფეხურიანი ე.წ. დიპლომირებული სპეციალისტის საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტებისათვის საერთაშორისო სამედიცინო სტანდარტების შესაბამისი ცოდნის მიცემა და უნარ-ჩვევების

გამომუშავება. საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს სტუდენტებისათვის ცოდნის მიცემასა და უნარ-ჩვევების გამომუშავებას შემდეგი ძირითადი სფეროების მიხედვით: სტომატოლოგიის დარგის მეცნიერული საფუძვლები; კლინიკური ცოდნა და უნარ-ჩვევები სტომატოლოგიაში; მოსახლეობის ჯანმრთელობა და ჯანდაცვის სისტემები; პროფესიული ფასეულობები, ქცევა და ეთიკა; კომუნიკაციის უნარ-ჩვევები; კრიტიკული აზროვნება და სამეცნიერო კვლევა; ინფორმაციის მართვა. მედიცინის ფაკულტეტის კურსდამთავრებულის საბაზო უნარ-ჩვევებია: შესასწავლი დარგობრივი სფეროს მეთოდოლოგიისა და დარგობრივი ეთიკის ცოდნა (გააჩნია დარგობრივი სფეროს უახლეს კვლევებზე და მტკიცებულებებზე დაფუძნებული სისტემური ცოდნა; იცნობს სამედიცინო ეთიკისა და სამართლის პრინციპებს; აცნობიერებს მედიცინისათვის სპეციფიკურ ეთიკურ პრობლემებს და შეუძლია ეთიკური დილემის გადაჭრა); დარგობრივი სფეროს (სტომატოლოგიის) შესახებ არსებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი (გადაუდებელი სტომატოლოგიური შემთხვევების დროს პირველადი დახმარების გაწევის უნარი, საერთაშორისო გაიდლაინების შესაბამისი ბაზისური პირველადი სტომატოლოგიური დახმარების ჩატარების უნარი, ზედამხედველობის ქვეშ დიფერენციალური დიაგნოსტიკის ჩატარების უნარი, სამედიცინო პრობლემების განხილვისას მონაწილების მიღების უნარი; კლინიკური აზროვნების და გადაწყვეტილების მიღების უნარი, პაციენტის დაავადებასთან დაკავშირებული ფსიქოლოგიური და სოციალური პრობლემების შეფასების უნარი; მტკიცებულებებზე დამყარებული მედიცინის პრინციპების გამოყენების უნარი; ჯანდაცვის სისტემაში და საზოგადოებრივი ჯანდაცვის საკითხების გადაწყვეტის პროცესში მონაწილეობის უნარი; მედიკამენტების გამოწერის უნარი; შესაბამისი წამლის კლინიკურ კონტექსტთან დაკავშირების უნარი; მკურნალობის შესაბამისობის განხილვის, შეფასების და პოტენციური სარგებელისა და რისკის განსაზღვრის უნარი). ანალიზისა და სინთეზის უნარი (კლინიკური აზროვნების და გადაწყვეტილების მიღების უნარი, პაციენტის მდგომარეობის შეფასების უნარი; კლინიკური პრეზენტაციების შეფასების უნარი, გამოკვლევის გეგმის შედგენის უნარი, დიფერენციალური დიაგნოზის გატარების, დაავადების მართვის პრინციპების გააზრების და განხილვის უნარი, პროფესიული შეფასებების მიღებისა და განხორციელების უნარი). პრობლემის გადაჭრა/გადაწყვეტილების მიღება (აქვს სამედიცინო პრობლემის იდენტიფიცირების და მისი გადაჭრის გზების განსაზღვრის უნარი); დროის დაგეგვმისა და ორგანიზების უნარი (შეუძლია სამუშაოს გეგმის შედგენა, მისი მოცულობის განსაზღვრა, პრიორიტეტების გამოყოფა, მუშაობის პროცესში საჭირო რესურსების უზრუნველყოფა და გამოყენება); კომუნიკაცია მშობლიურ ენაზე (შეუძლია დისკუსიაში პროფესიულ დონეზე მონაწილეობა და დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება; აქვს პაციენტთან, მის ოჯახის წევრებთან და კოლეგებთან კომუნიკაციის უნარი; წერილობით კომუნიკაციის უნარი (სამედიცინო ჩანაწერების წარმოების უნარი); ციფრული კომპეტენცია (იცნობს და იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს მათ შორის დარგობრივ სფეროში; შეუძლია ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების დამოუკიდებლად ათვისება; აქვს კომპიუტერის მოხმარების უნარი, გასაგები და სრული კლინიკური ჩანაწერების და ინფორმაციის შენახვის და გამოყენების უნარი); ჯგუფური მუშაობა: ინტერდისციპლინარულ ჯგუფში მუშაობის უნარი (შეუძლია ჯგუფში ეფექტური მუშაობა როგორც წევრს. შეუძლია პროფესიულ კონტექსტში მოლაპარაკება და კონფლიქტების მოგვარებაში მონაწილეობა); სწავლის უნარი (შეუძლია საკუთარი სწავლის მართვა რესურსების ფართო სპექტრის გამოყენებით; შეუძლია საკუთარი სწავლის შეფასება და შემდგომი სწავლის საჭიროების განსაზღვრა). კვლევის უნარი (სამედიცინო პრაქტიკაში ახალი სამეცნიერო კვლევის შედეგების ანალიზის და გადმოცემის უნარი; სამედიცინო პრაქტიკაში სამეცნიერო პრინციპების გამოყენების უნარი, კრიტიკული ახროვნების უნარი, კვლევების შედეგების, მეთოდების და ცოდნის გამოყენების უნარი; პრაქტიკლი ლაბორატორიული კვლევითი

პროცედურების განხორციელების უნარი (კომპეტენციის ფარგლებში); პროექტის შემუშავების უნარი (შეუძლია პროექტის ცალკეული კომპონენტების შემუშავების უნარი); დამოუკიდებლად მუშაობის უნარი (პასუხს აგებს საკუთარ სამუშაოზე და შეუძლია მისი შეფასება/კრიტიკა. შეუძლია მუშაობა მინიმალური ხელმძღვანელობის პირობებში წინასწარ შეთანხმებული რეკომენდაციების /ინსტრუქციების შესაბამისად).

3. ოკუპაციური თერაპიის საბაკალავრო პროგრამა. სწავლების საფეხური: პირველი მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: მედიცინის ბაკალავრი (□ცჰელორ□ოფ□ედიცინე) სწავლების ვადა: 4 წელი (8 სემესტრი)

მიზანი: საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტებისათვის საერთაშორისო სტანარტების შესაბამისი ცოდნის მიცემა და ინარ-ჩვევების გამომუშავება ოკუპაციურ თერაპიაში. საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულის საბაზო უნარ-ჩვევებია: ოკუპაციური თერაპიის საფუძვლადმდებარე თეორიული ცნებების ახსნა, განსაკუთრებით ადამიანების ოკუპაციურ ბუნებასთან და ოკუპაციურ ქმედებასთან მიმართებაში. ოკუპაციური ქმედების, ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის ცნებებს შორის მიმართების ახსნა. ბიოლოგიური, სამედიცინო, ჰუმანიტარული, ფსიქოლოგიური, სოციალური, ტექნიკური, და ოკუპაციური მეცნიერებებიდან საჭირო ცოდნის გამოყენება თანამონაწილეობასთან და "ოკუპაციასთან" დაკავშირებულ თეორიებთან ერთიანობაში. ფორმალური თეორიებისა და კვლევის შედეგების გამოყენების სირთულის გაანალიზება ოკუპაციასთან მიმართებაში ცვალებადი საზოგადოების პირობებში. ოკუპაციურ თერაპიასთან დაკავშირებით სხვებთან რაციონალურ და საინტერესო დისკუსიებში ჩაბმა. ოკუპაციური თერაპიის პროცესი და პროფესიული აზროვნება. ინდივიდებთან/პოპულაციებთან პარტნიორული მუშაობა ოკუპაციის გამოყენებით პრევენციის, რეაბილიტაციის და მკურნალობისას, რათა ხელი შეეწყოს თანამონაწილეობას, ჯანმთელობას და კეთილდღეობას. ინდივიდების/პოპულაციების ოკუპაციური და ჯანმრთელობის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად შესაბამისი თეორიების, პრაქტიკის მოდელებისა და მეთოდების შერჩევა, შეცვლა და გამოყენება. ოკუპაციურ თერაპიულ პროცესში პროფესიონალური და ეთიკური განსჯის უნარის ეფექტური გამოყენება. აქტივობის ანალიზის, ოკუპაციის ანალიზის და სინთეზის მეთოდის გზით ოკუპაციის თერაპიული პოტენციალის უტილიზაცია. ოკუპაციურ თერაპიული პროცესის გამოიყენება და ადაპტაცია ინდივიდებთან/პოპულაციებთან თანამშრომლობის საფუძველზე. იმუშაოს მისაწვდომი და ადაპტური გარემო პირობების უზრუნველსაყოფად, ოკუპაციური სამართლიანობის მისაღწევად. ითანამშრომლოს თემთან მისი წევრებისათვის ჯანმრთელობის დაცვის და კეთილდღეობის მიღწევის მიზნით, ოკუპაციაში თანამონაწილეობის გზით. აქტიურად მოიძიოს, კრიტიკულად შეაფასოს და გამოიყენოს ინფორმაციის სხვადასხვა წყარო და მტკიცებულება, რათა ოკუპაციური თერაპიის პრაქტიკა იყოს თანამედროვე და კლიენტისთვის შესაფერისი. კრიტიკულად შეაფასოს ოკუპაციური თერაპიის პრაქტიკა, რათა დარწმუნდეს, რომ აქცენტი ოკუპაციაზე და ოკუპაციურ ქმედებაზეა გაკეთებული. პროფესიული ურთიერთობები და პარტნიორობა იმუშაოს კლიენტზე-ცენტრირებული პრაქტიკის პრინციპების დაცვით. დაამყაროს თერაპიული ურთიერთობა/პარტნიორობა, როგორც საფუძველი ოკუპაციური თერაპიის პროცესისა. დაამყაროს და შეინარჩუნოს თანამშრომლობითი პარტნიორობა, გაუწიოს კონსულტირება და მისცეს რჩევები კლიენტებს, მომვლელებს, მულტიდისციპლინური გუნდის წევრებს და სხვა დაინტერესებულ პირებს ოკუპაციური გაძლიერებისა და სხვადასხვა კონტექსტში თანამონაწილეობის შესახებ. კლიენტთან თანამშრომლობის საფუძველზე მოახდინოს მათი უფლებების დაცვა, რათა მათი ოკუპაციური საჭიროებები იქნეს დაკმაყოფილებული. პატივი სცეს, დააფასოს ინდივიდუალური თავისებურებები, კულტურული შეხედულებები და ადათწესები, გაითვალოსწინოს მათი ზეგავლენა ოკუპაციაზე და

თანამონაწილეობაზე. პროფესიული ავტონომია და პასუხისმგებლობა. მოამზადოს, აწარმოოს და განაახლოს ოკუპაციურ თერაპიული პროცესის დოკუმენტაცია. დაემორჩილოს ადგილობრივ/რეგიონალურ/ნაციონალურ/ევროპულ კანონებსა და წესებს, პროფესიულ სტანდარტებს და დამქირავებლის მოთხოვნებს. გამოამჟღავნოს უწყვეტი განათლებისკენ სწრაფვა ოკუპაციურ თერაპიული პრაქტიკის გაუმჯობესების მიზნით. იმუშაოს ეთიკის დაცვით, პატივისცემით მოეპყრას კლიენტს და გაითვალისწინოს ოკუპაციურ თერაპევტთა პროფესიული ეთიკის კოდექსი. გამოავლინოს საკუთარი თავის, როგორც ოკუპაციური თერაპევტის, მართვის, შესაძლებლობების ცოდნის და სისუსტეების იდენტიფიცირების უნარი. კვლევა და განვითარება ოკუპაციურ თერაპიაში/მეცნიერებაში გამოავლინოს ოკუპაციურ ქმედებასთან, ოკუპაციურ თერაპიასთან ან/და ოკუპაციურ მეცნიერებასთან დაკავშირებული საკითხების კვლევის საჭიროება, მოახდინოს შესაბამისი საკვლევი საკითხების ფორმულირება. ოკუპაციური თერაპიის სამეცნიერო ლიტერატურის და სხვა შესაბამისი ინფორმაციის დამოუკიდებელად მოძიების, კრიტიკული შეფასების და შეჯერების უნარი. ოკუპაციურ თერაპიაში კვლევის დიზაინისა და მეთოდოლოგიის ცოდნა, შერჩევა და დაცვა ეთიკური ასპექტების გათვალისწინებით. მოახდინოს ოკუპაციურ თერაპიაში კვლევის შედეგების ინტერპრეტაცია, ანალიზი, სინთეზი და კრიტიკული შეფასება. განავითაროს ცოდნა ოკუპაციისა და ოკუპაციური თერაპიის პრაქტიკის შესახებ, განსაკუთრებით ადგილობრივ და/ან თანამედროვე ჯანმრთელობისა და სოციალურ ცვლილებებთან მიმართებაში. გაავრცელოს შედეგები დაინტერესებულ მხარეებს შორის ოკუპაციური თერაპიის მენეჯმენტის და განვითარების ხელშეწყობა. განსაზღვროს და პრიორიტეტიზაცია მოახდინოს ოკუპაციური თერაპიის სერვისის. ჰქონდეს ცოდნა და იყენებდეს ოკუპაციური თერაპიის სერვისის მენეჯმენტის პრინციპებს, რომელიც გულისხმობს ფინანსების სწორ გათვლას, რესურსების და ტექნიკის მართვას, პროტოკოლების შედგენას. ჩართული იყოს ოკუპაციური თერაპიის სერვისის ხარისხის შეფასებისა და გაუმჯობესების უწყვეტ პროცესში; ჩართოს ამ პროცესში კლიენტები შესაძლებლობების ფარგლებში და შედეგები აცნობოს დაინტერესებულ პირებს/დამკვეთებს. იყოს პრო-აქტიური ოკუპაციური თერაპიის განვითრების, გაუმჯობესების და გავრცელების საქმეში. ფლობდეს და ითვალისწინებდეს ინფორმაციას ჯანმთელობის და ოციალური უზრუნველყოფის, საზოგადოების და კანონმდებლობის განვითარების პროცესებზე, როგორც საერთაშორისო, ისე ნაციონალურ და ადგილობრივ დონეებზე, რაც გავლენას ახდენს ოკუპაციური თერაპიის სერვისზე. დასაქმების სფეროები: სფერო, რომელშიც უწევს მუშაობა ოკუპაციურ თერაპევტს ყალიბდება იმ დაწესებულების ან დამქირავებლის მოთხოვნათა შესაბამისად, სადაც ის მუშაობს. ესენია: ნაადრევად დაბადებული ბავშვების ხელშეწყობა (ზრდასა და განვითარებაში) ანუ ადრეული ინტერვენცია; გამომწვევი ქცევის მქონე ფიზიკური ან გონებრივი უნარშეზღუდულობის მქონე სკოლამდელი და სასკოლო ასაკის ბავშვებისათვის სასწავლო გარემოს გაუმჯობესება; საშინაო პირობების ადაპტირება იმ პირთათვის, რომელთაც გადაიტანეს ინსულტი, აქვთ შეზღუდული მხედველობა ან დემენცია; პოსტტრავმულ პერიოდში მყოფი კლიენტებისათვის სამუშაო დავალების მოთხოვნათა ანალიზი; სხვადასხვა აღჭურვილობის (ხელსაწყოების, მოწყობილობების, დამხმარე საშუალებების) დაგეგმვა, შექმნა და ინსტრუქციების მიცემა სწორად გამოყენებისათვის; კვლევების ჩატარება სამკურნალო აქტივობების ეფექტურობის გასაზომად. გაწეული დახმარების მრავალფეროვნება და ცვლილებების ფართე შესაძლებლობები განაპირობებს სამუშაოს დიდ მაშტაბს. ოკუპაციური თერაპევტები მუშაობენ სკოლებში, რეაბილიტაციის ცენტრებში, ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრებში, მოხუცებულთა სახლებში, სამედიცინო კლინიკებში და ბინაზე პაციენტთა პატრონაჟის სააგენტოებში.

მუხლი 51. მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტური თვითმმართველობა

1. მედიცინის ფაკლუტეტის სტუდენტური თვითმმართველობა შედგება მედიცინის ფაკულტეტზე საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით არჩეული სტუდენტებისაგან.

2. მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტური თვითმმართველობის უფლება-მოვალეობები განისაზღვრება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, თსუ-ის წესდებითა და თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის დებულებით.

თავი XII
ფაკულტეტის ბიუჯეტი და ფინანსები

მუხლი 52. ფაკულტეტის ბიუჯეტი

1. მედიცინის ფაკულტეტის ბიუჯეტი წარმოადგენს თსუ-ის ბიუჯეტის შემადგენელ ნაწილს.

2. თსუ-ის წესდებით დადგენილი წესით, ფაკულტეტი მონაწილეობს უნივერსიტეტის ბიუჯეტის შემუშავების პროცესში.

მუხლი 53. ფაკულტეტის ფინანსები

ფაკულტეტი მის მიერ მოზიდული ფინანსებისა და მის მფლობელობაში არსებული ქონების ფლობასა და სარგებლობასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხს წყვეტს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანხმობით.

თავი XIII
ფაკულტეტის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა

მუხლი 54. ფაკულტეტის დებულების მიღების, გაუქმების, მასში ცვლილებისა და დამატების შეტანის წესი

1. ფაკულტეტის სტრუქტურასა და დებულებას შეიმუშავებს ფაკულტეტის საბჭო და ამტკიცებს თსუ-ის წარმომადგენლობით საბჭო.

2. ფაკულტეტის დებულების მიღება, გაუქმება, მასში ცვლილებისა და დამატების შეტანა ხორციელდება ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული წესით.

თავი XIV
გარდამავალი და დასკვნითი დებულებები

მუხლი 55. დებულების მიღება და ამოქმედება

1. დებულების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს მედიცინის ფაკულტეტის დროებითი დებულება.

2. დებულება ამოქმედდეს თსუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დამტკიცებისთანავე.

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის ოქმი №37, დანართი 7.

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულება

თავი I
ზოგადი დებულებები

მუხლი 1. ფაკულტეტის სტატუსი

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში „უნივერსიტეტი“) სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი (შემდგომში „ფაკულტეტი“) წარმოადგენს უნივერსიტეტის ძირითად სასწავლო-სამეცნიერო და ადმინისტრაციულ ერთეულს, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტთა მომზადებას ერთ ან რამდენიმე სპეციალობაში და მათთვის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებას.

2. ფაკულტეტი ვალდებულია, შეუქმნას სტუდენტს პირობები სწავლისა და დამოუკიდებელი კვლევისათვის, უზრუნველყოს თანამედროვე სტანდარტების შესატყვისი, მომავალზე ორიენტირებული განათლების მიღების შესაძლებლობა და მუდმივად იზრუნოს სასწავლო პირობების გაუმჯობესებაზე.

3. ფაკულტეტის სამართლებრივი სტატუსი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით, თსუ წესდებითა და წინამდებარე დებულებით.

თავი II
ფაკულტეტის სტრუქტურა და მართვა

მუხლი 2. ფაკულტეტის სტრუქტურა

1. წინამდებარე დებულება განსაზღვრავს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტრუქტურას, მისი სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის წესსა და უფლება-მოვალეობებს.

2 სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი შედგება საფაკულტეტო მნიშვნელობის საგანმანათლებლო, საგანმანათლებლო-სამეცნიერო, სამეცნიერო-კვლევითი და დამხმარე სტრუქტურული ერთეულებისაგან.

3. საგანმანათლებლო-სამეცნიერო, სამეცნიერო-კვლევითი სტრუქტურულ ერთეულებს წარმოადგენს პროგრამული მიმართულებები და სამეცნიერო – ინსტიტუტები.

4. საგანმანათლებლო–სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულებია:

ა) პოლიტიკური მეცნიერების მიმართულება

ბ) ჟურნალისტიკის მიმართულება

გ) საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულება

დ) საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულება

ე) სოციოლოგიის მიმართულება

ვ) ფსიქოლოგიის მიმართულება

ზ) სოციალური მუშაობის მიმართულება

5. ფაკულტეტის სტრუქტურულ ერთეულებს შორის კონფლიქტის წარმოშობის შემთხვევაში ფაკულტეტის დეკანი ამზადებს მარეგულირებელ დოკუმენტს უფლებამოსილებათა გამიჯვნის შესახებ, რომელსაც ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო.
ასეთი დოკუმენტის არარსებობისას საკითხს წყვეტს დეკანი.

მუხლი 3. სტრუქტურული ორგანოების შექმნისა და გაუქმების წესი

უნივერსიტეტის წესდების მიხედვით-გადაწყვეტილებას საფაკულტეტო მნიშვნელობის ახალი ერთეულების შექმნის ან არსებული ერთეულების გაუქმების შესახებ შეიმუშავებს ფაკულტეტის საბჭო და დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს.

მუხლი 4. მართვის ორგანოები

ფაკულტეტის მართვის ორგანოებია – ფაკულტეტის საბჭო, დეკანი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

თავი III
ფაკულტეტის საბჭო

მუხლი 5. ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობა

1. ფაკულტეტის წარმომადგენლობითი ორგანოა ფაკულტეტის საბჭო, რომლის ფორმირების წესი განისაზღვრება თსუ–ის წესდებით
2. ფაკულტეტის საბჭოში სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენელთა რაოდენობა განისაზღვრება საბჭოს შემადგენლობის 1/4-ით.

მუხლი 6. ფაკულტეტის საბჭოს უფლებამოსილებები

ფაკულტეტის საბჭო:

ა) განსაზღვრავს და ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წარუდგენს ფაკულტეტის ბიუჯეტს;

ბ) თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს ფაკულტეტის დეკანს;

გ) დეკანის წარდგინებით შეიმუშავებს და უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს ფაკულტეტის განვითარების სტრატეგიულ გეგმას, საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით პროგრამებს;

დ) დეკანის წარდგინებით შეიმუშავებს ფაკულტეტის სტრუქტურასა და დებულებას და დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს;

ე) შეიმუშავებს სადისერტაციო საბჭოს დებულებას და დასამტკიცებლად წარუდგენს აკადემიურ საბჭოს;

ვ)ირჩევს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს;

ზ) უფლებამოსილია, დეკანის მიერ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის, დეკანისათვის დაკისრებული მოვალეობების არასათანადოდ შესრულების ან/და დეკანისათვის შეუფერებელი საქმიანობის განხორციელების საფუძველზე, ფაკულტეტის საბჭოს წევრების არანაკლებ 1/3-ის მოთხოვნით განიხილოს დეკანის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხი. გადაწყვეტილება დეკანის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე მიიღება ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით. დეკანი ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ კენჭისყრებში არ მონაწილეობს. ამ საკითხებზე მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრება არ იწვევს სადავო აქტის მოქმედების შეჩერებას;

თ) ახორციელებს წინამდებარე დებულებით, უნივერსიტეტის წესდებითა და საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

მუხლი 7. ქვორუმი

ფაკულტეტის საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მას ესწრება სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

მუხლი 8. გადაწყვეტილების მიღების წესი

1. თუ ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით ან უნივერსიტეტის წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს სხდომის დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტი.

2. ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე კენჭისყრა არის ღია, გარდა „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით და უნივერსიტეტის წესდებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

თავი IV
ფაკულტეტის დეკანი

მუხლი 9. ფაკულტეტის დეკანის სტატუსი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერიბათა ფაკულტეტს ხელმძღვანელობს და მესამე პირებთან ურთიერთობებში წარმოადგენს ფაკულტეტის დეკანი.

მუხლი 10. დეკანის უფლებამოსილებები

1. ფაკულტეტის დეკანი:

ა) უზრუნველყოფს ფაკულტეტზე სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობის ეფექტიანად მიმდინარეობას;

ბ) ფაკულტეტის საბჭოს განსახილველად წარუდგენს ფაკულტეტის განვითარების გეგმას, საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით პროგრამებს;

გ) შეიმუშავებს და ფაკულტეტის საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს ფაკულტეტის სტრუქტურასა და დებულებას;

დ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში პასუხისმგებელია წარმომადგენლობითი საბჭოს, აკადემიური საბჭოსა და ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებების შესრულებაზე;

ე) თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტებს;

ვ) თავმჯდომარეობს ფაკულტეტის საბჭოს სხდომებს;

ზ) პასუხისმგებელია ფაკულტეტის ბიუჯეტის მიზნობრივ გამოყენებაზე;

თ) ახორციელებს წინამდებარე დებულებით, უნივერსიტეტის წესდებითა და საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

მუხლი 11. ფაკულტეტის დეკანის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა

ა) დეკანის მიერ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის, დეკანისათვის დაკისრებული მოვალეობების არასათანადოდ შესრულების ან/და დეკანისათვის შეუფერებელი საქმიანობის განხორციელების საფუძველზე, ფაკულტეტის საბჭოს წევრების არანაკლებ 1/3-ს შეუძლია მოითხოვოს დეკანის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა. გადაწყვეტილება დეკანის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე მიიღება ფარული კენჭისყრით, ფაკულტეტის საბჭოს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.

მუხლი 12. დეკანის მოადგილეები

დეკანს ჰყავს მოადგილეები:

ა) დეკანის მოადგილეები ხელმძღვანელობენ ფაკულტეტის საქმიანობას და კოორდინაციას უწევენ სტრუქტურული ერთეულების ურთიერთობებს დეკანის არყოფნის დროს.

ბ) დეკანის მოადგილეები ორგანიზებას უწევენ სწავლების ყველა საფეხურის სასწავლო–სამეცნიერო მუშაობას.

გ) ორგანიზებას უწევენ ფაკულტეტის ფუნდამენტური, გამოყენებითი და ინოვაციური სამეცნიერო–კვლევითი პრიორიტეტების განსაზღვრას.

დ) ხელს უწყობენ ფაკულტეტის ჩართულობას ქართული და უცხოური უნივერსიტეტებთან, სამეცნიერო ცენტრებთან და ფონდებთან სამეცნიერო–კვლევითი საქმიანობის დამყარებასა და კოორდინაციას.

ე) კოორდინაციას უწევენ აკადემიურ პერსონალს, სასწავლო და სამეცნიერო გეგმების შემუშავებაში.

ვ) ხელმძღვანელობენ სტუდენტთა მობილობისა და მაგისტრატურაში მისაღები გამოცდების ჩატარებას.

ზ) ხელს უწყობენ სასწავლო–სამეცნიერო, საცნობარო მასალებისა და გზამკვლევების შემუშავება–გამოცემას.
თ) ხელმძღვანელობენ დეკანის შესაბამისი აქტით მათ დაქვემდებარებაში გადაცემული ფაკულტეტის სტრუქტურული ერთეულების საქმიანობას.
ი) ასრულებენ დეკანისა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სხვა დავალებებს.

თავი V
ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

მუხლი 13. სტატუსი

1. ფაკულტეტზე სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის, აგრეთვე მისი აკადემიური პროფესიული განვითარების ხარისხის სისტემატური შეფასების მიზნით იქმნება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც მოქმედებს ფაკულტეტის დებულების შესაბამისად.
2. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელი შეიძლება იყოს ფაკულტეტის საბჭოს წევრი ასოცირებული ან სრული პროფესორი.

მუხლი 14. უფლებამოსილება

1. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ამყარებს მჭიდრო კავშირს და თანამშრომლობს საზღვარგარეთის ქვეყნებისა და მათი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამის სამსახურებთან ხარისხის კონტროლის გამჭვირვალე კრიტერიუმებისა და მათი უზრუნველყოფის მეთოდოლოგიის ჩამოსაყალიბებლად.
2. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ხელს უწყობს სწავლების ხარისხის მაღალი დონის უზრუნველყოფას სწავლის, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების (მოდულები, საკრედიტო სისტემა და ა.შ.) გამოყენების გზით და აკრედიტაციის პროცესისათვის თვითშეფასების მომზადებას.
3. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური წარმოადგენს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ერთიანი საუნივერსიტეტო სისტემის ნაწილს.

თავი VI
დამხმარე სტრუქტურული ერთეულები

მუხლი 15. დამხმარე სტრუქტურული ერთეულები

1. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნირებათა ფაკულტეტის დამხმარე სტრუქტურული ერთეულებია:

1) კანცელარია
2) საწავლო პროცესის მართვის სამსახური

3) სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახური
4) რესურსების მართვის სამსახური
5) ბიბლიოთეკა
6) ლაბორატორია

თავი VII
სადისერტაციო საბჭო

მუხლი 16. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს სტატუსი

სადისერტაციო საბჭო არის დოქტორის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი ორგანო, რომელიც იქმნება ფაკულტეტზე.

მუხლი 17. სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობა

1. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს შედგენისა და მისი თავმჯდომარის არჩევის წესი განისაზღვრება ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული დებულებით.
2. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო შედგება დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე ფაკულტეტის ყველა სრული და ასოცირებული პროფესორისაგან.

მუხლი 18. საქმიანობის წესი

სადისერტაციო საბჭო მოქმედებს და დოქტორის აკადემიურ ხარისხს მეცნიერების დარგებში ანიჭებს აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული დებულების შესაბამისად.

თავი VIII
პერსონალი

მუხლი 19. პერსონალის შემადგენლობა

ფაკულტეტის პერსონალი შედგება აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალისაგან.

მუხლი 20. აკადემიური პერსონალი

1. ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი შედგება პროფესორებისაგან.
2. პროფესორების შემადგენლობას მიეკუთვნება სრული პროფესორი, ასოცირებული პროფესორი და ასისტენტ-პროფესორი.
3. პროფესორები მონაწილეობენ ან/და წარმართავენ სასწავლო პროცესსა და მეცნიერულ კვლევებს.
4. პროფესორის პედაგოგიური დატვირთვის ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს აკადემიური საბჭო და ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო.

5. აკადემიურ პერსონალთან შრომითი ხელშეკრულება იდება აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესით განსაზღვრული ვადით.

6. აკადემიური თანამდებობის დაკავების წესი და პირობები, თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძვლები, ასევე აკადემიური პერსონალის უფლება-მოვალეობები განისაზღვრება "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით, უნივერსიტეტის წესდებით, უნივერსიტეტში მოქმედი რეგულაციებითა და შრომითი ხელშეკრულებით.

მუხლი 21. ადმინისტრაციული პერსონალი

1. ფაკულტეტის ადმინისტრაციულ პერსონალს მიეკუთვნებიან: დეკანი, დეკანის მოადგილე/მოადგილეები (ასეთის/ასეთების არსებობის შემთხვევაში) და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

2. ადმინისტრაციული თანამდებობის დაკავების წესები და პირობები განისაზღვრება წინამდებარე დებულებით და უნივერსიტეტის წესდებით, უნივერსიტეტის მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტებითა და საქართველოს კანონმდებლობით.

3. ფაკულტეტის ადმინისტრაციული თანამდებობის პირის ვადამდე განთავისუფლების საფუძვლებია:

ა) პირადი სურვილი;

ბ) სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა;

გ) გარდაცვალება;

დ) სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ ან შეზღუდულქმედუნარიანად აღიარება;

ე) 65 წლის ასაკის მიღწევა;

ვ) საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის წესდებით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

მუხლი 22. დამხმარე პერსონალი

1. დამხმარე პერსონალს მიეკუთვნება საშტატო ნუსხით გათვალისწინებული უნივერსიტეტის საქმიანობისთვის აუცილებელი სხვა პირები.

2. დამხმარე პერსონალს მიეკუთვნება დეკანის თანაშემწე, რომელიც :

ა) ეხმარება დეკანს მისი საქმიანობის ეფექტურად განხორციელებაში

ბ) გეგმავს დეკანის შეხვედრებს, აკეთებს შეხვედრების ჩანაწერებს

გ) კოორდინაციას უწევს დეკანთან სტუდენტების, აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის ურთიერთობას.

თავი IX
სტუდენტი

მუხლი 23. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი

1. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი არის პირი, რომელიც „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონითა და თსუ-ის წესდებით განსაზღვრული წესით ჩაირიცხა და სწავლობს თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ბაკალავრიატის, მაგისტრატურის ან დიპლომირებული სპეციალისტის, ასევე დოქტორანტურის პროგრამის გასავლელად.

2. სტუდენტის უფლება-მოვალეობები განისაზღვრება უნივერსიტეტის წესდებით, უნივერსიტეტის მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტებითა და საქართველოს კანონმდებლობით.

3. სტუდენტის სტატუსის შეჩერება ან შეწყვეტა ხდება საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებითა და უნივერსიტეტში მოქმედი რეგულაციების შესაბამისად.

მუხლი 24. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრატურაში ჩარიცხვა

1. მაგისტრატურაში სწავლის გაგრძელების უფლება აქვთ ბაკალავრის ხარისხის მქონე პირებს, რომელთაც ჩაბარებული აქვთ საერთო სამაგისტრო გამოცდა, მაგისტრატურაში სტუდენტის ჩარიცხვა ხდება კონკრეტულ სამაგისტრო პროგრამაზე ერთიანი სამაგისტრო გამოცდისა და სპეციალობაში მისაღები წერითი გამოცდის შედეგების მიხედვით. ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით, კონკრეტულ სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობად შეიძლება განისაზღვროს უცხო ენაში გამოცდის ჩაბარება ან სხვ.

2. მაგისტრატურის გამოცდა სპეციალობაში ტარდება წერილობითი სახით. საგამოცდო ნამუშევრები ფასდება 100–ბალიანი სისტემით. გამოცდა ჩაბარებულად ითვლება, თუ კონკურსანტი მიიღებს დადებით შეფასებას (მინიმუმ 51%). სპეციალობის გამოცდაში კონკურსანტთა ნაშრომებს ამოწმებს საგამოცდო კომისია, რომელიც ფაკულტეტის დეკანის წარდგინების საფუძველზე მტკიცდება რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაიულ-სამართლებრივი აქტით. საგამოცდო კომისიის წევრი არ შეიძლება იყოს სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი.

3. კონკურსანტთა საბუთების მიღების, მიმღები კომისიების მუშაობის რეგლამენტს, საკონკურსო გამოცდაზე დაშვების წინაპირობებს, გამოცდების განრიგს, საგამოცდო შედეგების გამოქვეყნებისა და გასაჩივრების წესს, მაგისტრანტობის კანდიდატთა მაგისტრატურაში ჩარიცხვისა და სამაგისტრო პროგრამების ამოქმედების პირობებს განსაზღვრავს თსუ–ის აკადემიური საბჭო.

მუხლი 25. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურაში ჩარიცხვა

დოქტორანტურაში სტუდენტის ჩარიცხვა ხდება ფაკულტეტის საბჭოს მიერ შემუშავებული და თსუ–ის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული ფაკულტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულებით, უცხო ენაში მისაღები გამოცდისა და სპეციალობაში გასაუბრების შედეგების საფუძველზე.

თავი X
ფაკულტეტის ბიუჯეტი და ფინანსები

მუხლი 26. ფაკულტეტის ბიუჯეტი

1. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტი წარმოადგენს უნივერსიტეტის ბიუჯეტის შემადგენელ ნაწილს.
2. უნივერსიტეტის წესდებით დადგენილი წესით, ფაკულტეტი მონაწილეობს უნივერსიტეტის ბიუჯეტის პროექტის შემუშავების პროცესში.

მუხლი 27. ფაკულტეტის ფინანსები

ფაკულტეტი მის მიერ მოზიდული ფინანსებისა და მის მფლობელობაში არსებული ქონების ფლობასა და სარგებლობასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხს წყვეტს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანხმობით.

თავი XI
ფაკულტეტის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა

მუხლი 28. ფაკულტეტის დებულებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის წესი

1. ფაკულტეტის სტრუქტურასა და დებულებას შეიმუშავებს ფაკულტეტის საბჭო და ამტკიცებს თსუ-ის წარმომადგენლობით საბჭო.
2. ფაკულტეტის წინამდებარე დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და უნივერსიტეტის წესდებით.

თავი XII
გარდამავალი და დასკვნითი დებულებები

მუხლი 29. დებულების მიღება და ამოქმედება

1. დებულება დასამტკიცებლად გადაეცეს უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.
2. დებულების ძალაში შესვლის დღიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დროებითი დებულება.
3. დებულება ძალაში შედის უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დამტკიცებისთანავე.

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე, დეკანი

ნ. ბელქანია

თსუ წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი

კ. ლორია